ყაზბეგის ეროვნული ბიბლიოთეკა

№028 (12 098)

5 თებერვალი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

# ნამოიღეთ!

## ანთიმოზ ივერიელის თასი თბილისშია

3 თებერვალი, ბუქარესტი

**რუმინეთი-საქართველო 17:20**

რუმინეთი: (15-9) ვლაიკუ, ფერკუ, ბრეზოიანუ, გონტინიაკი (გალი), საუანი (დუმიტრაში), ტოფანი, სირბუ (კალაფეტიანუ); (1-8) ბალანი (პოპესკუ), ტინკუ (მავროდინი), ტოდერაშკი (პაულიცა), სოკოლი, პეტრე, კოროდიანუ, მაკოვეი (ურსაკე), მერსოიუ - *ლ: პეტრე; 3ს: ვლაიკუ; ა: ტოფანი*

საქართველო: (15-9) ჯიმშელაძე, შკინინი, გიგაური (კაჭარავა 48), ი. გიორგაძე, მაჩხანელი (ელიზბარაშვილი 17; სამხარაძე 67), კვირიკაშვილი, აბუსერიძე; (1-8) ხინჩაგიშვილი (კოპალიანი 60), ა. გიორგაძე, ზირაქაშვილი (მაგრაქველიძე 77), ზედგინიძე, დათუნაშვილი (დიდებულიძე 70), ი. მაისურაძე (სბ 65), ჩხაიძე, უდესიანი - *2ლ: ა. გიორგაძე, უდესიანი; 2გ, 2ს: კვირიკაშვილი*

მსაჯი: კოლინ სტენლი (ირლანდია)

**ბესიკ ჯანგავაძე**

ანთიმოზ ივერიელის თასი საქართველოში დაბრუნდა. ეროვნულმა ნაკრებმა მაქსიმალური ძალისხმევისა და თავდადების წყალობით რუმინელები ბუქარესტში დაამარცხა - 20:17და შარშან დაკარგული, ამ ორ გუნდს შორის გარდამავალი ჯილდო თბილისში წამოიღო.

ასეთი დიდი წარმატებით დაიწყო ახალი, მსოფლიო თასის სეზონი და ერთა თასის 2007-08 წლების გათამაშება. მოსალოდნელია, რომ ამ მოგების შემდეგ საქართველოს ნაკრები მსოფლიო რეიტინგშიც დაწინაურდება. ჩვენები დღემდე მე-17 ადგილზე იყვნენ 65.33 ქულით, რუმინელები - მეთხუთმეტეზე (68.37). ახალი რეიტინგი დღეს უნდა გამოქვეყნდეს და არაა გამორიცხული, რუმინელებს გავუსწროთ კიდეც.

წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ ნაკრებში პირველად გამოჩნდა **მერაბ კვირიკაშვილი**, მისთვის ახალ, 10 ნომრის პოზიციაზე და შაბათს, გენჩას სტადიონზე ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეც იყო. აღსანიშნავია **გიორგი ჩხაიძის** თამაშიც: მასაც ბევრი გაუცდა ნაკრებში, მაგრამ როცა შანსი მიეცა, გამოიყენა - მან და გუნდის კაპიტანმა **ილია ზედგინიძემ** რუმინელები სერიოზულად შეავიწროვეს დერეფანში...

11


თამაშის ყველაზე კრიტიკული მომენტი. გიორგი შკინინის ამ ბოჭვამ ლელოსგან გვიხსნა

**ოთხშაბათს, საქართველო და თურქეთი მხოლოდ ერთ ლარად**

SALE!

ნაკრები მზადებას დღეიდან იწყებს 3

● ფეხბურთი



ესპანეთი

**თეთრი ბაირაღები ბერნაბეუზე**

ლევანტესთან საშინაო მარცხის შემდეგ, კაპელოს მომავალი ბეწვზე ჰკიდია 9

გერმანია

**ბრემენული მუსიკა შალკეს შესრულებით**

უკოზიაშვილო შალკე სამი ქულით დაწინაურდა 7

ინგლისი

**მანჩესტერი: ნაჩუქარ პენალტს კბილი არ გაესინჯება** 8

იტალია ქაოსში

**როდის დაბრუნდება კალჩო?**

ვერდიქტი დღეს 6



## იაშვილმა ტოპმიოლერს თავი გოლით შეახსენა

**ხიზანიშვილი ძირითადიდან სამგამ ამოაგდო**

ქართველების დებიუტი კარლ ცაისში

## ლომაია კინაღამ გმირი გახდა...

**აშვეთიამ ხუთიანით დაიწყო**

ლეგიონის უქმეები 5


ერთადერთი გოლი კარლ ცაისის კარში, რომელიც ლომაიას გამო დანიშნულ პენალტს მოჰყვა

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელთა აზრით...

# მატჩები ეწყობა, ჩამწყობი არ ჩანს

თამაშების ჩაწყობა არამარტო ქართული ფეხბურთის სენია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს ჩემპიონატში ეს პრობლემა ლამის ყოველი ტურის შემდეგაა აქტუალური. ეს განსაკუთრებით მეორე წრეზე ითქმის, როცა უფრო მკაფიოდ არიან ერთმანეთისგან გამიჯნული მიზნისთვის მებრძოლ და უმოტივაციო გუნდები.

არცთუ დიდი ხნის წინათ გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის მზადყოფნა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ღიად გამოთქვა და ბრძოლის სტრატეგიაზეც ითქვა, მაგრამ ჯერჯერობით, ამ კუთხით რეალურად ბევრი არაფერი გაკეთებულა. უდავოა, რომ მაქინაციებთან ბრძოლა განსაკუთრებულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, რადგანაც მისი ჩამდენისთვის დანაშაულის დამტკიცება ძალიან ძნელია.

საეჭვო ფაქტი იმდენად მრავლად მომხდარა, უმაღლესი ლიგის გუნდების ვერც ერთი მწვრთნელები ჩაწყობის ფაქტებს არც უარყოფენ, მაგრამ, ამავდროულად, თავისი კლუბის პატიოსნებაზეც დებენ თავს. ერთი სიტყვით, ჩაკეტილი წრეა, რომლის გასარღვევადაც ამ სენთან მებრძოლებს (თუ რეალურად სურთ ბრძოლა) ახალი მეთოდების შემუშავება სჭირდებათ.

### რევაზ ძოძუაშვილი
### (ოლიმპი)

"გარიგებულ მატჩებს დღეს ყველა ებრძვის. სირაქლემის პოზას ნუ მივიღებთ, ეს სენი კვლავაა ქართულ ფეხბურთში. საერთოდ კი, ამისი დამტკიცება ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელია. ამ საფეხბურთო სენთან ბრძოლის ხერხები, უპირველესად, პროფესიული ზრდა და სასჯელის გამკაცრებაა. პროფესიონალი ასეთ მაქინაციაში არ გაერევა. თუკი ვინმეს შენიშნავენ, სამაგალითოდ უნდა დასაჯონ და ამით გარიგებული მატჩების რაოდენობა თუკი სულ არ აღმოიფხვრება, მინიმუმადე მაინც შემცირდება".

### ნესტორ მუმლაძე
### (ვიტ ჯორჯია)

"ფაქტების გარეშე რაიმეს მტკიცება გაუმართლებელია, თუმცა კი ვერც იმას ვიტყვი ხელაღებით, რომ ჩვენს ჩემპიონატში ყველა შეხვედრა პატიოსნად ტარდება. ვაჭრობა და აღებ-მიცემობა მეორე წრეში უფროა მოსალოდნელი, როცა ზუსტად იქნება ცნობილი, რომელ ჩამწყობს რა დასჭირდება".

### გიორგი ჩიხრაძე
### (ამერი)

"ამის თაობაზე ვარაუდების დონეზე შეიძლება საუბარი, მაგრამ დამტკიცება ძნელია. მე მაინც ვფიქრობ, რომ ასეთი რამ პირველ წრეში იყო და ალბათ, მეორე წრეშიც იქნება. ასეთ ფონს უმოტივაციო გუნდები ქმნიან".

### თემურ მახარაძე
### (ზესტაფონი)

"გარიგებული მატჩები პირველ წრეში ნაკლები იყო, თუმცა მეორე ნახევარში მათი რაოდენობა გაიზრდება. ამაში ეჭვიც არ მეპარება".

### კახა კაჭარავა
### (დინამო)

"გარიგებული მატჩები ქართული ფეხბურთის სენია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ მათი რაოდენობა მინიმუმამდე დავიდეს".

### გიორგი კიკნაძე
### (ტორპედო)

"ყოველთვის ვამბობდი და ვამბობ, რომ მე თამაშების ჩაწყობაზე ვერავინ დამელაპარაკება. ისე, ბევრი ცუდი რამ ხდება და ამას ვერავინ უარყოფს".

### კახა ცხადაძე
### (სიონი)

"თამაშები ყველა ქვეყანაში ეწყობა, ამ მოვლენასთან ბრძოლა ძალიან რთულია. უპირველეს ყოვლისა, ბინძური გარიგებები თავად კლუბებმა არ უნდა იკადრონ".

### ამირან მინაშვილი
### (ლოკომოტივი)

"ეს საუბარი მეორე წრის დასასრულისთვის გადავდოთ. პასუხისთვის მაშინ უფრო მომზადებული ვიქნები".

### ვლადიმერ ხაჩიძე
### (ბორჯომი)

"რომ გითხრათ, ჩვენს ჩემპიონატში ასეთი შეხვედრები არ ტარდება-მეთქი, არ დამიჯერებთ და ჩაწყობილი მატჩების არსებობა რომ ვამტკიცო, ფაქტების გარეშე ხელს ვერავის დავადებ. საქართველოში გამორიცხული არაფერია და თუ ჩამწყობებს თავისი შავ-ბნელი საქმეების გაკეთება მოესურვებათ, ამას მეორე წრეში უფრო იზამენ."

### დავით ეჯიბიშვილი
### (მერანი)

"პირველ წრეში მსგავსი ფაქტების შესახებ არ მსმენია, ისე, მატჩები თითქმის ყველა ქვეყანაში ეწყობა და, ბუნებრივია, საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება".

### ხვიჩა ქასრაშვილი
### (ჩიხურა)

"საქართველოში ვცხოვრობთ და ამიტომ სასაცილო იქნება, რომ ვთქვა, ჩვენს ჩემპიონატში თამაშები არ ეწყობა-მეთქი. სამაგიეროდ, იმას თამამად ვიტყვი, რომ ჩემს მიერ გაწვრთნილ არც ერთ გუნდს გარიგებულ შეხვედრაში მონაწილეობა არასდროს მიუღია".

### ამირან გოგიტიძე
### (ბათუმი)

"თამაშები ყველაგან ეწყობა და ჩვენ რა გამონაკლისები უნდა ვიყოთ?! გარიგებებში მსაჯების მონაწილეობის ალბათობის შესამცირებლად მათი ანაზღაურება მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს".

### რევაზ მამესწარაშვილი
### (დილის ყოფილი მწვრთნელი)

"რა თქმა უნდა, თამაშები საქართველოშიც ეწყობა, მაგრამ, ვფიქრობ, მსგავს ფაქტებს ამ სეზონში უფრო იშვიათად აქვს ადგილი. "დილა" მსგავს გარიგებებში არ მონაწილეობს".

### ვასილ არუდაშვილი
### (კახეთი)

"გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ იტალიისა და რუსეთის შემდეგ, ჩაწყობილი თამაშების მიხედვით, საქართველო მესამე "საპრიზო" ადგილზეა. სამწუხაროდ, ამ სენთან ბრძოლა რეალურად არც მიმდინარეობს და არც საამისო პირი ჩანს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეორე წრის წინ. ოლიმპი

# რუსთაველებმა ჭიჭვეიშვილიც გადაიბირეს

## სკონტომ გენაძე ოლიმპში გაანათხოვრა

რუსთაველებმა მეორე წრისთვის ბოლნისის "სიონის" ყოფილი ლიდერი, **დავით ჭიჭვეიშვილიც** დაიმატეს. გუნდის პრეზიდენტის, **ბადრი ქარქაშაძის** თქმით, ფეხბურთელს ყველა საჭირბოროტო საკითხზე შეუთანხმდნენ და ის გუნდს სეზონის დასრულებამდე დაეხმარება.

ასე რომ, "ოლიმპის" დაცვის ხაზში სერიოზული კონკურენციაა. ჭიჭვეიშვილის მისვლამდე, გუნდში გამოცდილი **მიხეილ მახვილაძე, გიორგი ონიანი, ბერუაშვილი,** და **გელა ხუბუა** თამაშობდნენ. ამას გარდა, "ზესტაფონიდან" დამატებული **ზურაბ ძამსაშვილიც**, საჭიროების შემთხვევაში, დაცვაში უპრობლემოდ ითამაშებს. უფრო სწორედ, იგი მცველია, მაგრამ ძოძუაშვილი საყრდენად იყენებს.

ასე რომ, წესით, რუსთაველებს ისედაც ძლიერი დაცვა კიდევ უფრო გაუმტკიცდეთ. საერთოდ, ზამთრის შესვენებაზე "ოლიმპმა" უკვე ათი ფეხბურთელი დაიმატა: მეკარე **მერლანი**, მცველები - ჭიჭვეიშვილი, ბერუაშვილი, ძამსაშვილი, ნახევარმცველები - **არზიანი, ჩხარტიშვილი, სებისკვერაძე, ვაჩიბერაძე**, თავდამსხმელები - **გოცირიძე** და **რეხვიაშვილი**.

გამოდის, რომ რეზო ძოძუაშვილმა, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოაყალიბა და თითოელ პოზიციაზე ორ-ორი მოთამაშე ჰყავს. ასეთი გუნდის შეჩერება ძალიან ძნელი იქნება.

რუსთაველებმა შაბათ-კვირას ორი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. შაბათს "მერანი" 4:1 დაამარცხეს. გოლები **დვალიშვილმა** (2) და გოცირიძემ (2) გაიტანეს. გუშინ კი "ნორჩ დინამოელს" სძლიეს – 3:1. თავდამსხმელთა დუეტმა ამჯერადაც გამოჩინა თავი - დვალიშვილმა და გოცირიძემ თითო-თითო ბურთი გაიტანეს, მესამე კი გასინჯვაზე მყოფმა **ჭეიშვილმა**.

"ნორჩ დინამოელთან" საკონტროლო მატჩი უჩვეულოდ დიდხანს, 2 საათს გაგრძელდა. რეზო ძოძუაშვილის თქმით, მიზეზი გასასინჯი ფეხბურთელების სიმრავლე აღმოჩნდა.

ძოძუაშვილის თქმით, ძირითადი გუნდის კონტურები უფრო "მერანთან": შეხვედრისას გამოიკვეთა. შაბათს "ოლიმპმა" ასეთი შემადგენლობით დაიწყო მატჩი: მერლანი – მახვილაძე, ონიანი, ჭიჭვეიშვილი – სეთურიძე, აფციაური, ქებაძე, ხუბუა – კახელიშვილი, გოცირიძე, დვალიშვილი.

**მერაბ მამულაშვილი**



დავით ჭიჭვეიშვილი

**დათო გამეზარდაშვილისა** და **ზაალ ელიავას** შემდეგ, რიგის "სკონტომ" კონტრაქტი რუთავის "ოლიმპის" ნახევარმცველ **რეზო გენაძესთან** გააფორმა.

21 წლის ნახევარმცველთან სამწლიანი ხელშეკრულება ლატვიელებმა პარასკევს გააფორმეს, დღეს კი რეზო რიგიდან თბილისში დაბრუნდება.

საგანგაშო არაფერია, ხელშეკრულება არ გაუქმებულა და ლატვიელებს რეზოს დიდი იმედიც გააჩნიათ. უბრალოდ, გენაძე საქართველოში დროებით, ჩემპიონატის დასრულებამდე ითამაშებს. "სკონტოს" პრეზიდენტი **გუნტის ინდრიქსონი** ფეხბურთელს სამი თვით ძველ მეგობარ, **რეზო ძოძუაშვილთან** ანათხოვრებს. ძოძუაშვილი გუნდს საჩემპიონოდ ამზადებს და ახლა მას გენაძის დახმარება ჰაერივით სჭირდება.

სიონი

# ჩასემი სხვა დონეაა...

**სიონი–ბორჯომი 1:0**

1:0. ჩასემი (76)

სიონი: მამალაძე (ბობლიაშვილი)-ექონია (რაქვიაშვილი), ლ. ჭელიძე (სვანიძე), ბოიომო, კობაური (ნეფარიძე)-კვიტაიშვილი (უგრეხელიძე), სილაგაძე (ოქროპირიძე), ზ. ჭელიძე (ქურასბედიანი), ალავიძე (ჩხეტიანი)-ევოჩე (ცხადაძე), ჩასემი (ჩაგელიშვილი).

ბორჯომი: შეყრილაძე-მემარნიშვილი,; ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, ლონლაძე-კვერნაძე (თედიაშვილი), საყვარელიძე (გოგიჩაიშვილი), ავალიანი, კოშკაძე-კაიდარაშვილი, შ. ჯიქია (მძინარიშვილი).

უკვე გაცნობეთ, რომ უცხოური შეკრების ნაცვლად ახალი სეზონისათვის მზადებას ბოლნისის "სიონი" თბილისში გააგრძელებს. მოქმედმა ჩემპიონმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა აშკარად მოძლიერებულ "ბორჯომთან" ჩაატარა. წინდაწინ უნდა ითქვას, რომ "ნორჩი დინამოელის" სტადიონზე გამართული მატჩი ერთობ საინტერესო გამოდგა.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტები გაცვალეს: **ალექსანდრე კოშკაძის** მიერ შესრულებული ჯარიმის შემდეგ **ზურაბ მამალაძემ** ბურთი ცუდად მოიგერია, მაგრამ **შოთა ჯიქიამ** ასეთი საჩუქარი ვერ შეირგო; მერე კი **ლევან სილაგაძის** ჩინებული პასი იყო, რასაც **ერიკ რომეო ჩასემის** ეფექტური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ "ბორჯომის" მეკარემ **ბექა შეყრილაძემ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა. საერთოდ კი პირველ ტაიმში ორივე გუნდის შემადგენლობაში ყველაზე გამორჩეულები **ევოჩე** და **ბოიომო** იყვნენ - ორივე კამერუნელმა მართლაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება ჩასემს, ამ ფორვარდზე ახალი რალა უნდა ვთქვათ... იმის გარდა, რომ მისი დონე უკვე კარგა ხანია გასცდა ჩვენი ჩემპიონატისას...

...შეხვედრის ერთადერთი გოლი ლამაზიც და, ცოტა არ იყოს, კურიოზულიც გამოდგა: "სიონის" მეკარემ **მინდია ბობლიაშვილმა** საკუთარი საჯარიმოდან ლამის 80-მეტრიანი პასით(!) ჩასემი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელმაც ყველაფერი იდეალურად შეასრულა.

ახლა კი ორივე გუნდის ახალწვეულებზეც და ჯერ "ბორჯომის" უნდა ვახსენოთ. **გიორგი მემარნიშვილი, ლევან მერებაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე, ალექსანდრე კაიდარაშვილი, რევაზ კვერნაძე** და **ალბერტ საყვარელიძე** გუნდს რომ გააძლიერებენ, მტკიცება არ სჭირდება. მოკლედ, **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდთან ჩემპიონატის ფავორიტებმა წინასწარ არაფერი უნდა დაგეგმონ...

ახლა კი მოქმედ ჩემპიონზეც ვთქვათ, რომლის მთავარმა მწვრთნელმა **კახა ცხადაძემ** თავის გამოჩენის საშუალება უახლოესი რეზერვის და გასინჯვაზე მყოფ ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც მისცა. ერთი რამ კი გარკვეულია - მეორე წრეში ბოლნისელთა ღირსებას გამოცდილი ლევან სილაგაძე დაიცავს. მის გარდა, "სიონი", ალბათ, კიდევ ორ საკმაოდ ძლიერ ფეხბურთელსაც დაიმატებს, ოღონდ, ამ ეტაპზე ვერ დავკონკრეტდებით.

**გია ტუხაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# ვეტერინართა ხუთი სპარინგი

ანთალიურ შეკრებაზე ჩასულ "ვიტ ჯორჯიას" ავდარი დახვდა, მაგრამ ამინდი მალევე გამოკეთდა და **ნესტორ მუმლაძემ** შეგირდები სრულად დატვირთა. ჯორჯიელებმა გუშინ ორჯერ ივარჯიშეს, დღეს კი პირველ საკონტროლო მატჩს გამართავენ. მათი მეტოქე ბელარუსის უმაღლესი ლიგის ბინადარი "გომელი" იქნება.

სულ საქართველოს ვიცე-ჩემპიონები თურქეთში ხუთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ. 7 თებერვალს მაკედონურ "რაბოტნიჩკის" დაუპირისპირდებიან, 10-ში – "მინვოდს", დანარჩენი ორი მეტოქის ვინაობაც მალე გაირკვევა.

"ვიტ ჯორჯია" თბილისში 17 თებერვალს დაბრუნდება. მართალია, 18-ში საქართველოს თასის პირველი მეოთხედფინალური მატჩებია, მაგრამ ვეტერინარებს საჩქარო არაფერი აქვთ, რადგანაც თასს ჯგუფური ეტაპიდან გამოეთიშნენ. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე კი შეგახსენებთ, 23 თებერვალს დაიწყება.

"ვიტ ჯორჯიის" პირველი მეტოქე ქუთაისის "ტორპედო" იქნება.

სავარაუდოდ, სეზონის მეორე ნახევრის ზუსტად ის შემადგენლობა დაიწყებს, რომელიც დღეისათვის ანთალიაშია. კლუბის საკადრო პოლიტიკიდან გამომდინარე, ლეგიონერების დამატება, ფაქტობრივად, გამორიცხულია. "ვიტ ჯორჯიას" პროგრამა მაქსიმუმი კვლავაც ქვეყნის ჩემპიონობა იქნება, პროგრამა მინიმუმი კი უეფას თასზე მოხვედრა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მეორე წრის წინ. დინამო



ფეიქრიშვილმა ამჯერადაც გაიტანა

# მაშალმა დინამო აშალა

**დინამო–მაშალი 2:3**

0:1 (8), 0:2 (22), 0:3 (30), 1:3 ოდიკაძე (74. პენალტით), 2:3 ფეიქრიშვილი (82. ოდიკაძის პასით).

დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი, თომაშვილი, კობახიძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, ხუციშვილი, იაშვილი, სპასოევიჩი.

მეორე ტაიმში შევიდნენ: ლ. ნოზაძე, გ. კაშია, მერებაშვილი, ოდიკაძე, ჯანაშია, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი, აკობია.

ერთადერთი ის თუ დაგვიმშვიდებს გულს, რომ თამაში ამხანაგური იყო და შედეგს არ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა, თორემ უზბეკეთის ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანთან მარცხი, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნოა.

როგორც წინა, ამ მატჩის შესახებაც თბილისური კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** მოგვითხრო. როგორც ირკვევა, დინამოელებმა მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს და დაისაჯნენ კიდეც. "მაშალმა" მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში. თუმცა, უზბეკები მხოლოდ ერთ ბურთს არ დასჯერდნენ და მომდევნო 22 წუთში კიდევ ორი გაიტანეს.

მიუხედავად ამისა, **დუშან უგრინის** გუნდი მარცხს არ შეგუებია და მხოლოდ ამის შემდეგლა ათამაშდა. ჩვენმა გუნდმა მალევე მოიპოვა უპირატესობა, მაგრამ ეს ანგარიშში მხოლოდ მეორე ტაიმში აისახა.

შესვენების შემდეგ თამაში სრულად "დინამოს" კარნახით მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ თამაშმა მთლიანად უზბეკთა ნახევარზე გადაინაცვლა, მაგრამ თბილისელებმა თამაშის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. არადა "მაშალის" კარს დაემუქრნენ **ოდიკაძე, თომაშვილი, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი, ჯანაშია, აკობია, კობახიძე,** მაგრამ უშედეგოდ.

რაც შეეხება დინამოელთა გოლებს, 74-ე წუთზე უზბეკთა საჯარიმოში მერებაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ოდიკაძემ გოლად აქცია. 82-ე წუთზე კი იმავე ოდიკაძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **ფეიქრიშვილმა** გოლად აქცია 2:3.

"დინამოს" შესახებ კიდევ ისაა სიახლე, რომ თბილისური კლუბი 26 წლის ბრაზილიელ ფორვარდ **ფაბიო მარკუშ დოს სანტოსს** დაემშვიდობა. ასე რომ, ამჟამად კლუბში მხოლოდ სამი უცხოელია, **ნედ ზელიჩი**, რომელმაც უკვე გააფორმა კონტრაქტი. **მიროსლავ კრშკო,** რომელიც ახლოსაა კონტრაქტთან და 19 წლის ჩერნოგორიელი ფორვარდი **ილია სპასოევიჩი,** რომელიც კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩში მიიღებს მონაწილეობას და "დინამოს" ხელმძღვანელები მის საკითხს ამის შემდეგ გადაწყვეტენ.

ანთალიურ შეკრებაზე "დინამოს" კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი დარჩა. უგრინის გუნდს 6 თებერვალს უწევს თამაში. გეგმის მიხედვით, "დინამოს" სამშაბათს სამხრეთი კორეის "პუანტგისთან" უნდა ეთამაშა, მაგრამ, შესაძლოა, თბილისელები სხვა გუნდს დაუპირისპირდნენ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ნაკრები თურქეთთან მატჩის წინ

# დღეიდან: მზადება და ბილეთები ლარად

დღეს, 5 თებერვალს, ჩვენი ეროვნული და 21-წლამდელთა ნაკრები თურქეთთან ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას დაიწყებენ. **კლაუს ტოპმიოლერი** ეროვნულ გუნდს 15 საათზე ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეკრებს, 18 საათზე კი ვარჯიშს გამართავს. საწვრთნელ პროცესამდე ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელობა, ეროვნული გუნდის 2 ფეხბურთელთან ერთად, 16 საათზე, ავჭალაში არასრულწლოვანთა კოლონიას ეწვევა. ისინი კოლონიაში მყოფ ჭაბუკებს მოინახულებენ და საჩუქრებსაც (საფეხბურთო გამოცემები, ბურთები, მაისურები...) გადასცემენ.

რაც შეეხებათ 21 წლამდელებს, **რალფ მინგე** გუნდს სასტუმრო "პრესტიჟში" შეკრებს. 15 საათზე კი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ავარჯიშებს.

თურქები თბილისში ჩარტერული რეისით ხვალ ნაშუადღევს ჩამოფრინდებიან. **ფათიჰ თერიმის** გუნდი, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდება, 19:30 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებს, ხოლო თურქ 21-წლამდელთა ნაკრები მიხეილ მესხის სახელობის არენაზე წვრთნას 16:45 საათზე დაიწყებს.

გულშემატკივრებს საქართველო-თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩზე დასასწრები ბილეთების შეძენა დღეიდან შეეძლებათ. ბილეთები ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის 7 სალაროსა და მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის 3 სალაროში გაიყიდება. "ლოკომოტივის" ერთი სალარო თურქ ქომაგებს მოემსახურება.

რაც ყველაზე მთავარია, ნაცვლად ადრე გამოცხადებული 7 ლარისა, ბილეთები მხოლოდ და მხოლოდ 1 ლარი ეღირება და მათზე მხოლოდ სტადიონის იარუსი და სექტორი იქნება მითითებული, დასაჯდომი სკამის ამორჩევა კი გულშემატკივრებს თავად შეეძლებათ.

რაც შეეხება აბონემენტების მფლობელებს, ბუნებრივია, ისინი კუთვნილ ადგილებზე განთავსდებიან. ეროვნული სტადიონისა და "ლოკომოტივის" სალაროები 11-დან 17 საათამდე იმუშავებს.

შეგახსენებთ, საქართველო-თურქეთის ახალგაზრდულების შეხვედრა 7 თებერვალს ვაკეში 13 საათზე დაიწყება და მასზე დასწრება უფასო იქნება, ეროვნული გუნდების მატჩი კი ეროვნულ სტადიონზე იმავე საღამოს, 21 საათზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ამისულაშვილი უკრაინაში მოატყუეს

**ალეკო ამისულაშვილი** შაბათს უკრაინაში გაემგზავრა, სადაც უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი გუნდის ხელმძღვანელობამ მიიწვია.

მას კიევის "დინამოდან" იაროსლავლის "შინიკში" განათხოვრების ვადა დაუმთავრდა. ამასობაში კი, მისით უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდი დაინტერესდა, თუმცა კიევში ჩასულ ფეხბურთელს სიურპრიზი ელოდა – იქაურთა თქმით, ქართველი ფეხბურთელების აყვანაზე უკრაინის უმაღლესი ლიგის გუნდები თავს იკავებენ.

სეზონის განახლებამდე მცირე ხნით ადრე ფეხბურთელმა არ იცის, სად ითამაშებს და ბუნებრივია, ნერვიულობს. როგორც ასეთ დროს ხდება, ჩავთვლიდით, რომ დაინტერესებულმა კლუბმა ამისულაშვილისადმი ინტერესი დაკარგა, რომ არა ის დამთხვევა, რაც ამ ინფორმაციის შეტყობისას მოხდა.



ალეკო ამისულაშვილი

ლამის პარალელურ რეჟიმში "ლელოს" ოდესის "ჩერნომორეცის" მცველმა **გიორგი შაშიაშვილმა** უთხრა, რომ ანალოგიური საბაბით გუნდიდან დაითხოვეს.

ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებთ. მით უფრო, რომ დღეისათვის უკრაინის უმაღლესი ლიგაში ძალიან ბევრი ქართველი თამაშობს და ამის ფონზე, ჩვენი მოთამაშეების ათვალწუნებაზე და მით უფრო, დაჩაგვრაზე საუბარი ამ ეტაპზე უხერხულია. თუმცა ეს ორი ფაქტი ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბრაზილიის ამბავი დღეს გადაწყდება

თბილისში ბრაზილიის ნაკრებთან საშინაო ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე შარშან დაწყებული საუბრები ბოლო სტადიამდე მივიდა. საკითხისთვის წერტილის დასასმელად, მხარეები შეხვედრაზეც შეთანხმდნენ, რომელიც დღეს უნდა შედგეს ლონდონში.

თბილისიდან გამგზავრებული, ფედერაციის გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და ვიცე-პრეზიდენტი **გოგი ქავთარაძე** ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტ **რიკარდო ტეიშეირას,** ან კონფედერაციის სხვა რომელიმე ხელმძღვანელს, დღეს ლონდონში შეხვდებიან. შესაბამისად საქართველო-ბრაზილიის 22 აგვისტოს ამხანაგურ მატჩზეც ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მაინც უნდა გაირკვეს.

**დავით ცაბაძე**

მერანი

# კუტივაძეს ქემოკლიძე სურს

**რევაზ ქემოკლიძე**, რომელსაც მიზეზთა გამო, სეზონის პირველ ნაწილში თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია, "მერანის" რიგებში ვარჯიშობს. გუშინ მან ამ გუნდის ღირსება "ოლიმპთან" საკონტროლო მატჩშიც დაიცვა.

როგორც "მერანის" მთავარმა მწვრთნელმა, **სერგო კუტივაძემ** გვითხრა, მას და კლუბის ხელმძღვანელებს ქემოკლიძის დამატების დიდი სურვილი აქვთ, მაგრამ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. "მერანისა" და "დინამოს" ხელმძღვანელებს ამ საკითხზე შეთანხმებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. თუ სასურველი ფეხბურთელის გამოსყიდვას ვერ შეძლებს, "მერანი" მისი იჯარით აყვანას მაინც შეეცდება.

კუტივაძისგან მის გუნდში მომხდარი სხვა სიახლეებიც შევიტყვეთ. "მერანი" დატოვეს **ზაზა ზირაქიშვილმა** და **გიორგი ქორიძემ**. შეგახსენებთ, ზირაქიშვილმა თბილისელთა შემადგენლობაში მხოლოდ რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა, ქორიძე კი "მერანის" მაისურით პირველ წრეშიც ასპარეზობდა. მწვრთნელებს მათი დატოვება კი სურდათ, მაგრამ დუეტმა საზღვარგარეთ გადაწყვიტა ძალების მოსინჯვა.

კუტივაძე **ბეგლარ თედორაძესაც** დააკვირდება. მას "მერანში" დღეისთვის ელიან. სხვა ფეხბურთელთა მსგავსად, ფინანსურ კრიზისში ჩავარდნილ "ჩიხურაში" დარჩენა აღარც ბეგლარმა ისურვა.

7 თებერვალს "მერანი" ბოლნისის "სიონს" შეხვდება. მატჩი გურჯაანში გაიმართება. შესაძლოა, კუტივაძის შეგირდები იქვე თელავის "კახეთსაც" გაეჯიბრონ. "მერანის" დამრიგებელი ამის თაობაზე, ჯერჯერობით, ყოყმანობს, ვინაიდან მეორე წრის პირველ ტურში სწორედ თელაველებთან ითამაშებს.

კუტივაძე ნახევარდაცვის თამაშით კმაყოფილია, მას უფრო დაცვისა და თავდასხმის ხაზების გაძლიერება სურს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დაურეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი შაშიაშვილთან

# რას ენირება ქართული ტრიო?

**... "ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. უკრაინის უმაღლეს ლიგაში ლეგიონერთა რიცხვი ძალზე გაიზარდა. თუკი უცხოელებზე ლიმიტს არ დავაწესებთ ჩვენს ფეხბურთელებს ვეღარ გავზრდით... ბოლო-ბოლო ჯგუფის მეტოქე ნაკრების ფეხბურთელები არიან მრავლად. გამოდის, მათ ვუზრდით მაღალკვალიფიციურ კადრებს ", - ეს უკრაინა-საქართველოს მატჩის შემდეგ განაცხადა უკრაინელთა ნაკრების თავკაცმა ოლეგ ბლოხინმა. მან ამის შემდეგაც არაერთხელ გაიმეორა ინტერვიუში ლეგიონერებზე ლიმიტი უნდა დავაწესოთო და ფედერაციას ულტიმატუმიც წაუყენა, ჩემი მუშაობა თუ გინდათ, რასაც გეუბნებით გააკეთეთო. ბოლოს ეს 2 კვირის წინ განაცხადა... ოლეგ ბლოხინის ამ სიტყვებს მალე საქმეც მოჰყვა. სემიონ ალტმანი, რომელიც ოდესის "ჩერნომორეცის" მთავარი მწვრთნელი და ეროვნულ ნაკრებში ბლოხინის თანაშემწეა, თავისი გუნდიდან ქართველებს ერეკება. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ ჯვაროსანთა გუნდის ფეხბურთელები, მოულოდნელად, ახალი კლუბების ძებნის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. გიორგი შაშიაშვილი უკვე ახალ გუნდს ეძებს, კახა მჟავანაძეც იმავე გზას ადგას და ჯერჯერობით "ჩერნომორეცის" დუბლებში ვარჯიშობს, ილია კანდელაკს კი, რომელიც ჩემპიონატის ყველა მატჩში სასტარტოში იყო, გუშინ ძირითად გუნდთან ერთად აღარ უვარჯიშია.**

**გადაჭრით იმის მტკიცება, რომ მათ ნამდვილად ბლოხინის ზემოთნათქვამი სიტყვების გამო უწევთ ახალი გუნდების მოძებნა, ძნელია, მაგრამ ეს ვერსია ყველაზე უფრო ახლოს რომაა რეალობასთან ამაში გიორგი შაშიაშვილის ინტერვიუც დაგარწმუნებთ.**

- თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ ნაკრებში გამომიძახეს და ჩამოვედი. ჩვენს გუნდში კი მართლაც აირია საქმეები. ყოველ შემთხვევაში, ქართველებთან დამოკიდებულებაში ეს აშკარაა და მიზეზი დღემდე ვერ აგვიხსნია.

**- ჩვენი ინფორმაციით, "ჩერნომორეცმა" ახალი გუნდის მოძებნა გირჩია...**

- მხოლოდ მე რომ ვიყო ამ დღეში, ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ მჟავანაძე და კანდელაკიც იმავე ვითარებაში არიან...

**- მათაც იგივე უთხრეს?**

- კახა მჟანავაძე უკვე რამდენიმე დღეა, რაც დუბლებში ვარჯიშობს. ილია კანდელაკს დღეს ტელეფონით ვესაუბრე და როგორც მითხრა, ძირითად გუნდთან ერთად უკვე აღარ უვარჯიშია. არადა, "ჩერნომორეცი" მესამე ადგილზე რომ გავიდა, იმ სეზონში კანდელაკი ჩემპიონატის ახალწვეულ ლეგიონერთა შორის საუკეთესოდ დაასახელეს...

**- მაინც რა მოხდა?**

- წინა სეზონი რომ დამთავრდა, კლუბის პრეზიდენტთან მქონდა საუბარი და მითხრა, გუნდის ძირითად ფეხბურთელად მიგიჩნევთ, კარგად დაისვენე და დაგვჭირდებიო. მერე გავიგე მთავარ მწვრთნელ სემიონ ალტმანს უთქვამს, სჯობს, ქართველებმა ახალი გუნდი მოძებნონო. 2 იანვარს ჩემი აგენტი ესაუბრა ალტმანს და მან უთხრა, გუნდში შაშიაშვილიც მჭირდება, კანდელაკიც და მჟავანაძეცო.

**- ალტმანმა ქართველები ახლახან დასრულებული მოსამზადებელი შეკრების შემდეგ გაგაკრიტიკათ...**

- კი, პრესას უთხრა, დაცვის უკმაყოფილო ვარო. კონკრეტულად რომელიმე ფეხბურთელი არ დაუსახელებია, მაგრამ დაცვის უკმაყოფილო რატომ უნდა ყოფილიყო?

**- იქნებ დაცვამ მართლაც ცუდად ითამაშა...**

- არცერთი საკონტროლო თამაში არ წაგვიგია, მხოლოდ 2 გოლი გავუშვით და საერთოდ თამაშითაც ჩვენი გუნდის დაცვა ასეთ შეფასებას ნამდვილად არ იმსახურებდა. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ შანსი აღარ დამიტოვეს.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- ბოლოს მითხრეს, სათადარიგოთა სკამზე შენ არ დაჯდები, დუბლებში არ ივარჯიშებ და სჯობს, სხვა გუნდი მოძებნოო. ეს კი 31 იანვარს მითხრეს, როცა ევროპაში ტრანსფერები უკვე დაიკეტა. ერთი-ორი დღეც კი არ მომცეს საიმისოდ, რომ გუნდი მომეძებნა. არადა იცოდნენ, რომ გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მქონდა ვარიანტები. ახლა მხოლოდ რუსეთსა და უკრაინაშია ღია ტრანსფერები.

**- ალბათ კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე გქონდა საუბარი...**

- დიახ. კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს და მითხრეს. თუკი გაყიდვის ვარიანტი იქნება, უარს არ ვიტყვით, განათხოვრებაზეც წამოვალთო. მეც ვუთხარი, თუ ასე იყო, ეს დეკემბერში ან 4-5 დღით ადრე გეთქვათ-თქო. ისიც ვითხარი, თუ რა დამოკიდებულებაა რუსეთში ქართველების მიმართ. რუსეთში ახლა მხოლოდ კობიაშვილსა და მისი დონის ფეხბურთელებს ითხოვენ... ერთსაც გეტყვით, უკრაინაში კლაუს ტოპმიოლერთან ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც ჩვენი ნაკრების თავკაცი უკრაინის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ნაკრების ქართველ ფეხბურთელებს გვაქებს. მეორე დღეს კი მეუბნებიან, სჯობს, გუნდი მონახოო.

**- "ჩერნომორეცის" თავკაცი სემიონ ალტმანი ამავე დროს ეროვნულ ნაკრებში ბლოხინის თანაშემწეა. არ დაგებადა ეჭვი, რომ სწორედ ალტმანმა დაიწყო ბლოხინის სიტყვების საქმედ ქცევა და ლეგიონერთა შევიწროება?**

- შესაძლოა, ასეცაა, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, რომ ეს ვერსია რეალობაა... ასეთ შემთხვევაში უკრაინაში მოთამაშე ყველა ქართველს შეექმნება პრობლემა.

**- მჟავანაძე და კანდელაკიც გუნდებს ეძებენ?**

- ორივეს უნდა კლუბის შეცვლა და ვნახოთ...

**- ახლა რას აპირებ?**

- ნაკრებში სათამაშოდ ჩამოვედი. 10 თებერვალს ვარ დაბარებული და თავად შემომთავაზებენ რომლიმე უკრაინული კლუბის ვარიანტს. ეს სამი თვე, მაისამდე, როგორმე უნდა გავძლო და მერე უკრაინაშიც აღარ ვითამაშებ, გერმანიაში ან სხვა ქვეყანაში წავალ, კლუბის მოძებნა არ გამიჭირდება.

**- თუკი უკრაინაში გუნდი ვერ მოგიძებნეს დროებით სამშობლოში თუ დაბრუნდები?**

- ეს უკანასკნელი ვარიანტია. თუკი ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდები, მაშინ მაისამდე საქართველოს ჩემპიონატში ვითამაშებ.

**- ისევ თბილისის "დინამოში"?**

- ვნახოთ, ჯერჯერობით არ მინდა დავიჯერო, რომ აქამდე მივა საქმე. თუკი სხვა გზა არ მექნება "დინამოსაც" დაველაპარაკები და თუ საჭირო იქნება, სხვა კლუბებსაც... ერთი სიტყვით, ჩემი საკითხი 10 თებერვალს ან მის მერე გაირკვევა.

**- დაბოლოს, თურქეთთან მატჩზე გკითხავ...**

- 4 იანვრიდან მოყოლებული მოსამზადებელ შეკრებაზე ვარ. ფორმის პიკისთვის ჯერ არ მიმიღწევია, მაგრამ კარგ კონდიციებში ვარ. თურქეთთან ამხანაგური მატჩი გვაქვს, მაგრამ ეს ბოლო თამაშია, შესარჩევი ციკლის განახლებამდე და გენერალური რეპეტიციაა შოტლანდიასთან მატჩის წინ. ასე რომ, უნდა მოვიგოთ და კარგ განწყობაზე შევხვდეთ საკვალიფიკაციო ეტაპის განახლებას.

**დავით ცაბაძე**



გიორგი ლომაია მათიას შერცთან ორთაბრძოლაში

ლეგიონერები. დებიუტის შემდეგ

# არასახარბიელო სტარტი კიოლნში

**მეორე ბუნდესლიგაში გამართულ მატჩებში გუშინ საქართველოს ნაკრების წევრების, გიორგი ლომაიასა და მიხეილ აშვეთიას დებიუტი შედგა "კარლ ცაისის" რიგებში. კიოლნში, "რაინენერგიშტადიონზე" კრისტოფ დაუმის "კიოლნმა" ჩვენებურთა გუნდს უმასპინძლა. მატჩი მასპინძელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა. იენელთა სასტარტო შემადგენლობაში ორივე ქართველი გახლდათ, გიორგი ლომაიამ მატჩი ჩაამთავრა, მიხეილ აშვეთია კი 75-ე წუთზე შეცვალეს.**

*"იენელთა ქართველმა ახალწვეულმა მეკარე ლომაიამ, რომელიც საიმედოდ და სტაბილურად თამაშობდა, 84-ე წუთზე ტიაგოს წაქცევისთვის პენალტი დაიმსახურა. შერცმა კი თერთმეტრიანი გოლად აქცია... "კარლ ცაისს" მანამდე ჩინებული შანსი ჰქონა გოლის გატანისა, მაგრამ 5 მეტრიდან აშვეთიას თავური დარტყმა კიოლნელთა მეკარემ აილო", - ეს ცნობა მოვიძიეთ გუშინდელი მატჩის შესახებ "კიკერში".*

თავად ქართველებმა "ლელოსთან" საუბარში განაცხადეს:

### მიხეილ აშვეთია: ლოგიკური იქნებოდა ფრე

*"დაძაბული თამაში იყო. წაგებას ნამდვილად არ ვიმსახურებდით. ამ მატჩის ლოგიკური შედეგი ფრე იყო. სამწუხაროდ, ის ერთადერთი გოლი პენალტით მივიღეთ. იმას არ ვამტკიცებ, ტიაგოზე პენალტი არ იყო-თქო, მაგრამ, მანამდე ორჯერ ჩვენ გვეკუთვნოდა პენალტი და არ დაგვიდეს.*

*მეორე ტაიმის დასაწყისში გოლის გატანის კარგი შანსი მქონდა, მაგრამ, უკნიდან დამეჯახნენ და თავით კარგად ვერ დავარტყი. ძალიან მონდომებული ვიყავი, ბევრს ვიბრძოდი, დავიღალე და შეცვლა თავადვე ვითხოვე. მატჩის შემდეგ მწვრთნელები დაღონებულნი იყვნენ,მაგრამ მაინც მადლობა გადაგვიხადეს ბოლომდე რომ ვიბრძოლეთ მატჩის გადასარჩენად. სხვათა შორის, "კარლ ცაისმა" ზამთრის პაუზისას ჩვენიანად 8 ფეხბურთელი დაიმატა და ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ ახლა უკეთესი გუნდი გვყავს".*

### გიორგი ლომაია: პენალტი იყო, მაგრამ...

*"მერწმუნეთ, ნამდვილად ფრის თამაში იყო, მაგრამ კიოლნი, სავსე სტადიონი, კრისტოფ დაუმის ფაქტორი, სტუმრის როლში ვიყავით და მსაჯებმა დაგვჩაგრეს კიდეც... ჩვენს კარში დანიშნულ პენალტზე საპრეტენზიო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენ, ორი თუ არა ერთი პენალტი მაინც აუცილებლად გვეკუთვნოდა. რაც შეეხება იმ ეპიზოდს, საჯარიმოში ჩამოწოდებულ ბურთზე გამოვედი, ბურთსაც დავეუფლე, მაგრამ თანაგუნდელი დამეჯახა, ბურთი ხელიდან გამაგდებინა, რომელიც ტიაგოს მიუვიდა. მას დავუფარე, ბურთიანად წაიქცა და არბიტრმა პენალტი დანიშნა. ეს იყო და ეს.*

*ვფიქრობ არც მე და არც აშვეთიას ცუდი დებიუტი არ გვქონია. მწვრთნელებმა მადლობა გვითხრეს. ახლა, კიოლნში აეროპორტში ვარ. მალე თბილისში გადმოვფრინდებით და თურქეთთან მატჩისთვის ხვალიდან უკვე ეროვნულ გუნდში ვივარჯიშებთ".*

**დავით ცაბაძე**



გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# გმირობიდან ანტიგმირობამდე

## იაშვილი ფორმას იბრუნებს



მიხეილ აშვეითა ალფაი ოზალანის წინაალმდეგ

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი | | | | |
| პრემიერლიგა, XXVI ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-შეფილდი | 2:1 | არ უთამაშია, სათადარიგო | 14 თ, 0 გ. |
| იტალია | | | | |
| სერია A, XXII ტური | | | | |
| კახა კალაძე | ასკოლი-მილანი | - | გადაიდო | 11 თ, 1 გ. |
| გერმანია | | | | |
| ბუნდესლიგა, XX ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | ვერდერი-შალკე | 0:2 | არ უთამაშია, ტრავმა | 16 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XX ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | უნტერჰახ.-ფრაიბურგი | 0:2 | 90 წუთი, 1 გოლი | 18 თ, 3 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | უნტერჰახ.-ფრაიბურგი | 0:2 | 57 წთ (შეცვალეს) | 7 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | აუე-დუისბურგი | 0:1 | 26 წთ (შეცვლაზე) | 18 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | კიოლნი-კარლ ცაისი | 1:0 | 90 წთ, გააფრთხილეს | 1 თ, -1 გ. |
| მიხეილ აშვეთია | კიოლნი-კარლ ცაისი | 1:0 | 74 წთ (შეცვალეს) | 1 თ, 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-ბურგჰაუზენი | - | დღეს | 11 თ, 0 გ. |
| ჰოლანდია | | | | |
| ერედივიზიე, XXIII ტური | | | | |
| შოთა არველაძე | პსვ-ალკმაარი | 2:3 | 90 წთ | 21 თ, 11 გ. |
| სუპერლიგა, XX ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი-აპოლონი | 3:1 | 90 წუთი | 10 თ, 0 გ |
| ლევან მაღრაძე | არისი-ქსანთი | 1:0 | 90 წუთი | 14 თ, 0 |
| კვიპროსი | | | | |
| | | | | |
| თემურ ქეცბაია | აპოლონი-ანორთოსისი | 1:1 | არ უთამაშია | |
| კლიმენტი წიტაიშვილი | აეკ-აპოელი | - | გადაიდო | |
| ლევან ქებაძე | ომონია-ეთნიკოსი | 3:0 | არ უთამაშია | |

**ამ უქმეებზე** ქართული ლეგიონის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლია, რომელიც ფრაიბურგელმა ალექსანდრე იაშვილმა გაიტანა. როგორც ჩანს, იაშკა ფორმას იბრუნებს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა კი გიორგი ლომაიას დებიუტი იყო, რომელსაც 8 წუთი დააკლდა, რომ გმირად მონათლულიყო. საბოლოოდ "კიკერმა" ასეთი სათაური შემოგვთავაზა "ლომაიას უიღბლო დებიუტი". საქართველოს ნაკრების გოლკიპერი საბედისწერო 82-ე წუთამდე ლომივით იდგა "კარლ ცაისის" კარში გადაჭედილ "რაინენერგიშტადიონზე".

### როცა თავს ზემოთ სამბაა

**ზურაბ ხიზანიშვილმა** "ჩელსისთან" მატჩი მცირე ტრავმის გამო გამოტოვა. ქართველი მცველი "შეფილდ იუნაიტედთან" თამაშისთვის ემზადებოდა, თუმცა **მარკ ჰიუზმა** დაცვის ცენტრში მის ნაცვლად ფრანგი ახალწვეული **კრისტოფერ სამბა** შეუწყვილა ზელანდიელ კაპიტან **ნელსენს**. "ბლექბერნმა", რომელმაც შეხვედრა 10 კაცით დაასრულა, 2:1 იმარჯვა, 34 ქულა მოაგროვა და მეცხრე ადგილზე დამკვიდრდა. სამბამ პირველად ითამაშა "ბლექბერნის" სასტარტოში, მისი სიმაღლე 194 სანტიმეტრია. იტალიაში სრული ქაოსია, ჩემპიონატი პარასკევს სიცილიაში მომხდარი ტრაგედიის გამო შეწყდა, სწორედ ამიტომაც არც **კახა კალაძის** "მილანი" ესტუმრა "ასკოლის".

### ლიდერი დამარცხებულია

**ლუის ვან გაალის** "ალკმაარმა" ჰოლანდიის ჩემპიონატს ინტრიგა დაუბრუნა. **შოთა არველაძემ** და კომპანიამ სტუმრად ერთპიროვნული ლიდერი "ეინდჰოვენი" ნამდვილ ტრილერში დაამარცხა - 3:2. ახლა პსვ უკვე მხოლოდ ექვსი ქულით უსწრებს მესამე ადგილზე მყოფ "ალკმაარს". გუნდის ქართველმა კაპიტანმა 90 წუთი მოედანზე გაატარა, თუმცა გოლი არ გაუტანია და არც საგოლე პასი მიუცია. შოთამ ერთ-ერთ ეპიზოდში გოლის გატანის ლამის ასპროცენტიანი შანსი გაანიავა. მატჩს ეინდჰოვენში 33 ათასი მაყურებელი დაესწრო, გამარჯვების გოლი **დენი კოევერმანსმა** თამაშის დასრულებამდე ორი წუთით ადრე გაიტანა.



ლევან ცქიტიშვილი (10)


თემურ ქეცბაია

### აშვეთია! დაჯექი, ხუთიანი

**ლევან კობიაშვილმა** ფეხის თითის ტრავმის გამო სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი გამოტოვა. "შალკემ" 2:0 იმარჯვა და ერთპიროვნულად გალიდერდა. ასე რომ, ჩვენი ყურადღება მეორე ბუნდესლიგისკენ იყო მიპყრობილი. პარასკევს **დავით სირაძის** "აუე" შინ მინიმალურად დამარცხდა "დუისბურგთან", ქართველმა ბოლო 25 წუთი ითამაშა. დღეს **მათე ღვინიანიძის** "მიუნხენი" თამაშობს, თუმცა უქართველოდ - ბევრი კი იწუწუნა "ლომების" მენეჯერმა **შტეფან როიტერმა**, მაგრამ ახალკაცთან ვერას გავხდიო, აღიარა - მათე თბილისში მოდის თურქეთთან სათამაშოდ.

გუშინ ერთბაშად ორი ქართველის დებიუტი შედგა მეორე ბუნდესლიგაში, "კარლ ცაისის" მაისურები მოირგეს გიორგი ლომაიამ და **მიხეილ აშვეთიამ**. ჩვენებს აუტსაიდერ კლუბში 34 (აშვეთია) და 35 (ლომაია) ნომრები ჩამოურიგეს. ქართველებს დებიუტი "კიოლნთან" გასვლით მატჩში ჰქონდათ. ლომაია გაშვებულ გოლამდე "კარლ ცაისის" საუკეთესო ფეხბურთელი იყო, პირველ ტაიმში მეტოქის ფორვარდს აჯობა, შემდეგ მაკრატელათი დარტყმულს დაეუფლა. მეორე ტაიმშიც გამოავლინა სხარტი რეაქცია, თუმცა დადგა 82-ე წუთი და... კარგად ჩამოწოდებული ბურთი ქართველმა მეკარემ ხელში ვერ შეიმაგრა და მეტი აღარაფერი დარჩენოდა ბურთსდაუფლებული ფორვარდი წესის დარღვევით შეეჩერებინა. გიორგიმ ყვითელი ბარათი მსაჯისგან, ხოლო დაზარალებული **შერცისგან** პენალტის ნიშნულიდან გოლი მიიღო. ასე გახდა ორ წუთში ქართველი მეკარე მატჩის გმირის ნაცვლად ანტიგმირი. რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას, მას გოლის გატანის ერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, თუმცა ხუთი მეტრიდან ჩვენებურმა ვერ იყოჩაღა. 74-ე წუთზე აშვეთია **გიუნევიშიკით** შეცვალეს. "შპორტალმა" ლომაიას თამაში 4 ბალით შეაფასა, ხოლო აშვეთიასი - ხუთით.

"ფრაიბურგმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა "უნტერჰახინგი", მეორე გოლი კი 54-ე წუთზე **ალექსანდრე იაშვილმა** გაიტანა. კარგად ითამაშა **ოთარ ხიზანეიშვილმაც**, რომელიც 57-ე წუთზე შეცვალეს. ხიზანეიშვილის გარჯა 2,5 ბალით შეაფასეს, ხოლო იაშვილის - 3-ით.

### ცქიტიშვილის დაბრუნება

ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **ლევან ცქიტიშვილის** "პანიონიოსმა", რომელმაც "აპოლონი" დაამარცხა - 3:1. დიდი ხნის შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა ქართველმა ნახევარმცველმა (90 წუთი). ათენურმა კლუბმა 25 ქულა მოაგროვა და თავი გავარდნის ზონიდან დაიძვრინა. "არისთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა **ლევან მაღრაძის** "ქსანთი", რომელსაც 22 ქულა დარჩა. მაღრაძემ 90 წუთი ითამაშა.

### კვიპროსი

კუნძულზე მე-19 ტურის მატჩები გაიმართა. **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი" სტუმრად "ომონიასთან" 0:3 დამარცხდა. ვეტერან ქართველს არ უთამაშია. წინა ტურში დუბლით გამოირჩა აეკ-ის ახალწვეული **კლიმენტი წიტაიშვილი**, ამჯერად, მას ამის საშუალება არ მიეცა, აეკ-ისა და "აპოელის" დაპირისპირება გადაიდო. ქეცბაიას გუნდმა სტუმრად 1:1 ითამაშა, თავად მოთამაშე მწვრთნელს არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ამერმა უნიონს აჯობა

საქართველოს თასის მფლობელი "ამერი" ანთალიურ შეკრებას აგრძელებს. ამჯერად, თბილისურმა კლუბმა სუსტ მეტოქესთან გამართა სპარინგი, "ამერი" გერმანიის ლანდესლიგის ფუერსტენვალგეს "უნიონს" შეხვდა და 4:0 აჯობა. მეტოქე იმდენად სუსტი იყო, რომ "ამერის" ნახევარზე გადასვლაც უჭირდა. პირველი გოლი 33-ე წუთზე **გიორგი ნიკოლაიშვილმა** საჯარიმო დარტყმით გაიტანა. მეორე ტაიმის პირველ წუთზე თავი **ბესიკ ჩიმაკაძემ** გამოიჩინა. თუკი პირველი გოლი ჩიმაკაძემ თავით გაიტანა, 49-ე წუთზე მან ფეხით შეაგდო. 73-ე წუთზე კი უკვე **მიხეილ მესხმა** შეარხია "უნიონის" კარი. "ამერმა" ექსპერიმენტული შემადგენლობით ითამაშა.

6 თებერვალს "ამერი" უკრაინულ "ვორსკლას" გაეჯიბრება. წუხელ მატჩის მერე თბილისში გამოემგზავრნენ: **რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ელბაქიძე, ზურაბ გვაძაბია** და **დავით მჭედლიშვილი**. ისინი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში არიან გამოძახებულნი.

### გაგრა კვირკველიამ დაამარცხა

უცხოური შეკრება უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობისთვის მიუღწეველი ფუფუნებაა, თურქეთში შეკრებაზე კი პირველი ლიგის ერთი წარმომადგენელია - "გაგრა" უკრაინიდან, სადაც მაკაროვის სახელობის ტურნირში ითამაშა, ანთალიაში გადავიდა. შაბათს "გაგრამ" საკონტროლო მატჩი ზაპოროჟიეს "მეტალურგთან" გამართა და 0:2 წააგო. პირველი გოლი ქართველთა კარში ფორვარდმა **კაბანოვმა კვირკველიას** პასით გაიტანა, მეორე გოლი კუთხურიდან ჩამოწოდებულს მოყვა, ყველას სერბმა **პერიშიჩმა** აჯობა. "გაგრელთა" კარში კიდევ ერთი გოლი გასულა, რომელიც თანამსაჯმა, უკრაინელთა მტკიცებით უსაფუძვლოდ, არ ჩათვალა. ამ მატჩში "მეტალურგის" რიგებში 90 წუთი ითამაშა დავით კვირკველიამ, ხოლო **დავით ციმაკურიძე** მოედანზე პირველი 40 წუთი იყო. რაც შეეხება **ირაკლი მოდებაძეს**, ქართველი ფორვარდი ზაპოროჟიეშია, სადაც ტრავმისშემდგომ აღდგენით პროცესს ასრულებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# აქ მოკვდა კალჩო




## ორი კვირა, ცარიელი ტრიბუნები თუ გაჩერება სეზონის ბოლომდე

**ახალი ქაოსი იტალიურ ფეხბურთში. უკვე აღარ გვიკვირს. აპენინებზე ძალიან სწუხან ხოლმე, ხალხი სტადიონებზე აღარ დადისო. და რომ დადის, რა? ასეთ სიარულს, სჯობია სულ არ იაროს. სხვათა შორის, შექმნილ მდგომარეობაში ერთ-ერთი გამოსავალი ესეცაა: სეზონის ბოლომდე დახურულ სტადიონებზე თამაში. შეტაკებები პოლიციასა და "ულტრასებს", ანუ რადიკალ ტიფოზებს შორის, იტალიის სტადიონებზე საკმაოდ ხშირი მოვლენაა, მაგრამ იმან, რაც პარასკევს "კატანია"-"პალერმოს" სიცილიურ დერბიში მოხდა, მთელ ქვეყანას მოთმინების ფიალა აუვსო და ათქმევინა: "ბასტა! ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, საჭიროა უმკაცრესი ზომების გატარება ფეხბურთში წესრიგის დასამყარებლად"...**

"მასიმინოს" ტრიბუნებზე დაწყებულ და სტადიონის გარეთ გაგრძელებულ შეტაკებას, 38 წლის პოლიციელი **ფილიპო რაჩიტი** ემსხვერპლა, 71 ადამიანი კი სხეულის სხვადასხვა დაზიანებით საავადმყოფოებში აღმოჩნდა. *"ფეხბურთი არ ღირს იმად, რომ მას ადამიანების სიცოცხლე ეწირებოდეს,"* - ასეთია ყველა ნორმალური იტალიელის რეაქცია. შედეგად, იტალიაში ფეხბურთი შეწყდა და, ჯერჯერობით, არ არის გადაწყვეტილი, როდის განახლდება. *"ყველა ლიგაში ჩემპიონატი მანამდე არ განახლდება, სანამ რადიკალური ზომები არ გატარდება და სანამ არ მექნება რეალური საფუძველი იმისთვის, რომ ჩემს გადაწყვეტილებას გადავხედო,"* - ასეთი იყო ფედერკალჩოს კომისრის **ლუკა პანკალის** პოზიცია შაბათს. მთავრობით დაწყებული, ამ გადაწყვეტილებას ყველა იზიარებს - კალჩოს პაუზა სჭირდება, რომ იფიქროს და მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვოსო. მაგრამ როგორ, რა საშუალებებით უნდა გამოასწოროს მდგომარეობა? საკითხავი სწორედ ეს არის და ამ პუნქტში აზრები იყოფა. ისეთებიც კი არიან, ვინც მიმდინარე ჩემპიონატების აქვე დასრულებას ითხოვს. მაგრამ, როგორც "გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს იდეას, რომ ჩემპიონატები ორი კვირით შეჩერდეს, მომდევნო ორი კვირა კი ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარდეს. ასეა თუ ისე, მოხდება ის, რასაც მთავრობა და ოლიმპიური კომიტეტი, ფედერკალჩოს ხელმძღვანელებთან ერთად, უახლოეს ორ დღეში გადაწყვეტენ. მანამდე კი, ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამ უქმეებზე იტალიაში გამართული ყველა სპორტული ღონისძიების დროს წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ გარდაცვლილი პოლიციელის ხსოვნას...

### ქრონიკა

საერთოდ, იტალიის ჩემპიონატებში პარასკევს არ თამაშობენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ფედერაციამ გამონაკლისი დაუშვა. მიზეზი - კატანიის მფარველი წმინდანის, სანტ'აგატას რელიგიური დღესასწაული იყო, რომელსაც იქაურები 3-დან 5 თებერვლის ჩათვლით აღნიშნავენ. ეტყობა, ამჯერად, წმინდანი კატანიელებზე ძალიან გამწყრალი იყო...

"პალერმოს" ასამდე ტიფოზი სტადიონზე დაგვიანებით შევიდა და კატანიელი "ულტრასებისთვის" განკუთვნილი "კურვა ნორდის" (ჩრდილოეთ ტრიბუნა) მეზობელ სექტორში მოთავსდა. სექტორებს შორის წესრიგის დამცველთა რაზმი ჩადგა შესაძლო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთა "ულტრასებმა" სტუმართა სექტორისკენ დაიწყეს გადაადგილება და პოლიციასთან პირველი შეტაკებაც ამ დროს მოხდა. "კატანიის" ერთ-ერთი ტიფოზი, რომელიც იმ დღეს "კურვა ნორდში" იჯდა, ტრიბუნებზე მომხდარს ასე იხსენებს:

*"თამაშის წინ საზეიმო განწყობა იყო, ჩხუბის ერთი ფაქტიც არ ყოფილა, რაც ძალიან უცნაურია, რადგან კატანიაში პრობლემებს ყოველთვის აქვს ადგილი. შესვენებისას ტუალეტში გავედი, მაგრამ შესვლამდე საშინელი მტვრევის ხმა მომესმა. სადაც პოლიცია იდგა პატარა ბიჭები ქვებს, ონკანებსა და ათასგვარ საგანს გარეთ ისროდნენ. ამის შემდეგ თვითნაკეთი ბომბების სროლა დაიწყეს, რომელიც, ეტყობა, სტადიონზე წინა დღით დამალეს. პალერმოელთა მოსვლის შემდეგ, კატანიელების ერთმა ჯგუფმა მათთან მიახლოება სცადა, მაგრამ პოლიცია ყველაფერს აკეთებდა ამის თავიდან ასაცილებლად. ტრიბუნაზე ცრემლსადენი გაზის ორი ბალონი დაეცა, ერთი - ჩემგან მეტრის მოშორებით და ხალხმა გაქცევა დაიწყო. ატყდა პანიკა, ზოგიერთები მეორე იარუსიდან ქვემოთ ხტებოდნენ, რომ როგორმე გასაქცევი გზა ეპოვნათ. მივხვდი, რომ რაღაც საფრთხე მელოდა და ერთ-ერთ გასასვლელთან ახლოს დავჯექი, მაგრამ ადგილიდან ფეხის მოცვლას მაინც ვერ ვახერხებდი. ქალები, ბავშვები, ინვალიდები - ყველა ბლოკირებული იყო. ჩვენი ტრიბუნის გასასვლელში, ისე, როგორც მოედანზე, საშინელი კვამლი იდგა, სუნთქვა შეუძლებელი გახდა. იმ მომენტში მეგონა, რომ მოვკვდებოდი. ხალხს გული მისდიოდა, მიწაზე ცვიოდნენ და ტიროდნენ. მერე როგორღაც ნელ-ნელა გავძვერი, გარეთ გავაღწიე და სახლში გავიქეცი. ჩემი ნათესავი სტადიონზე გვიან ღამემდე ბლოკირებული დარჩა. მინდა, რომ ერთი რამე ყველასთვის ცხადი იყოს: ფეხბურთი აქ არაფერ შუაშია, "ულტრასების" მეთაურები სულ იმეორებდნენ, რომ მოედნისკენ არანაირი საგანი არ ესროლათ, რადგან სტადიონს დისკვალიფიკაციას მისცემდნენ. სინამდვილეში ხდება ის, რომ ხულიგნები და დამნაშავეები თავს ტიფოზებად ასაღებენ და საფეხბურთო შეხვედრებს პოლიციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყენებენ. მოწინააღმდეგე ტიფოზებთან შეტაკების ფაქტები თითქმის არასდროს ხდება, მხოლოდ პოლიციაზე თავდასხმას აქვს ადგილი. არიან 14-15 წლის ბიჭები, რომლებმაც იციან, რომ ტიფოზის როლში დაუსჯელი დარჩება, ამით სარგებლობს და პოლიციას ათასგვარ საგანს ესვრის. ასეთები ათეულობით არიან. წლების მანძილზე აბონემენტს [illegible] მომავალშიც ვივლი სტადიონზე. მაგრამ კატანიაში ყველა შეხვედრა სარისკოა, რადგან ასეთი თავდასხმები წინასწარ არის განზრახული და ფეხბურთთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს თინეიჯერები ფეხბურთს საერთოდ არ უყურებენ, სტადიონზე სულ სხვა მიზნით დადიან".*

კატანიელმა "ულტრასებმა" სტადიონი დატოვეს და პოლიციის მოლოდინში ახლომდებარე მოედანზე დაბანაკდნენ. სწორედ იქ განვითარდა ყველაზე ტრაგიკული მოვლენები, რომელსაც პოლიციელის სიცოცხლე შეეწირა. იქაურობა პატარა საომარ სცენას დაემსგავსა, ისეთს, როგორიც სამხრეთამერიკულ ქვეყნებში სამოქალაქო ომების დროს არის ხოლმე. ფილიპო რაჩიტი დაჯავშნული მანქანით "ულტრასების" გასაფანტად ნელი სვლით მიდიოდა, თან კარი ღია ჰქონდა, რომ ფარად აეფარებინა პოლიციელთა ერთი რაზმისთვის, რომელიც უკნიდან ფეხით მიჰყვებოდა. ამ დროს მანქანას ყველა მხრიდან ათასგვარი საგანი დაუშინეს, რაჩიტის უზარმაზარი ქვა მკერდში მოხვდა და კარის დახურვა დააპირა, როცა თვითნაკეთი ბომბი პირდაპირ მის ფეხებთან აფეთქდა. აფეთქების შედეგად, პოლიციელს შინაგანი ორგანოები იმდენად დაუზიანდა, რომ საავადმყოფოში გადაყვანის მიუხედავად, მისი გადარჩენა ველარ მოხერხდა.

### გამოძიება

კატანიის პროკურატურაში საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. რაჩიტის კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. გამომძიებლები დეტალურად სწავლობენ შეტაკების ამსახველ კადრებს, რათა კონკრეტული დამნაშავე გამოავლინონ. პოლიციამ იმ ღამესვე დააკავა 22 ტიფოზი, მათგან - 9 არასრულწლოვანი. მათ ძალადობასა და საჯარო პირისადმი აგრესიაში ადანაშაულებენ. ბრალდება კიდევ უფრო მძიმე შეიძლება გახდეს, თუ სტადიონისა და მისი შემოგარენისთვის მიყენებულ მატერიალურ ზარალსაც გაითვალისწინებენ. შაბათს, პოლიციამ კატანიელი "ულტრასების" ერთ-ერთი დაჯგუფების ოფისში რეიდი მოაწყო და იქაც რამდენიმე პირი დააკავა. აი, რას აცხადებს კატანიის გენერალური პროკურორი **რენატო პაპა**:

*"გარკვეული ადამიანების ჯგუფი პოლიციის წინააღმდეგ – აი, ესაა პრობლემის არსი და არა ის, რომ "კატანია" "პალერმოს" წინააღმდეგ თამაშობდა. საქმე ეხება ისეთ ქმედებებს, რომელთა მიზანი სამართალდამცავებისთვის ზიანის მიყენებაა. ეს ის ხალხია, ვისაც საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება მოედანზე. სტადიონებზე ძალადობის აღსაკვეთად მიღებული კანონი არაადეკვატურია. თუ დაკავებულ ტიფოზს მანამდე კანონდარღვევა არ აქვს ჩადენილი, მას დაუყოვნებლივ ათავისუფლებენ. როგორც ამ ქვეყნის რიგით მოქალაქეს, ჩემპიონატების შეწყვეტა შეცდომად მიმაჩნია, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტი ერთი მუჭა ბანდიტების მძევლად იქცა".*

### რეაქცია

ჩემპიონატებთან ერთად, გაუქმდა 7 თებერვლისთვის სიენაში დაგეგმილი ამხანაგური მატჩი იტალიისა და რუმინეთის ნაკრებებს შორის. "სკუადრა აძურის" მწვრთნელმა **რობერტო დონადონიმ** გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნია:

*"მიღებული ზომები დროული იყო და მათ აბსოლუტურად ვიზიარებ. ეროვნული ნაკრები იტალიური ფეხბურთის ნაწილია, სწორი არ იქნებოდა, რომ რუმინელების წინააღმდეგ გვეთამაშა".*

"აძურის" ექსმწვრთნელის, **მარჩელო ლიპის** კომენტარი ასეთი იყო: *"ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ პოლიციამ შესანიშნავად იცის, ვინ არიან ეს ადამიანები. ყოველთვის ლაპარაკობენ, რომ ესა და ეს ზომებია მისაღები, მაგრამ მერე არაფერი კეთდება და ძველებურად ვაგრძელებთ".*

"ლაციოს" მეკარე **ანჯელო პერუცი** მიზეზს საკუთარ თავშიც ეძებს: *"ყველანი დამნაშავეები ვართ, ფეხბურთელების ჩათვლით. ჩვენი საქციელითა და სიტყვებით ყოველთვის არასპორტულობის მაგალითს ვიძლეოდით".*

კატანიაში მომხდარს ბარსელონიდან **ლილიან ტურამიც** გამოეხმაურა: *"იტალიის სტადიონებზე ბავშვების წაყვანა აღარ შეიძლება. მახსოვს, ჩემი ოჯახის წევრებს ერთხელ "მილანი"-"იუვენტუსის" შეხვედრაზე წასვლა ავუკრძალე. თუმცა, ეჭვი მეპარება, რომ ჩემპიონატის შეწყვეტამ ბანდიტები დააფიქროს".*

**იოზეფ ბლატერი**: *"შოკში ვარ, მართლაც რომ შოკში ვარ. ფეხბურთის სამყაროში ძალადობას მოქალაქეობის უფლება არ აქვს. ძალიან ვწუხვარ იტალიური ფეხბურთის გამო, განსაკუთრებით კი იმ პოლიციელზე, რომელიც კატანიაში მოკლეს. სტადიონზე იმისთვის იყო, რომ სხვას დახმარებოდა და ამ საქმეს სიცოცხლე შესწირა. საშინელი ტრაგედიაა, მაგრამ მოგეხსენებათ, ფეხბურთი საზოგადოების სარკეა. იმედი მაქვს, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ყველა საჭირო ზომას გაატარებს. დადგა დრო, როცა ამ ქვეყანამ ფეხბურთში წესრიგი ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაამყაროს".*

### ევრო 2012: არსებობს თუ არა საფრთხე?

უეფას ახალი პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** მხარს უჭერს იტალიის ფეხბურთის ფედერაციას და მისი კომისრის გადაწყვეტილებას, რომ "გაურკვეველი ვადით შეწყვიტოს საფეხბურთო მატჩების ჩატარება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე". 18 აპრილს, კარდიფში, უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ევრო 2012-ის მასპინძელი ქვეყანა უნდა დაასახელოს. კანდიდატი სამია: იტალია, პოლონეთი-უკრაინა და უნგრეთი-ხორვატია. ყველაფრის მიუხედავად, იტალია მაინც ფავორიტია, რადგან უფრო მეტი გარანტიების გაცემა შეუძლია, ვიდრე პოლონეთს (ახლახან, საფეხბურთო ფედერაციაში დიდი სკანდალი იყო) ან ხორვატიას (პოლიტიკური პრობლემები, მატერიალური რესურსების სიმცირე). პარასკევის მოვლენების შემდეგ, პლატინი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმ შემთხვევაში, თუ უეფა იტალიის კანდიდატურას საგანგებო წესით მოხსნის, თავად დადგება პრობლემების წინაშე. თავის ოფიციალურ განცხადებაში ახლადარჩეული პრეზიდენტი წერდა: *"მჭიდროდ უნდა ვითანამშრომლოთ იტალიის მთავრობასთან და ფეხბურთის მმართველებთან, რათა ერთად ვიპოვოთ გამოსავალი ძალადობის დასაძლევად".*

ანუ, იტალიამ უნდა დაუმტკიცოს ევროპას, რომ კატანიაში მომხდარი ფაქტი კალჩოს უკანასკნელი შავი ფურცელია. ეს აუცილებელი პირობაა ევრო 2012-ის მასპინძლობისთვის.

### შეხვედრა მთავრობასთან

გუშინ, ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის საგანგებო სხდომა გაიმართა. მასში ფედერკალჩოს კომისარიც მონაწილეობდა. *"ჩემპიონატის შეწყვეტასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება უცვლელი რჩება და ასე დარჩება მანამდე, ვიდრე პოლიციელ რაჩიტის დაკრძალავენ, თან ესეც არ იყოს, მთავრობასთან უმნიშვნელოვანესი საკითხები გვაქვს შესათანხმებელი,"* - თქვა სხდომის შემდეგ პანკალიმ.

კომისარს მხედველობაში ჰქონდა შეხვედრა, რომელიც დღეს, "კიჯის" სასახლეში შედგება: პრემიერ-მინისტრი **რომანო პროდი**, სპორტისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი და ფედერკალჩოს კომისარი პრობლემებზე ერთად იმსჯელებენ. აქ უნდა ითქვას საბოლოო სიტყვა იმაზე, თუ რა ზომები გატარდება კალჩოში და როდის განახლდება ფეხბურთი იტალიის სტადიონებზე...

**გოგა ახალაძე**



ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური

# კრისტიანო რონალდო, შეუდარებელი მატყუარა

## ოჰ, ეს საძულველი კლეტენბურგი!



კრისტიანო რონალდომ ნაჩუქარი პენალტი აუღელვებლად გაიტანა

„ჩელსის“ „ჩარლტონის“ დასამარცხებლად ბევრი შრომა დასჭირდა. საბოლოოდ, მან მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. **ფრენკ ლემპარდმა** ბოლო რვა შეხვედრაში მერვედ გამოიჩინა თავი. „არისტოკრატებმა“ ოთხი დღის შუალედით მეორე კალენდარული შეხვედრა მოიგეს. ჩარლტონელებს საუკეთესო ბომბარდირი **დარენ ბენტი** არ ჰყავდათ. ამის მიუხედავად, სტუმართა კართან რამდენიმე მწვავე მომენტი შექმნეს: **პეტრ ჩეხმა ამადი ფაიეს** ორი საგოლე დარტყმა უკუაგდო. თამაშის მიწურულს **ჟოზე მოურინიომ ჯონ ტერი** გამოიყვანა. კაპიტანმა 17 დეკემბრის შემდეგ პირველად გააგორა ბურთი. მან მინდორზე მხოლოდ ორი წუთი გაატარა. მომდევნო ტურიდან ტერი ძირითადში ითამაშებს და „ჩელსის“ დაცვაც გაცილებით საიმედო გახდება.

თამაში ნელ ტემპში დაიწყო. „ჩარლტონის“ კარის მიმართულებით პირველად **ანდრეი შევჩენკომ** მე-13 წუთზე დაარტყა. **სკოტ კარსონმა** ბურთი კუთხურზე მოიგერია. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ „ლივერპულიდან“ იჯარით აყვანილმა გოლკიპერმა თამაშის თითქმის ნახევარი თავისუფალი მცველის პოზიციაზე ჩაატარა. ის უკანა ხაზის მოთამაშეებს ყოველთვის საიმედოდ აზღვევდა.

„ჩელსის“ დაცვის მარცხენა ფლანგზე, დაშავებული **ეშლი კოულის** ნაცვლად **უეინ ბრიჯი** თამაშობდა. ის ხშირად ერთვებოდა შეტევებში და მეტოქის საჯარიმოში სახიფათოდ აწვდიდა.

გოლი მე-18 წუთზე გავიდა. „ჩარლტონის“ მცველებმა ბურთი საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს დაკარგეს. შევჩენკო კარისკენ დაიძრა, მაგრამ ფაიე გადაელობა. უკრაინელმა ბურთი ლემპარდს გაუგორა. ფრენკმა კი დაახლოებით 25 იარდიდან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. ერთ წუთში ბრიჯის ჩაწოდებას შევჩენკოს თავური მოჰყვა. ანდრეიმ ოდნავ ააცილა. ჩელსის იერიშები არ შესუსტებულა. სტადიონი გასუსული ადევნებდა თვალს თავისი გუნდის გასაჭირს. **დიდიე დროგბამ** 30 იარდიდან დასცხო. კარსონი დაბალ ბურთს ნახტომში მისწვდა და კუთხურზე გადააგდო.

იქვე „ჩარლტონს“ მოულოდნელი შანსი გაუჩნდა. **ტალალ ელ ქარქურმა** მარჯვენა ფლანგიდან კარის შორ მაღალ კუთხეს დაუმიზნა. ჩეხმა ტრაექტორია კარგად გათვალა და საფრთხე გააუვნებელყო.

მეორე ნახევარში მასპინძელთა თავკაცმა **ალან პერდიუმ** მოედანზე გამოიყვანა „ჩელსის“ ყოფილი ვარსკვლავი **ჯიმი ჰასელბენკი**, რომელმაც მოურინიოს დანიშვნისთანავე, 2004 წელს „მიდლსბროს“ მიაშურა, გასულ ზაფხულს კი „ჩარლტონში“ ამოჰყო თავი. მაგრამ ჰასელბენკის გამოყვანამ საქმეს ვერ უშველა. ჩარლტონელებს ბოლო პასის გაკეთება უჭირდათ, ხოლო რამდენიმე ეპიზოდში, როცა „ჩელსის“ მცველებმა იერიშის განვითარების საშუალება მისცეს, ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იყო მეკარე ჩეხი. 75-ე წუთზე მოურინიომ ორმაგი შეცვლა გააკეთა. მინდორზე გამოვიდნენ **სალომონ კალუ** და **შონ რაიტ-ფილიპსი**. კალუმ ბურთთან პირველივე შეხებისას ძელი შეაზანზარა...

ლივერპულური დერბი მშვიდობიანი ანგარიშით დასრულდა. ეს გახლდათ თანაქალაქელთა 205-ე შეხვედრა, მაგრამ მხოლოდ ინგლისის ჩემპიონატის მატჩებს თუ დავთვლით, გუშინწინდელი დაპირისპირება 176-ე იყო. წლევანდელ სეზონში „ევერტონმა“ გაიმარჯვა. პირველი წრის დერბიში ევერტონელებმა საკუთარ მოედანზე 3:0 მოიგეს.

სტუმართა თავკაცმა **დევიდ მოიესმა** ძირითადში ათამაშა ახლად გამოჯანმრთელებული თავდამსხმელი **ენდრიუ ჯონსონი**. დაცვის ცენტრს დაუბრუნდა კიდევ ერთი ტრავმამოშუშებული ლიდერი, **ტინო ჰიბერტი**, რომელიც ოქტომბრის შემდეგ ისვენებდა.

**რაფა ბენიტესმა** ისევ სამი თავდამსხმელი გამოიყვანა - **პიტერ კრაუჩი, დირკ კუიტი** და **კრეიგ ბელამი**. უცვლელი დარჩა დაცვის ცენტრიც **ჯეიმი კარაგერისა** და **დანიელ აგერის** დუეტით. სემი ჰიპია ისევ სკამზე აღმოჩნდა. **იონ არნე რიისემ** საკმაოდ სუსტად ითამაშა. **მიკელ არტეტამ** მას სამოქმედო არეალი შეუზღუდა და „ლივერპულს“ შეტევის მარცხენა ფლანგი გადაუკეტა. იმავე ფლანგზე სტუმართაგან ნაყოფიერად შრომობდა **ტიმ კაჰილი** და მასპინძლებს სახიფათო ჩაწოდებებით პრობლემებს უქმნიდა.

პირველ ნახევარში მომენტები თითქმის არ შექმნილა. „ლივერპულმა“ ერთ გააზრებულ კომბინაციას მოაბა თავი. შეტევა კრაუჩის დარტყმით დასრულდა. ევერტონელთა მეკარე **ტიმ ჰოვარდმა** ბურთი ფეხებით მოიგერია. ბელამიმ მაშინვე დაამატა და შეაგდო, მაგრამ არ ჩაუთვალეს - კრაუჩის იერიშისას ის თამაშგარეში იმყოფებოდა. ბენიტესის გუნდს მოედნის ცენტრშიც გაუჭირდა თამაშის აწყობა. **ჩაბი ალონსომ** პასების განაწილებას ვერა და ვერ მოაბა თავი. მატჩის სცენარი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. 0:0 სავსებით ლოგიკური შედეგი გახლდათ...

„არსენალმა“ მერსისაიდელთა წაფორხილებით ვერ ისარგებლა. „მეთოფეებმა“ ორი ქულა მიდლსბროში გაანიავეს, თუმცა გამარჯვებას ვინ ჩივის - ლონდონელებს ფრეც კინაღამ სანატრელი გაუხდათ. 61-ე წუთზე ისინი ათი კაცის ამარა დარჩნენ. **ფილიპ სენდეროსმა** საკუთარ საჯარიმოში **იაკუბუ აიეგბენი** მოცელა. ბოლო იმედის ჯარიმისთვის მას დაუყოვნებლივ წითელი ბარათი აუფრიალეს. ნიგერიელმა თავდამსხმელმა კი პენალტი გაიტანა. „არსენალის“ გადარჩენა **ტიერი ანრიმ** ითავა. თამაშის დასრულებამდე 13 წუთით ადრე მან საპასუხო გოლი შეაგდო. იერიში **კოლო ტურემ** წამოიწყო. **ემანუელ ადებაიორმა** (მატჩის წინ წერდნენ, ტოგოელი ვერ ითამაშებსო) ბურთი თავით დაუგდო ანრის. ტიერიმ კი კომბინაცია ეფექტური დარტყმით დააგვირგვინა.

კოლო ტურეს უმძიმესი საღამო ჰქონდა. **მარკ ვიდუკამ** (ორმატჩიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა) ის საშინლად დაჩაგრა და თავმოყვარეობა შეულახა. მორიგი შთამბეჭდავი თამაში ჩაატარა რივერსაიდელთა დაცვის ბურჯმა **ჯონათან ვუდგეიტმა**. მისი წყალობით, **გარეთ საუთგეიტის** შეგირდებმა რვამატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხვეს. „არსენალის“ სტუმრობამდე „ბოროს“ ზედიზედ ოთხი საშინაო მატჩი ჰქონდა მოგებული. ამ გუნდების პირველი წრის მატჩიც 1:1 დასრულდა.

„მეთოფეებმა“ საკმაოდ სუსტად ითამაშეს. არადა, „ტოტენჰემთან“ სათასო ნახევარფინალის შემდეგ **არსენ ვენგერმა** ძირითადში ექვსი წამყვანი ფეხბურთელი (**ტიერი ანრი, იენს ლემანი, გაელ კლიში, სესკ ფაბრეგასი, მატიო ფლამინი** და **ტომაშ როსიცკი**) დააბრუნა...

„ბოლტონმა“ „უოტფორდთან“ დაგეგმილი სამი ქულა მოიპოვა. **სემ ელერდაისის** გუნდს დეკემბრის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული. გამარჯვების გოლი **ნიკოლა ანელკამ** შეაგდო. უოტფორდელთა გადარჩენის შანსი მიზერულია. მათი იმედი უშუალო კონკურენტებთან - „ვესტ ჰემთან“, „ვიგანსა“ და „ჩარლტონთან“ მომავალ მატჩებს უკავშირდება. „უოტფორდს“ ამ თამაშებში ქულათა მაქსიმუმის მოგროვება სჭირდება...

„ფულჰემმა“ „ნიუკასლს“ ამ სეზონში მეორე თამაშიც მოუგო. ჯორდებმა 2007 წელს პირველი მარცხი იწვნიეს. პირველი გოლისას დასანანი შეცდომა დაუშვა გამოცდილმა ნახევარმცველმა **ნიკი ბატმა**. მან მეკარეს უყურადღებოდ დაუბრუნა ბურთი. პასი **ჰეიდარ ჰელგუსონმა** ჩაჭრა, **სტივ ჰარპერთან** პირისპირ გავიდა და ანგარიში გახსნა...

„რედინგმა“ „მანჩესტერ სიტის“ გასვლაზე მოუგო და ევროპულ ზონას მიუახლოვდა. „სიტის“ გულშემატკივრებს ძნელად თუ დაამშვიდებთ ის გარემოება, რომ ორი დღით ადრე მათი გუნდის მთავარ მწვრთნელ **სტიუარტ პირსს** ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებიც ჩააბარეს...

გაიმარჯვა „ბლექბერნმაც“. **მარკ ჰიუზის** გუნდის წარმატებას, შეიძლება, დრამატულიც ვუწოდოთ. **მორტენ გამსტ პედერსენმა** მსაჯისგან დამატებულ წუთებზე საჯარიმო გაიტანა. „ვარდებს“ თამაშის ჩამთავრება ათი კაცით მოუხდათ - ორი წუთით ადრე მეორე ყვითელი ბარათისთვის **სტივ უორნოკი** გააძევეს...

„ასტონ ვილამ“ „ვესტ ჰემი“ **ჯონ კარეუს** გოლით დაამარცხა. ნორვეგიელ თავდამსხმელს ახალ კლუბთან შესაგუებლად დრო თითქმის არ დასჭირვებია. მან „ნიუკასლთან“ წინა ტურშიც (სადებიუტო მატჩი ბირმინგემელთა შემადგენლობაში) გაიტანა, მაგრამ არბიტრის მცდარი გადაწყვეტილებით, გოლი არ ჩაუთვალეს. „ჩაქუჩებმა“ თამაშის მიწურულს გაიბრძოლეს და დანიელი მეკარე **ტომას სორენსენის** ორი საუცხოო სეივი რომ არა, აუცილებლად მიაღწევდნენ მიზანს...

დაბოლოს, გაიმარჯვა „ვიგანმაც“. **პოლ ჯუელის** შეგირდებმა კლუბისთვის სარეკორდო, წაგებათა 9-მატჩიანი სერია „პორტსმუთთან“ შეხვედრაში დაასრულეს. ერთადერთი გოლი იმ **ლი მაკალოხმა** გაიტანა, რომელიც იანვრის ფანჯრისას „რეინჯერსთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებებს და ტრანსფერი ბოლო წამს ჩაეშალა.

„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ტოტენჰემი“ მიწასთან გაასწორა და „ჩელსისთან“ ცხრილის სათავეში ექვსქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. ანგარიში მრავლისმეტყველია, მაგრამ ძნელია, არ გაიზიარო ტოტენჰემელთა იმედგაცრუება პირველი გოლის გამო. ტაიმის მიწურულს, როცა შესვენებამდე წამები იყო დარჩენილი, **კრისტიანო რონალდო** მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა და მინდორზე გაიშხლართა. მის შეჩერებას მასპინძელთა ორი მოთამაშე - **სტიდ მალბრანკი** და **იანგ პიო ლი** ცდილობდა, მაგრამ... პორტუგალიელს არავინ შეხებია! პენალტი! კრისტიანომ მსაჯის საჩუქარი აუღელვებლად შეირგო და ანგარიში გახსნა. სხვა მხრივ, მას მორიგი შთამბეჭდავი საღამო ჰქონდა, ორივე ფლანგი აიკლო და **პოლ სქოულზს** საგოლე გადაცემაც გაუკეთა. სერ **ალექს ფერგიუსონმა** ის 68-ე წუთზე შეცვალა, იმ დროს, როცა საქმე უკვე გაკეთებული იყო...

სქოულზამდე **ნემანია ვიდიჩმა** გამოიჩინა თავი. თამაშს კი **რაიან გიგზმა** დაუსვა წერტილი. მე-80 წუთზე, გიგზის ნაცვლად ირლანდიელი მცველი **ჯონ ოში** შევიდა მინდორზე და საბოლოოდ, **ედვინ ვან დერ სარის** ადგილზე აღმოჩნდა. ჰოლანდიელმა **რობი კინთან** შეჯახებისას ცხვირი გაიტეხა. მას სისხლი წასკდა და ექიმებმა თამაშის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს. ფერგის სამივე ცვლილება გაკეთებული ჰქონდა და კარში ყველაზე ტანმაღალი მცველი გაამწესა. ოში ორჯერ ჩაერთო თამაშში. პირველად, მაღალი ბურთი მუშტებით უხეიროდ მოიგერია, მაგრამ მეორედ - პირისპირ გასულ კინს საჯარიმოს ხაზთან ისე ჩაუხტა, რომ მაღალი დონის გოლკიპერსაც შეშურდებოდა.

ამ სეზონში „იუნაიტედმა“ ლონდონში ორჯერ წააგო - „ვესტ ჰემთან“ და „არსენალთან“. „მამლებმა“ თანაქალაქელებს მხარი ვერ აუბეს. „ტოტენჰემს“ „მენიუ“ 2001 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. ორი წლის წინ, ის ძალიან ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ არბიტრმა **მარკ კლეტენბურგმა პედრო მენდესის** გადამწყვეტი გოლი არ ჩათვალა. რატომ გაგვახსენდა კლეტენბურგი? იმიტომ, რომ გუშინდელ შეხვედრასაც ის უძღვებოდა. „ტოტენჰემის“ ფანებს მისტერ მარკი, ალბათ, მთელი არსებით სძულთ...

### მომდევნო ტური

**10 თებერვალი. ჩელსი-მიდლსბრო, ევერტონი-ბლექბერნი, მანჩესტერ იუნაიტედი-ჩარლტონი, ნიუკასლი-ლივერპული, პორტსმუტი-მანჩესტერ სიტი, რიდინგი-ასტონ ვილა, შეფილდი-ტოტენჰემი, ვესტ ჰემი-უოტფორდი. 11 თებერვალი. ბოლტონი-ფულჰემი, არსენალი-ვიგანი.**

### ჩარლტონი-ჩელსი 0:1

**ჩარლტონი:** კარსონი, სანკოფა, ელ ქარქური, ჰრეიდარსონი, ტეტჩერი, რომედალი (46. ჰასელბენკი), ფაიე, ჰოლანდი (78. ლისბი), ჰიუზი, ტომასი (88. დიავარა), მარკუს ბენტი.

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა, ესიენი, კარვალიო, ბრიჯი, მიკელი (75. რაიტ-ფილიპსი), მაკელელე (88. ტერი), ბალაკი, ლემპარდი, შევჩენკო (75. კალუ), დროგბა.

**გოლები:** 0:1 ლემპარდი (18).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 8(5)-17(8); **კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 7-8.

**მაყურებელი:** 27 111

### ლივერპული-ევერტონი 0:0

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი, ჩაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (85. ფაულერი), კუიტი, კრაუჩი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, კარსლი, ფილ ნევილი, კაჰილი, არტეტა, ოსმანი, ენდრიუ ჯონსონი (80. ანიჩებე).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 25(10)-6(4); **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 13-18.

**მაყურებელი:** 44 234

### მიდლსბრო-არსენალი 1:1

**მიდლსბრო:** ჯოუნსი, შავიერი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოული (46. მორისონი), ბოატენგი, არკა, დაუნინგი, ვიდუკა (90. კრისტი), იაკუბუ.

**არსენალი:** ლემანი, ჰოიტი (80. დენილსონი), კოლო ტურე, სენდეროსი, კლიში, ფლამინი, ფაბრეგასი, ჟილბერტო, როსიცკი, ადებაიორი (86. ალიადიერი), ანრი.

**გოლები:** 1:0 იაკუბუ (63-პენ), 1:1 ანრი (77).

**გაძევება:** სენდეროსი (61. არსენალი)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 3(1)-11(4); **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 14-5.

**მაყურებელი:** 31 132

### უოტფორდი-ბოლტონი 0:1

**უოტფორდი:** ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, მაკეი, სტიუარტი, უილიამსონი (46. უილიამსი), მაჰონი, ფრენსისი (77. კაბა), ბუაზა (68. მაკნემი), ჰენდერსონი, ჰოსკინსი.

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფაიე, ბენ ჰაიმი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დიუფი (80. ჰენრიკ პედერსენი), ანელკა, იანაკოპულოსი (50. თეიმურიანი).

**გოლი:** 0:1 ანელკა (63).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 7(3)-7(4); **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 8-9

**მაყურებელი:** 18 722

### ფულჰემი-ნიუკასლი 2:1

**ფულჰემი:** ლაშტუვკა, როსენორი, კრისტანვალი, ბოკანეგრა, კუოდრო, რუთლიჯი (78. დემპსი), ბრაუნი, ვოლცი (67. დიოპი), დევისი, ჰელგუსონი, მაკბრაიდი (80. მონტელა).

**ნიუკასლი:** ჰარპერი, კარი, ბრემბლი, ონიევუ, ტეილორი, მილნერი, პარკერი, ბატი, დაფი (68. სიბირსკი), დაიერი (85. სოლანო), მარტინსი.

**გოლები:** 1:0 ჰელგუსონი (49), 2:0 მაკბრაიდი (73), 2:1 მარტინსი (90).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 15(9)-8(4); **კუთხური:** 8-6; **ჯარიმა:** 12-13.

**მაყურებელი:** 24 340

### მანჩესტერ სიტი-რედინგი 0:2

**სიტი:** ვივერი (35. ისაკსონი), რიჩარდსი, დანი, დესტენი, ტრაბელსი, ბისლი, დაბო (48. ჰამანი), ბარტონი, ირლანდი, სამარასი (74. სტარიჯი), ვასელი.

**რედინგი:** ჰანემანი, მერტი, შორი, ბიკი, ინგიმარსონი, ჰარპერი, სიდველი, ლიტლი (80. ოსტერი), ჰანტი, ლიტა, ლონგი (75. კიტსონი).

**გოლები:** 0:1 ლიტა (79), 0:2 ლიტა (89).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 16(7)-7(3); **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 12-13.

**მაყურებელი:** 38 676

### ბლექბერნი-შეფილდ იუნ. 2:1

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, მოკოენა (60. დანი), ქერიმოღლუ (87. ნონდა), პედერსენი, დერბიშირი (17. რობერტსი), მაკარტი.

**შეფილდი:** კენი, გირი, ჟაგიელკა, ლუკეტი, კოზლუკი, ტონგე, მონტგომერი, არმსტრონგი, სტივ ქუინი, სტიდი, ჰალსი.

**გოლები:** 1:0 პედერსენი (22), 1:1 სტიდი (25), 2:1 პედერსენი (90).

**გაძევება:** უორნოკი (88. ბლექბერნი).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 11(6)-11(5); **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 18-19.

**მაყურებელი:** 20 917

### ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 1:0

**ვილა:** სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, კაჰილი, ბუმა, პეტროვი, მაკენი, ბერი, აგბონლაორი, კარუ (73. ბერგერი), იანგი (90. რიჯველი).

**ვესტ ჰემი:** ქეროლი, სპექტორი, დევენპორტი, აპსონი (30. დეილი), მაკარტნი, ბენაიუნი, რეო-კოკერი, კვოში, ბოა მორტე (61. ეთერინგტონი), ზამორა, ბლანკო (60. ჰერვუდი).

**გოლები:** 1:0 კარუ (36).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 17(6)-7(2); **კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 13-21.

**მაყურებელი:** 41 202

### ვიგანი-ბოლტონი 1:0

**ვიგანი:** კერკლანდი, ტეილორი, ჯექსონი, ბოისი, ანსუორთი, ვალენსია (61. ჰოლი), ლანდზაატი, სკოკო, მაკალოხი, ფოლანი, აგაჰოვა (85. იოჰანსონი).

**ბოლტონი:** ჯეიმსი, ჯონსონი, კემპბელი, პრიმუსი, პამარო (74. ტეილორი), ლორენი (52. ლუალუა), პედრო მენდესი, ჰიუზი, დუალა, კანუ (71. კოული), მვარუვარი.

**გოლები:** 1:0 მაკალოხი (68).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 15(8)-5(4); **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 10-8.

**მაყურებელი:** 15 093

### ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ. 0:4

**ტოტენჰემი:** რობინსონი, შიმბონდა, ლი, დოსონი, გარდნერი, ლენონი, ჰადლსტონი, ზოკორა (56. გალი), მალბრანკი, დეფო (56. კინი), ბერბატოვი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გარი ნევილი, ევრა, ფერდინანდი, ვიდიჩი, რონალდო (68. პარკი), ქერიკი, სქოულზი, გიგზი (80. ოში), რუნი (64. საა), ლარსონი.

**გოლები:** 0:1 რონალდო (45-პენ), 0:2 ვიდიჩი (48), 0:3 სქოულზი (54), 0:4 გიგზი (77).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 10(5)-12(7); **კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 8-16.

**მაყურებელი:** 36 146

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 26 | 20 | 3 | 3 | 61-18 | 63 |
| 2. ჩელსი | 26 | 17 | 6 | 3 | 45-19 | 57 |
| 3. ლივერპული | 26 | 15 | 5 | 6 | 39-17 | 50 |
| 4. არსენალი | 25 | 13 | 7 | 5 | 46-21 | 46 |
| 5. ბოლტონი | 26 | 13 | 5 | 8 | 30-27 | 44 |
| 6. რედინგი | 26 | 12 | 4 | 10 | 39-34 | 40 |
| 7. პორტსმუტი | 26 | 10 | 8 | 8 | 34-25 | 38 |
| 8. ევერტონი | 25 | 9 | 9 | 7 | 31-23 | 36 |
| 9. ბლექბერნი | 26 | 10 | 4 | 12 | 30-37 | 34 |
| 10. ნიუკასლი | 26 | 9 | 6 | 11 | 32-35 | 33 |
| 11. ტოტენჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 29-36 | 33 |
| 12. მიდლსბრო | 26 | 8 | 8 | 10 | 30-30 | 32 |
| 13. ასტონ ვილა | 26 | 7 | 11 | 8 | 28-31 | 32 |
| 14. ფულჰემი | 26 | 7 | 11 | 8 | 28-39 | 32 |
| 15. მანჩ. სიტი | 25 | 8 | 6 | 11 | 19-30 | 30 |
| 16. შეფილდი | 26 | 7 | 6 | 13 | 22-35 | 27 |
| 17. ვიგანი | 25 | 7 | 4 | 14 | 26-41 | 25 |
| 18. ვესტ ჰემი | 26 | 5 | 5 | 16 | 18-41 | 20 |
| 19. ჩარლტონი | 26 | 5 | 5 | 16 | 20-45 | 20 |
| 20. უოტფორდი | 25 | 2 | 9 | 14 | 14-37 | 15 |

**ბომბარდირები:** 15 - დროგბა (ჩელსი); 14 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 11 - ვან პერსი (არსენალი); 10 - აიეგბენი (მიდლსბრო), ლემპარდი (ჩელსი), დოილი (რიდინგი), მაკარტი (ბლექბერნი), რუნი (მანჩესტერ იუნ); 9 - ანრი (არსენალი), კანუ (პორტსმუტი).

### ჩემპიონატი

XXXI ტური

**კარდიფი-ბარნსლი 2:0**

გოლები: 1:0 უიტინგემი (11), 2:0 ჩოპრა (44)

**კოლჩესტერი-ბირმინგემი 1:1**

გოლები: 1:0 იზეთი (55), 1:1 კლემენსი (66)

**კრ.პალასი-იფსვიჩი 2:0**

გოლები: 1:0 კორტი (33), 2:0 იფილი (51)

**ჰალი-ვესტ ბრომვიჩი 0:1**

გოლი: 0:1 დ. კამარა (59)

**ლესტერი-ლუტონი 1:1**

გოლები: 1:0 იტსი (6), 1:1 მორგანი (33)

**ნორვიჩი-ლიდსი 2:1**

გოლები: 0:1 ჰოუსონი (20), 1:1 დაბლინი (59), 2:1 ჰაკერბი (78)

**ქუინზ პარკი-ბარნსლი 3:1**

გოლები: 1:0 კუკი (13), 1:1 მაკანი (18), 2:1 ბლეკსტოკი (55), 3:1 ლომასი (72)

**უენსდი-პრესტონი 1:3**

გოლები: 1:0 ბარტონი (4), 1:1 ორმეროდი (6), 1:2 ნაგენტი (45), 1:3 ნაგენტი (55)

**საუთჰემპტონი-დერბი 0:1**

გოლი: 0:1 ჰოვარდი (83)

**სტოკი-საუთენდი 1:1**

გოლები: 1:0 ფულერი (31), 1:1 ისტვუდი (86)

**სანდერლენდი-კოვენტრი 2:0**

გოლები: 1:0 იორკი (19), 2:0 ედვარდსი (84)

**ვულვზი-პლიმუტი 2:2**

გოლები: 0:1 სინკლერი (27), 1:1 უორდი (33), 1:2 ტიმარი (36), 2:2 ოლოფინიანა (69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერბი | 31 | 19 | 5 | 7 | 40-28 | 62 |
| 2. პრესტონი | 31 | 16 | 8 | 7 | 47-32 | 56 |
| 3. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 16 | 7 | 8 | 57-36 | 55 |
| 4. ბირმინგემი | 29 | 16 | 6 | 7 | 48-30 | 54 |
| 5. საუთჰემპტონი | 31 | 14 | 10 | 7 | 48-34 | 52 |
| 6. კარდიფი | 31 | 14 | 10 | 7 | 43-32 | 52 |
| 7. სანდერლენდი | 31 | 15 | 5 | 11 | 43-34 | 50 |
| 8. სტოკი | 31 | 13 | 10 | 8 | 40-26 | 49 |
| 9. კოლჩესტერი | 31 | 14 | 6 | 11 | 50-35 | 48 |
| 10. ვულვზი | 31 | 13 | 8 | 10 | 33-34 | 47 |
| 11. პლიმუტი | 31 | 10 | 13 | 8 | 42-41 | 43 |
| 12. კრ. პალასი | 31 | 11 | 9 | 11 | 38-35 | 42 |
| 13. უენსდი | 31 | 11 | 7 | 13 | 43-47 | 40 |
| 14. იფსვიჩი | 31 | 11 | 6 | 14 | 40-42 | 39 |
| 15. ბარნლი | 30 | 10 | 8 | 12 | 33-33 | 38 |
| 16. კოვენტრი | 31 | 11 | 4 | 16 | 30-40 | 37 |
| 17. ნორვიჩი | 30 | 10 | 7 | 13 | 37-47 | 37 |
| 18. ლესტერი | 30 | 8 | 10 | 12 | 30-39 | 34 |
| 19. ქუინზ პარკი | 31 | 9 | 6 | 16 | 38-48 | 33 |
| 20. ლუტონი | 31 | 8 | 8 | 15 | 38-52 | 32 |
| 21. ბარნსლი | 31 | 9 | 5 | 17 | 33-50 | 32 |
| 22. ჰალი | 31 | 8 | 7 | 16 | 31-43 | 31 |
| 23. საუთენდი | 31 | 6 | 10 | 15 | 27-48 | 28 |
| 24. ლიდსი | 30 | 8 | 3 | 19 | 32-55 | 27 |

**ბომბარდირები:** 17 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი); 15 - ივეღუმო (კოლჩესტერი); 14 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 13 - კარეტონი (კოლჩესტერი), ჩოპრა (კარდიფი), მაკშიფრი (ბირმინგემი); 12 - ვაინი (ლუტონი); 10 - ჰოვარდი (დერბი), ლი (იფსვიჩი).

### I ლიგა

XXXI ტური

**ბლეკპული-ბრენტფორდი 1:3; ბრედფორდი-ნოტინგემი 2:2; ბრაიტონი-როტერჰემი 0:0; ჩელტენემი-სუონსი 2:1; ჩესტერფილდი-ბორნმუთი 0:1; დონკასტერი-კარლაილი 1:2; ჰადერსფილდი-ჯილინგემი 3:1; ლეიტონი-პორტ ვეილი 2:1; ნორთჰემპტონი-ქრიუ 1:2; ოლდჰემი-ტრანმერი 1:0; იეოვილი-მილუოლი 0:1; სკანთორფი-ბრისტოლი დღეს.**

### II ლიგა

XXXI ტური

**აკრინგტონი-ჩესტერი 0:1; ბოსტონი-გრიმსბი 0:6; როვერსი-პიტერბრო 3:2; ბერი-მილტონი 0:2; ჰერეფორდი-სტოკპორტი 0:2; მაკლსფილდი-დარლინგტონი 1:1; მენსფილდი-შრიუსბერი 1:1; ნოტსი-ლინკოლნი 3:1; სუინდონი-ჰარტლპული 0:1; ტორკი-ბარნეტი 1:1; უოლსოლი-როჩდეილი 1:1; რექსჰემი-უიკომბი 0:2.**

### კონფერენსი

XXVI ტური

**ქროული-ფორეტს გრინი 3:1; ოქსფორდი-კემბრიჯი 1:1; საუთპორტი-ალტრინჩემი 2:1; სტეფორდი-ექსეტერი 0:1; უეიმაუთი-ბარტონი 1:1; იორკი-ტამუორტი 0:2.**

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტური

# შალკეს ოცნება უკვე რეალობაა!

## ჰიტცფელდი შოკშია: ასეთ ბაიერნს არ ველოდი!



ლოვენკრანდსმა (მარცხნივ) ვერდერს დუბლი შეუსრულა

გასული კვირა ბუნდესლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ქაოტური და არანორმალური იყო. ერთ დღეში სამი მწვრთნელის უმუშევრად დარჩენა ძალიან მოულოდნელი, მაგრამ მაინც ლოგიკური გახლდათ. ასეთი რამ გერმანული ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ერთმა ტურმა სამი სპეციალისტი შეიწირა. "ბაიერნში" **ფელიქს მაგათის** ნაცვლად **ოტმარ ჰიტცფელდი** დაინიშნა, "ჰამბურგში" **თომას დოლი ჰუუბ სტევენსმა** შეცვალა (შაბათს HSV მოედანზე სწორედ ჰოლანდიელმა გაიყვანა), ხოლო მიონხენგლადბახის "ბორუსიიდან" სკანდალურად წასული **იუპ ჰაინკესი,** მისმა ასისტენტმა **იოს ლუჰუკეიმ** შეცვალა. ცხადია, უნდა გვეფიქრა, რომ ამ სამი მწვრთნელიდან საუკეთესო დებიუტი ჰიტცფელდს ექნებოდა, ამ მხრივ მეორე ადგილზე ლოგიკურად სტევენსი უნდა ყოფილიყო, ყველაზე ცოტას კი, მიმომხილველები ლუჰუკეისგან ელოდნენ. მაგრამ დახეთ საოცრებას: ჰიტცფელდს ყველაზე უარესი, მეტიც, სამარცხვინო დებიუტი გამოუვიდა (0:3 ნიურნბერგში), სტევენსს მეტნაკლებად მოსალოდნელი (1:2 ბერლინში), საუკეთესო კი, ყველასათვის მოულოდნელად, ლუჰუკეი აღმოჩნდა, რომლის "გლადბახმაც" ბილეფელდიდან წაიღო სამი ქულა. მოკლედ, თავად განსაჯეთ: ის, რაც გამოცდილმა ჰაინკესმა თვეების მანძილზე ვერ შეძლო, ყველასათვის უცნობმა ლუჰუკეიმ მოახერხა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ლუჰუკეი "ბორუსიას" სეზონის ბოლომდე უთავკაცებს (ეს უკვე გადაწყვეტილია). მწვრთნელების კარუსელზე ამით მოვრჩეთ და მიმოხილვა პარასკევის მატჩით დავიწყოთ, მატჩით, რომელიც ჰიტცფელდს თავისი გადაწყვეტილების ("ბაიერნში" რომ დაბრუნდა) სისწორეში აუცილებლად დააეჭვებდა.

"ბაიერნის" მიერ ნიურნბერგში ნაჩვენებმა საშინელმა ფეხბურთმა ოტმარი შოკში ჩააგდო. "გენერალი" იმედგაცრუებული დარჩა თავისი გუნდით და თამაშის შემდეგ არც იმის აღიარება გაუჭირდა, რომ ვერ წარმოედგინა, "ბაიერნი" ასეთი დასუსტებული თუ იქნებოდა. რეკორდმაისტერი მართლაც შემზარავ სიტუაციაშია და აბსოლუტური დავრდომა ემუქრება. და ძალიან დიდი შანსია, რომ მიუნხენური გიგანტი ამისგან ვერც ჰიტცფელდმა იხსნას. ისე, აღსანიშნავია, რომ თამაშის წინ "ბაიერნის" პრეზიდენტი **ფრანც ბეკენბაუერიც** ერთობ სკეპტიკურად იყო განწყობილი. კაიზერი ამბობდა, ოტმარი ფეხზე ასე სწრაფად ვერ დაგვაყენებს, 60-იდან 100 პროცენტამდე ასვლა ორ დღეში შეუძლებელიაო.

"გენერალს", ცხადია, ყველაზე მეტად ისევ იმ ფეხბურთელებისა ეიმედებოდა, რომლებიც ორწელიწადნახევრის წინაც თამაშობდნენ მიუნხენურ გრანდში - **კანი, სანიოლი, პისარო, მაკაი** და ა.შ. ეს მოთამაშეები ჰიტცფელდის ბოლო შეხვედრაშიც (2004 წელს, "ფრაიბურგთან" 2:0) ძირითად შემადგენლობაში იყვნენ. ამასთან, ოტმარმა **ბასტიან შვაინშტაიგერი** ისევ მარცხენა ფლანგზე გადაიყვანა. როგორც იცით, მაგათი შვაინის ჯიუტად ფლეიმეიქერის პოზიციაზე ათამაშებდა. საერთო ჯამში, "ბაიერნის" სასტარტო თერთმეტეულიდან 8 ისეთი ფეხბურთელი იყო, ვისაც ჰიტცფელდი რეკორდმაისტერიდან აზარგებამდე წვრთნიდა.

"ნიურნბერგის" ძირითადში კვლავ ვიხილეთ თინეიჯერი **მეთიუ სპირანოვიჩი,** რომელსაც **ჰანს მაიერმა** ნდობა გამოუცხადა. 18 წლის მცველს "რკინის ჰანსმა" მაკაის მეურვეობა დაავალა, მაგრამ სპირანოვიჩს ჯაფა ფაქტობრივად არ დასდგომია, რადგან თუ რომელიმე გუნდზე ითქმის, უტევდაო, პირველ რიგში "ნიურნბერგზე". ფრანკები მე-12 წუთზე დაწინაურდნენ: **მარკუს შროთმა** ჭკვიანურად გაატარა ბურთი **ლუსიოსა** და **ვან ბუიტენს** შორის, რომლებიც ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნას ცდილობდნენ. **სანიოლი** უკან ჩარჩა, რის გამოც პასი ხეირიანი გამოვიდა, "ნიურნბერგის" რუსი ფორვარდი **ივან საენკო** კი კანთან პირისპირ აღმოჩნდა. ოლი კარიდან კი გამოვიდა, მაგრამ სიტუაცია არ გაუმწვავებია, რადგან პენალტის აკიდება არ სურდა, საენკო კი იოლად გასცდა ვეტერან მეკარეს და რეკორდმაისტერის კარი მახვილი კუთხიდან დალაშქრა.

მიუხედავად გატანილი გოლისა, "ნიურნბერგს" შეტევები არ შეუწყვეტია. მე-20 წუთზე **რობერტ ვიტეკის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი კანის კარის ხარიხას მოხვდა, ორ წუთში კი მაკაის მიეცა ანგარიშის გათანაბრების პირველი და ამავე დროს უკანასკნელი შანსი - ჰოლანდიელის დარტყმა ფრანკების მეკარე **შეფერმა** შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. შესვენების შემდეგ ჰიტცფელდმა თამაში სამი ფორვარდით განაგრძო - **სალიჰამიჯიჩის** ნაცვლად მოედანზე **პოდოლსკი** შეუშვა. მაგრამ მიუნხენელთა თამაშს ვერც პოლდიმ შემატა რამე: გოლები ისევ მასპინძლებმა გაიტანეს. 71-ე წუთზე შროთმა 7 მეტრიდან **გრეშკოს** ჩაწოდებულს ურქინა და სხვაობა ორამდე გაზარდა. 86-ე წუთზე კი, ვიტეკმა ისარგებლა "ბაიერნის" დაცვაში შექმნილი არეულობით, ვან ბუიტენი აცეკვა და უპრობლემოდ გაუტანა კანს. რას აკეთებდნენ ბავარიელი ფეხბურთელები? მაგალითად, ვიტეკის გოლამდე, თავისი უსუსურობით განრისხებულმა **მარკ ვან ბომელმა** გრეშკოს ყური აუწია (!), მერე კი, როცა ეს მომენტი მსაჯმაც შენიშნა, ვიზავის მეგობრულად გაუწოდა ხელი, ვითომ, ყურიც მეგობრულად აგიწიეო. ვან ბომელის გაბრაზება გასაგებია, რადგან... 3:0 - ასეთი ანგარიშით "ბაიერნი" იშვიათად, ძალიან იშვიათად აგებს ხოლმე...

*"იმედგაცრუებული ვარ. უბრალოდ, ჩავისვარეთ! ვცდილობდით, უკეთ გვეთამაშა, მაგრამ თითქმის ყველა მოძრაობა დაგვიანებული იყო. დაცვა ძალიან უდისციპლინოა. დიდი ხანია, "ბაიერნს" ასეთი სუსტი უკანა ხაზი აღარ ჰყოლია. ლუსიო ზედმეტად ხშირად ერთვება შეტევებში და საერთოდ, ის და ვან ბუიტენი უკან ქაოტურად, ერთმანეთთან შეუთანხმებლად მოქმედებენ. როცა "ბაიერნში" დაბრუნებაზე თანხმობას ვამბობდი, ვიცოდი, რომ წინ ძალიან რთული საქმე მელოდა. ამ თამაშმა საბოლოოდ დამარწმუნა, რომ გუნდში ძალიან ბევრი სამუშაოა."* - ასეთი იყო ჰიტცფელდის კომენტარი მატჩის შემდეგ.

სანამ კვირის სუპერმატჩზე გადავიდოდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ შაბათის სხვა შეხვედრები. "ჰანოვერი" შეიშალა! "ჰერტას" განადგურების შემდეგ (ოთხშაბათს 5:0), **დიტერ ჰეკინგის** ბიჭებმა ამჯერად "ალემანია" დაარბიეს (4:1). ამრიგად, "ჰანოვერს" ბოლო ორ თამაშში 9 გოლი აქვს გატანილი და სატურნირო ცხრილშიც გაიუმჯობესა მდგომარეობა. "ჰამბურგს" ვერც **ჰუუბ სტევენსმა** უშველა, თუმცა ჰოლანდიელს გუნდის მოსამზადებლად დიდი დრო არც ჰქონია (მხოლოდ 1 დღე) და შესაბამისად, HSV-ს მორიგ ფიასკოს (1:2 ბერლინში) სტევენსს ვერ დავაბრალებთ. არადა, "ჰამბურგი" ამჯერადაც იგებდა (**ლაასის** გოლით) და საკმაოდ დიდხანსაც (78-ე წუთამდე). მერე კი, ჯერ **არნე ფრიდრიხმა** აღადგინა წონასწორობა, მსაჯის მიერ დამატებულ მე-2 წუთზე კი, ბერლინელთა ახალწვეულმა **მინეირომ** "ჰერტას" 3 ქულა მოუტანა, HSV კი ფსკერზე დატოვა. "ვოლფსბურგმა" **მაიკ ჰანკეს** დუბლითა და **კლიმოვიჩის** ერთი გოლით 3:2 დაამარცხა "ლევერკუზენი".

ახლა კი გადავიდეთ ლიდერების ჯახზე, რომელიც "შალკემ" მოიგო. **ლევან კობიაშვილის** გარეშე დარჩენილმა გელზენკირხენელებმა ბრემენში საუცხოოდ ითამაშეს და რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, "ვერდერს" შანსი არ დაუტოვეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **მირკო სლომკამ** ბრემენელი ვიზავი **თომას შააფი** დაჯაბნა. "შალკე" გაცილებით მონდომებული და მოტივირებული ჩანდა, ამასთან, "ხუმარები" დალაგებულ და აზრიან ფეხბურთს თამაშობდნენ, "ვერდერი" კი უფრო ქაოტურად უტევდა და არცაა გასაკვირი, "მუსიკოსებმა" **პეტერ ლოვენკრანდსის** დუბლს ერთი გოლითაც რომ ვერ უპასუხეს. სლომკამ უფრო დაცვითი ტაქტიკა აირჩია და თავის შეგირდებს შანსის ძებნა კონტრშეტევებზე დაავალა. "ვერდერის" წინააღმდეგ ასეთ ტაქტიკას ხშირად ირჩევენ, მაგრამ მაინც არაფერი გამოსდით ხოლმე. "შალკეს" კი გამოუვიდა, რადგან პირველი წუთიდან საფინალო სასტვენამდე აშკარა იყო, რომ ამ თამაშის მოგება სტუმრებს უფრო სურდათ. ჩინებული მატჩი ჩაატარა **ლინკოლნმა** (ერთი საგოლე პასი), რომელმაც აშკარად დაჩრდილა ბრემენელი ვიზავი **დიეგო**. ძალიან პროდუქტიული იყო **კევინ კურანიც,** რომელმაც ბევრი იმუშავა და რაღა თქმა უნდა, ჩინებული გახლდათ ლოვენკრანდსი.

პირველი გოლის დროს ლინკოლნმა **პერ მერტეზაკერი** გააბითურა და მარცხნიდან ჩაუწოდა ლოვენკრანდსს, რომელმაც ულამაზესი მაკრატელათი გახსნა ანგარიში. მეორე გოლი კი, სწრაფმა დანიელმა, კურანის პასით, ერთ-ერთი კონტრშეტევისას გაიტანა, როცა **რაინკესთან** პირისპირ გასულმა, მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა ვეტერან გოლკიპერს. "ვერდერს" ბევრი მომენტი არ ჰქონია. არადა, "მუსიკოსები" სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. მეორე ტაიმში შააფმა შეგირდებს უკანმოუხედავი შეტევებისკენ მოუწოდა და მათაც დაუჯერეს, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია - "შალკე" თავს ძალიან კარგად იცავდა, ბრემენელები კი უჩვეულოდ დაბნეულები და ქაოტურები იყვნენ. მოკლედ, ტურის და შესაძლოა, მთელი სეზონის ცენტრალური მატჩი "შალკემ" მოიგო და "ვერდერს" სამი ქულით გაასწრო. შეგახსენებთ, რომ გელზენკირხენელებმა პირველ წრეშიც 2:0 დაამარცხეს "მუსიკოსები". სლომკას გუნდი მესამეადგილოსან "შტუტგარტს" (შვაბებმა დორტმუნდში გაიმარჯვეს - 1:0) 7 ქულით უსწრებს, "ბაიერნს" კი უკვე 11 (!) ქულით. ასე რომ, გელზენკირხენელთა ოცნება რეალობად იქცა.

**მომდევნო ტური**

**9 თებერვალი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი. 10 თებერვალი. შტუტგარტი-ვერდერი, ჰამბურგი-ბორუსია (დ), შალკე-ჰერტა, ლევერკუზენი-აინტრახტი, ბორუსია (მ)-ალემანია, მაინცი-კოტბუსი. 11 თებერვალი. ბოხუმი-ნიურნბერგი, ბაიერნი-არმინია.**

### ნიურნბერგი-ბაიერნი 3:0

**ნიურნბერგი:** შეფერი-2.5, დ. რაინჰარდტი-3.5, ვოლფი-2, სპირანოვიჩი-3 (46. ბეშამი-3.5), პინოლა (19. პოლაკი-3), მნარი-2.5 (84. ბანოვიჩი), გალაშეკი-2.5, გრეშკო-2, ვიტეკი-2, შროთი-2.5, საენკო-1.5.

**ბაიერნი:** კანი-3.5, სანიოლი-5, ლუსიო-5, ვან ბუიტენი-5.5, ლამი-4.5, ჰარგრივსი-3.5, სალიჰამიჯიჩი-4 (46. პოდოლსკი-5), შვაინშტაიგერი-4.5 (80. შოლი), ვან ბომელი-4.5, მაკაი-3.5, პისარო-5 (72. სანტა კრუსი).

**გოლები:** 1:0 საენკო (12), 2:0 შროთი (71), 3:0 ვიტეკი (86).

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 9-15; **კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 21-21; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 47 000.

### აინტრახტი-მაინცი 0:0

**აინტრახტი:** პრიოლი-3, პროისი-3, კრისი-4, რუსი-3.5, შპიხერი-3.5, შტრაიტი-3, ჯოუნსი-4, ა. მაიერი-3.5, ჰელერი-3, ტაკაჰარა-5, ამანატიდისი-5 (46. ვასოსკი-4).

**მაინცი:** ვახე-2, დემირტასი-3.5, მ. ფრიდრიხი-3, ნოვესკი-3.5, ვაიგელტი-4, გერბერი-4.5, პეკოვიჩი-4, ანდრეასენი-3, აზაუაგი-3.5, ზიდანი-3 (86. ჟაბიში), რუმანი-5 (60. იოვანოვიჩი-4).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13-12; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 19-23; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 51 300.

### არმინია-ბორუსია (მ) 0:2

**არმინია:** ჰაინი-2.5, ბოლმანი-4, ვეშტერმანი-4, გაბრიელი-4, შულერი-3.5, ნდიენგი-3.5 (46. მასმანიდისი-4), კაუფი-3.5, ზუმა-4, ბიომე-4.5 (72. ვატა), აჰანფუფი-4.5 (58. აიგლერი-3.5), ვიხნიარეკი-4.

**ბორუსია (მ):** კელერი-3, ბიოგელუნდი-4, გოჰური-3, ზე ანტონიო-3.5, კომპერი-3.5, კლუგე-2 (72. ელ ფაკირი), პოლანსკი-3.5, დელურა-3.5, ინსუა-3 (91. რაფაელი), იანსენი-2.5, კაჰე-3.

**გოლები:** 0:1 ინსუა (28), 0:2 იანსენი (89).

**გაფრთხილება:** 3-3; **დარტყმა:** 10-12; **კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 14-22; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 23 114.

### ალემანია-ჰანოვერი 1:4

**ალემანია:** შტრაუბი-4, პინტუ-5 (46. პლასჰენრიხი-4), კლიტცპერა-4.5, სიჩონი-5.5 (32. ჰერციგი-5), ლეივაკაბესი-4, მ. ლემანი-5, რეგეკამპფი-4, რიოსლერი-4.5, ფილი-4 (46. შლაუდრაფი-5), ებერსი-5, იბიშევიჩი-4.5.

**ჰანოვერი:** ენკე-4, ჩერუნდოლო-2.5, ვინიციუსი-3, ფარენჰორსტი-3.5, ტარნატი-3, ლალა-3, ბალიტში-3.5, როზენტალი-1.5, იანკოვი-2 (79. ბრუგინკი), ჰუშტი-3 (72. შტაინერი), ჰაშემიანი-2.5 (88. თორვალდსონი).

**გოლები:** 0:1 იანკოვი (5), 0:2 როზენტალი (23), 1:2 რეგეკამპფი (26-პენ), 1:3 ჰუშტი (31-პენ), 1:4 შტაინერი (91).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15-8; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 18-34; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 20 800.

### კოტბუსი-ბოხუმი 0:0

**კოტბუსი:** პიპლიცა-3.5, ჟელესი-3.5, მაკენა-3, მიტრესკი-4, კვიტანოვიჩი-4.5, კუკიელკა-5, ტ. როსტი-4 (83. კიუნტცელი), მუნტეანუ-4.5 (69. ციბიგი-4), გუნკელი-3 (69. ბაუმგარტი-5), რადუ-4.5, კიოიო-3.5.

**ბოხუმი:** დრობნი-3, შრიოდერი-3.5, იაჰია-3.5, მალტრიტცი-3, ცდებელი-4.5, დაბროვსკი-4, ეპალე-4 (90. დრშეკი), მიშიმოვიჩი-3.5 (69. ფაბიო ჟუნიორი-4), ტროიანი-3 (74. ილიჩევიჩი), გეკასი-3.5.

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 14-12; **კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 15-26; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 650.

### ჰერტა-ჰამბურგი 2:1

**ჰერტა:** ფიდლერი-4.5, ჯ. ბოატენგი-3.5, ა. ფრიდრიხი-2.5, ვან ბურიკი-3.5, ფათი-4.5 (69. მინეირო-2), დარდაი-3, დეიაგა-4 (75. ედე), ბაშთურქი-4 (86. კ. მიულერი), ჟილბერტო-4.5, პანტელიჩი-4.5, ხიმენესი-4.5.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-2, ბენჯამინი-4, ბ. რაინჰარდტი-3, მატიისენი-3.5, ატუბა-4.5, დე იონგი-3.5 (74. კლინგბაილი), ვან დერ ვაარტი-3.5 (81. სორინი), ლაასი-3, სანოგო-4.5, ოლიჩი-3.5 (62. ბერიშა-4).

**გოლები:** 0:1 ლაასი (33), 1:1 ა. ფრიდრიხი (78), 2:1 მინეირო (92).

მე-9 წუთზე პანტელიჩმა (ჰერტა) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 16-18; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-26; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 47 354.

### ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 3:2

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3, კიროგა-2, მადლუნგი-4, ჰოფლანდი-3.5, ვან დერ ჰეიდენი-4, მენსეგესი-3.5 (46. კარჰანი-2.5), ვან დერ ლეეგტე-3.5, კრჟინოვეკი-2.5, მარსელინიო-3.5, ჰანკე-2 (86. სანტანა), კლიმოვიჩი-3 (91. ბოაკი).

**ლევერკუზენი:** ბუტი-4, ბარნეტა-5 (86. დე ვიტი), ჰაგი-4 (46. კალსენ-ბრაკერი-4), ჟუანი-4.5, ბაბიჩი-4.5, როლფესი-4, ფრაიერი-5, ბარბარესი-4.5, ბ. შნაიდერი-3.5, ვორონინი-3.5, კისლინგი-3 (79. პაპადოპულოსი).

**გოლები:** 1:0 ჰანკე (16), 1:1 კისლინგი (29), 2:1 ჰანკე (37), 2:2 ვან დერ ჰეიდენი (71-სა. კარში), 3:2 კლიმოვიჩი (72).

**გაძევება:** ფრაიერი (74. ლევერკუზენი).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 13-14; **კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 16-20; **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 16 621.

### ვერდერი-შალკე 0:2

**ვერდერი:** რაინკე-3, კ. ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-4.5, ნალდო-4, ვომე-5, დ. იენსენი-4, ბოროვსკი-4 (64. ვრანიეში-5), კ. შულცი-4 (63. როზენბერგი-4.5), დიეგო-4.5, კლოზე-4.5, ალმეიდა-4.5 (64. ჰანტი-4.5).

**შალკე:** ნოიერი-2.5, ჰოოგლანდი-3, ბორდონი-2, კრსტაიჩი-2.5, როდრიგესი-3, ფ. ერნსტი-3, ბაირამოვიჩი-2.5 (77. ჰამით ალთინთოფი), ლინკოლნი-1.5, ვარელა-3 (70. ჰალილ ალთინთოფი-3), ლოვენკრანდსი-1.5, კურანი-2.5.

**გოლები:** 0:1 ლოვენკრანდსი (20), 0:2 ლოვენკრანდსი (74).

**გაფრთხილება:** 5-5; **დარტყმა:** 15-11; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 22-21; **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 42 100.

### ბორუსია (დ)-შტუტგარტი 0:1

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3.5, პ. დეგენი-3.5, ბრჟენსკა-4.5, კ. მეტცელდერი-4, დედე-4, კრუსკა-3.5 (58. კელი-4), ტინგა-4 (80. ამოა), კრინგე-4, პიენაარი-3.5 (67. ნ. შაჰინი-5), ვალდესი-5, ფრაი-4.

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-3, ოსორიო-3, ფ. მეირა-2.5, დელპიერი-3, მანინი-2, პარდო-3.5, ჰილბერტი-3.5 (76. ბეკი), ჰიტცლშპერგერი-3, და სილვა-4.5 (82. გენტნერი), კაკაუ-3 (87. შტრელერი), გომესი-2.5.

**გოლი:** 0:1 გომესი (59).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 10-12; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 17-16; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 63 600.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 20 | 14 | 3 | 3 | 36-19 | 45 |
| 2. ვერდერი | 20 | 13 | 3 | 4 | 52-24 | 42 |
| 3. შტუტგარტი | 20 | 11 | 5 | 4 | 33-25 | 38 |
| 4. ბაიერნი | 20 | 10 | 4 | 6 | 32-25 | 34 |
| 5. ჰერტა | 20 | 9 | 6 | 5 | 32-31 | 33 |
| 6. ნიურნბერგი | 20 | 6 | 12 | 2 | 28-17 | 30 |
| 7. ლევერკუზენი | 20 | 8 | 4 | 8 | 33-31 | 28 |
| 8. ჰანოვერი | 20 | 7 | 5 | 8 | 25-30 | 26 |
| 9. ბორუსია (დ) | 20 | 6 | 7 | 7 | 24-25 | 25 |
| 10. არმინია | 20 | 5 | 8 | 7 | 26-25 | 23 |
| 11. ვოლფსბურგი | 20 | 5 | 8 | 7 | 18-22 | 23 |
| 12. კოტბუსი | 20 | 5 | 7 | 8 | 22-26 | 22 |
| 13. აინტრახტი | 20 | 4 | 10 | 6 | 25-33 | 22 |
| 14. ბოხუმი | 20 | 5 | 5 | 10 | 22-31 | 20 |
| 15. ალემანია | 20 | 5 | 4 | 11 | 32-42 | 19 |
| 16. ბორუსია (მ) | 20 | 5 | 4 | 11 | 16-26 | 19 |
| 17. მაინცი | 20 | 3 | 9 | 8 | 13-30 | 18 |
| 18. ჰამბურგი | 20 | 1 | 12 | 7 | 19-26 | 15 |

**ბომბარდირები:** 11 - კლოზე (ვერდერი), გომესი (შტუტგარტი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - მაკაი (ბაიერნი); 8 - ჰანკე (ვოლფსბურგი), კურანი (შალკე), ფრაი (ბორუსია დ), დიეგო (ვერდერი); 7 - მუნტეანუ (კოტბუსი), ტაკაჰარა (აინტრახტი), გეკასი (ბოხუმი), კაკაუ (შტუტგარტი), რადუ (კოტბუსი).

### II ბუნდესლიგა

XX ტური

**აუე-დუისბურგი 0:1**

**გოლი:** 0:1 კურტი (56).

**კარლსრუე-ოფენბახი 2:1**

**გოლები:** 0:1 ტურკერი (41), 1:1 კაპლანი (63), 2:1 ფედერიკო (90)

**კობლენცი-ბრაუნშვაიგი 1:0**

**გოლი:** 1:0 მაიერჰოფერი (86)

**ჰანზა-ფიურტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჰიოგე (69)

**კიოლნი-კარლ ცაისი 1:0**

**გოლი:** 1:0 შერცი (83-პენ)

**პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბორბელი (58)

**ესენი-აუგსბურგი 0:0**

**უნტერჰახინგი-ფრაიბურგი 0:2**

**გოლები:** 0:1 ანტარი (27), 0:2 იაშვილი (55)

**მიუნხენი-ბურგჰაუზენი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 20 | 13 | 6 | 1 | 46-20 | 45 |
| 2. ჰანზა | 20 | 11 | 7 | 2 | 31-15 | 40 |
| 3. დუისბურგი | 20 | 10 | 9 | 1 | 38-20 | 39 |
| 4. კაიზერი | 20 | 9 | 8 | 3 | 27-17 | 35 |
| 5. აუე | 20 | 10 | 3 | 7 | 29-26 | 33 |
| 6. მიუნხენი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-25 | 28 |
| 7. ოფენბახი | 20 | 8 | 4 | 8 | 27-29 | 28 |
| 8. ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 23-25 | 28 |
| 9. კიოლნი | 20 | 7 | 6 | 7 | 29-26 | 27 |
| 10. ფიურტი | 20 | 7 | 5 | 8 | 29-24 | 26 |
| 11. აუგსბურგი | 20 | 6 | 8 | 6 | 18-17 | 26 |
| 12. პადერბორნი | 20 | 5 | 8 | 7 | 15-19 | 23 |
| 13. კობლენცი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-28 | 23 |
| 14. უნტერჰახინგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-23 | 19 |
| 15. ბურგჰაუზენი | 19 | 4 | 5 | 10 | 19-35 | 17 |
| 16. კარლ ცაისი | 20 | 3 | 7 | 10 | 20-38 | 16 |
| 17. ესენი | 20 | 3 | 6 | 11 | 16-25 | 15 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 20 | 2 | 7 | 11 | 11-29 | 13 |

**ბომბარდირები:** 13 - ფედერიკო (კარლსრუე); 10 - კაპლანი (კარლსრუე), ტურკერი (ოფენბახი); 9 - კერნი (ჰანზა), შერცი (კიოლნი); 8 - ლავრიჩი (დუისბურგი); 7 - დაჰამი (კაიზერი), ჰელმესი (კიოლნი), ლოური (აუგსბურგი), ზიგერი (ოფენბახი), იდრისუ (დუისბურგი).

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXI ტური

# პრეზიდენტო, გადადექი!

## მადრიდულმა ინჩადამ მოთმინება დაკარგა. მალე საყოველთაო გამოსვლები დაიწყება



რუუდ ვან ნისტელროი

“ვალენსიამ” საჩემპიონო ამბიცია კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა. **კიკე სანჩეს ფლორესის** ეფექტური ტაქტიკის წყალობით მასპინძლებმა “ატლეტიკოს” გასაქანი არ მისცეს და შეხვედრის დებიუტში მოპოვებული უპირატესობა ბოლო წუთამდე არ დათმეს. მოგეხსენებათ, “ვალენსია” საშინაო შეხვედრების სტაბილურად ჩატარებით გამოირჩევა. ამ თვალსაზრისით ის ერთ-ერთი საუკეთესო პრიმერადივიზიონური კლუბია. მიმომხილველები ფიქრობდნენ, რომ “ღამურებს” შესანიშნავ ფორმაში მყოფ “ატლეტიკოსთან” ბრძოლა უწინდებურზე მეტად გაუჭირდებოდათ, მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა. მადრიდელებმა უბრალოდ არ იცოდნენ ბურთისთვის რა გაეკეთებინათ. ისინი გადაბმულად სამი პასის გაკეთებასაც ვერ ახერხებდნენ. “ვალენსიამ” კი 90 წუთის განმავლობაში ოთხი საგოლე მომენტი შექმნა. აქედან სამი გოლით დასრულდა. დაგვეთანხმებით, ამაზე დიდ ეფექტურობასა და პროდუქტიულობას ვერავინ მოითხოვს.

თამაში კიკე ფლორესის შეგირდების უპირატესობით დაიწყო. რამდენიმე გამოუყენებელი შეტევის შემდეგ **რობერტო ფაბიან აიალას** ჯერი დადგა. არგენტინელმა მცველმა **დავიდ ვილიას** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავური დარტყმით კარში მიუჩინა ადგილი. დედაქალაქელები მოვლენათა ამგვარ განვითარებას არ ელოდნენ და აშკარად დაიბნენ. დაცვამ შეცდომებს უმატა. აღსანიშნავია, რომ შაბათის შეხვედრამდე “როხიბლანკო” რიგით მეორე პრიმერადივიზიონური კლუბი გახლდათ, რომელსაც ყველაზე ნაკლები გოლი ქონდა გაშვებული.

შესვენების შემდეგ ვალენსიელებმა რიტმი გაზარდეს. შედეგმაც არ დააყოვნა. 56-ე წუთზე **ფერნანდო მორიენტესი** მეკარესთან ერთი ერთზე აღმოჩნდა. გამოცდილ ფორვარდს შანსი ხელიდან არ გაუშვია. მასპინძლებს ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურება გაცნობიერებულიც არ ქონდათ, როცა **მისტამ** მცველების შეცდომით ისარგებლა და სხვაობა შეამცირა. “ატლეტიკოს” ფორვარდმა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე პირობა დადო “მესტალიაზე” გოლს თუ გავიტან, სიხარულს არ გამოვხატავო. მან პირობა შეასრულა და ყოფილი კლუბის გულშემატკივრები არ გაალიზიანა. ამასობაში 67-ე წუთი დადგა. ფერნანდო მორიენტესი **ვისენტეს** ჩინებური პასის შედეგად მეკარესთან კვლავ პირისპირ აღმოჩნდა. მორომ თავი ამჯერადაც არ შეირცხვინა.

კიკე ფლორესმა შეხვედრა ასე შეაფასა: “*ჩვენ კარგი ფეხბურთი ვაჩვენეთ და გულშემატკივრებმა უდიდესი სიამოვნება მიიღეს. ამას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხალხი ბილეთში ფულს იმისთვის იხდის, რომ გამარჯვებით გაიხაროს და ლამაზი ფეხბურთით ისიამოვნოს. ბუნებრივია, ხარვეზებიც გვქონდა, თუმცა უშეცდომო გუნდი უბრალოდ არ არსებობს. “ატლეტიკო” ერთ-ერთი ყველაზე უხერხული და ძლიერი მოწინააღმდეგეა. მერწმუნეთ, მათ წინააღმდეგ ამდენად შთამბეჭდავად თამაში უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული. საშუალო დონის კოლექტივი “როხიბლანკოს” ამდენ პრობლემას ვერასოდეს შეუქმნის. ჩემს ბიჭებს მადლობას მოვახსენებ. გულშემატკივრებს კი ვეტყვი, რომ დღევანდელი წარმატების შემდეგ საჩემპიონო ამბიციები კიდევ უფრო გაგვიძლიერდა. ახლა უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, მხოლოდ ოთხეულში მოხვედრითა და ჩემპიონთა ლიგის საგზურით არ დავკმაყოფილდებით. ჩვენ პრიმერა დივიზიონში გამარჯვება გვსურს.*”

რაც შეეხება **ხავიერ აგირეს**, წარუმატებლობა მან ატლეტიკოელთა მიერ დაშვებული შეცდომებით ახსნა. მექსიკელი სპეციალისტის თქმით, “ვალენსიამ” სამი ქულა სწორედ მადრიდელი მცველების უყურადღებობის გამო მოიპოვა. კაცმა რომ თქვას, “ღამურებმა” მართლაც მოწინააღმდეგეთა უხეში შეცდომები გამოიყენეს. უკანახაზელებს ოდნავ მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ, მორიენტესი კონტრშეტევების დაგვირგვინებას ვერ შეძლებდა.

“დეპორტივომ” “მალიორკა” ესპანეთის სამეფო თასის გათამაშების შემდეგ პრიმერა დივიზიონშიც დაიბრიყვა. გალისიელები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ. პირველი საგოლე მომენტიც მათ შექმნეს, თუმცა **დე გუსმანის** დარტყმა **ტონი პრატსმა** დიდი გაჭირვებით მოიგერია. **ხოაკინ კაპაროსის** შეგირდები ამის შემდეგაც დომინირებდნენ. მათ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. მასპინძლებს მღელვარება დაეტყოთ, რის გამოც ბალეარელთა ორი მწვავე კონტრიერიში გამოეპარათ. ლაკორუნიელთა საბედნიეროდ, “მალიორკას” უფრო აგრესიული თამაშისთვის ძალა არ ეყო. სტუმრებმა შეცდომებს უმატეს და მალე მწარედაც დაისაჯნენ. პირველი ტაიმის მიწურულს, **არისმენდი** საჯარიმო მოედანში წესების დარღვევით შეაჩერეს. არბიტრმა დაუყოვნებლივ 11-მეტრიანი დანიშნა. **ესტაიანოფმა** პენალტი უზადოდ შეასრულა. ურუგვაელმა ბურთი ძელის სიახლოვეს გაგზავნა. პრატსი რა თქმა უნდა, აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა. მეორე ნახევარი უაღრესად უინტერესო გამოდგა. “დეპორტივო” თამაშის გამწვავებას ანგარიშის შენარჩუნებისთვის ზრუნვას ამჯობინებდა, “მალიორკას” კი ანგარიშის გასათანაბრებლად არც უნარი და არც ნება არ აღმოაჩნდა.

ხოაკინ კაპაროსმა გამარჯვებით დიდად გაიხარა, თუმცა მისი შეგირდების მიერ დაშვებული შეცდომების გაანალიზებაც არ დავიწყებია: “*ვფიქრობ, ჩვენი მთავარი პრობლემა სიმშვიდის არქონაა. ფეხბურთელები ჩვეულებრივ ეპიზოდებში იმდენად ღელავენ, რომ ბრიყვულ შეცდომებს უშვებენ. ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუხლჩაუხრელად ვმუშაობთ. მჯერა, მალე გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას დავტოვებთ. დღეს სანახაობრივი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ, მაგრამ, ვგონებ, ამის გამო არავინ გაგვაკრიტიკებს. რამდენიც არ უნდა უარყონ, ფაქტი ფაქტად რჩება, პრიმერა დივიზიონში ყველა გუნდი, პირველ ყოვლისა, შედეგზე ფიქრობს.*”

**გრეგორიო მანსანომ** კი წაგება სრულიად უსინდისოდ მსაჯს გადააბრალა: “*პენალტი საეჭვო სიტუაციაში დაინიშნა. ეს ეპიზოდი რომ არა, ალბათ, არ წავაგებდით. მართალია, მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ჩვენ წინასწარ შემუშავებულ გეგმას მივყვებოდით და ყველაფერი არბიტრის შეცდომამ აგვირია.*”

ბევრს ეგონა, რომ სამეფო თასზე “ბარსელონასთან” გამოფიტული “სარაგოსა” “ესპანიოლს” ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. როგორც ხედავთ, სკეპტიკოსთა ვარაუდი ვარაუდად დარჩა. არაგონელებმა რამდენიმე დღის წინ, “კამპ ნოუზე” თვით “ბარსელონა” დაამარცხეს და თასის მომდევნო ეტაპის საგზური ფაქტობრივად გაინაღდეს, ახლა კი კიდევ ერთი კატალონიური კლუბი აიკლეს. **ვიქტორ ფერნანდესის** ბიჭებს უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც შეეძლოთ.

წინასწარვე ცნობილი იყო, რომ ტრავმის გამო სტუმრებს **პაბლო აიმარი** ვერ დაეხმარებოდა. არგენტინელს მართლაც არ უთამაშია. ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად, “სარაგოსამ” ძალიან ღირსეულად იასპარეზა. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ არაგონელებმა უამრავი მწვავე კონტრშეტევა მოაწყვეს. “ესპანიოლს” მათი გაჩერება ძალიან უჭირდა. თითქოს ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ფერნანდესის ბიჭები მალე გაიტანდნენ. ასეც მოხდა, 55-ე წუთზე **სერხიო გარსიამ ოსკარის** პასი გამოიყენა. “სარაგოსას” ანგარიშის გაზრდა მალევე შეეძლო, თუმცა ფორვარდები დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ. ნათქვამია, არ გაიტან, გაგიტანენო. სწორედ ასე იყო არაგონელთა საქმე. **ლუის გარსიამ ვალტერ პანდიანის** პასით წონასწორობა ძალიან ცუდ დროს აღადგინა. საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც შვიდი წუთი რჩებოდა. ერთი შეხედვით, ყაიმი გარდაუვალი იყო, მაგრამ სერხიო გარსია ბედს არ შეეგუა და მასპინძლებს სიხარული ზუსტად ორ წუთში ჩაამწარა. მეორე გოლი მან **ევერტონის** გადაცემით შეაგდო.

“სანჩეს პისხუანზე” ტურის ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. “სევილიას” მორიგი სამი ქულის დასაკუთრების ფანტასტიკური შანსი ჰქონდა, მაგრამ გათამაშების ერთ-ერთმა ლიდერმა წყალწაღებული აუტსაიდერის დამარცხება ვერ შეძლო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ანდალუსიელებმა აშკარა საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. “სოსიედადს” საოცრად უმართლებდა. აღსანიშნავია, რომ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულმა **ხუანდე რამოსმა** ორი ქულის დაკარგვა სწორედ ფორტუნის ნაკლებობით ახსნა. სევილიელთა დამრიგებლის თქმით, იღბალმა “სოსიედადის” თავზე დაიბერტყა კალთა.

**ლუის ფერნანდესი** “სან მამესზე” ახლა უკვე “ბეტისის” მთავარი მწვრთნელის სტატუსით დაბრუნდა. სხვათა შორის, ფრანგ სპეციალისტს ამ სეზონში “ბილბაოში” დანიშვნის ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ ავტორიტეტულმა ბასკმა საფეხბურთო მოღვაწეებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს. მაგალითად, **ხავიერ კლემენტემ** პირდაპირ განაცხადა, ფერნანდესს “ბილბაოში” თუ დააბრუნებთ, სოსიოს სტატუსს პროტესტის ნიშნად საკუთარი ნებით დავტოვებო. მოკლედ, მოსიე ლუისს “სან მამესზე” დაბრუნებისა და მუშაობის საშუალება არ მისცეს. ბუნებრივია, ბასკებისთვის საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად ამაზე კარგი შანსი არ მიეცემოდა. ფერნანდესმა ძალიან მოინდომა და მასპინძლებს ფანტასტიკური ტაქტიკა დაუპირისპირა. ყველაფერი **რობერტის** გოლით დაიწყო. მან ანდალუსიაში ახლახან ჩაყვანილი **ილიჩის** პასი გამოიყენა. მეორე ბურთი საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ გავიდა. კარის ბადე კვლავ სტუმრებმა შეარხიეს. **პანკარტემ** დამატებაზე ივარგა და, ფაქტობრივად, ყველა კითხვას გასცა პასუხი. ბასკებს ორთაბრძოლის გადასარჩენად უმცირესი დრო რჩებოდათ. მათ მხოლოდ ერთი ბურთი გაქვითეს. ვეტერანმა **ურსაისმა** მისივე წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ბოლო წამებზე გაშვებულ გოლს სტუმრებისთვის განწყობა არ გაუფუჭებია. ლუის ფერნანდესის მისვლის შემდეგ “ბეტისი” აღარ იცნობა. ხაზგასასმელია, რომ ეს გუნდი სამეფო თასზეც გენიალურად გამოიყურება. ანდალუსიელებმა ამას წინათ, თვით “რეალი” ჩამოიცილეს. ახლა კი ყველა პირობა აქვთ იმისთვის, რომ დაუძინებელი მტერი, “სევილიაც” განგმირონ. ესპანური საფეხბურთო საზოგადოება ფერნანდესს ისე უყურებს, როგორც სასწაულმოქმედს.

“სანტიაგო ბერნაბეუზე” გლოვის ზარებმა ჩამოჰკრა. ინჩასებმა მორიგი შეურაცხყოფა ვერ მოითმინეს და **რამონ კალდერონს** ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს. კალდერონ გადადექი! ეს ის შეძახილი გახლდათ, რომელსაც დიდიან-პატარიანად ყველა ერთხმად გაიძახოდა. გულშემატკივრები სიბრაზისგან ადგილს ვერ პოულობდნენ. წინა ტურში, “ვილიარეალთან” განცდილი მარცხის შემდეგ მადრიდელებმა პირობა დადეს, მორჩა, ბოლო შანსს ვითხოვთ და გეფიცებით, რომ არ შეგარცხვენთო. დასკვნები თავად გამოიტანეთ. ესპანეთის დედაქალაქში რამონ კალდერონისა და მისი პროექტის აღარავის სჯერა. პროექტისადმი უნდობლობა კი იმას ნიშნავს, რომ ხალხს **ფაბიო კაპელოც** არაფერში სჭირდება. იტალიელმა სპეციალისტმა რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, უპირატესობას ვფლობდით და მრავალი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოვიყენეთო, მას მაინც არავინ მოუსმენს. სავარაუდოა, რომ მადრიდში პრეზიდენტისა და მთავარი მწვრთნელის გადაყენების მოთხოვნით სერიოზული აქციები დაიწყება. კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, კაპელო გადადგომაზე ფიქრობს. რაც შეეხება შეხვედრის ერთადერთ გოლს, ის “მალაგიდან” რამდენიმე დღის წინ გადაბირებული **სალვა ბალესტას** ანგარიშზე ჩაიწერა. მან **ტომაზის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოიყენა. ამრიგად, პირენეულმა გიგანტმა ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. უდავოა, რომ ხალხი ამას ასე არ დატოვებს.

### მომდევნო ტური

10 თებერვალი. **სოსიედადი-რეალი, ბეტისი-სევილია.** 11 თებერვალი. **სელტა-ესპანიოლი, ხეტაფე-ვალენსია, ლევანტე-რეკრეატივო, მალიორკა-სარაგოსა, ვილიარეალი-დეპორტივო, ხიმნასტიკი-ოსასუნა, ბარსელონა-რასინგი, ატლეტიკო-ბილბაო.**

### ესპანიოლი-სარაგოსა 1:2

**ესპანიოლი:** კამენი, ველასკო (73. მოა), ხარკე, ტორეხონი, ჩიკა, ჯონათასი (45. ხულიანი), კოსტა, კორო, რიერა (63. პანდიანი), ლუის გარსია, ტამუდო.

**სარაგოსა:** სესარი, დიეგო, გაბი მილიტო, პიკე, ხუანფრანი, საპატერი, მოვილია, დ'ალესანდრო (74. ლაფიტა), ოსკარი, დიეგო მილიტო (65. ევერტონი), სერხიო გარსია (89. ჩუს ერერო).

**გოლები:** 0:1 სერხიო გარსია (55), 1:1 ლუის გარსია (85), 1:2 სერხიო გარსია (86)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 11(4)-16(6); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 21-27; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 16 800

### დეპორტივო-მალიორკა 1:0

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, ჟორჟე ანდრადე, ხუანმა, კაპდევილია, ესტოიანოფი (62. ტაბორდა), დე გუსმანი, დუშერი (80. ვერდუ), კრისტიანი, რიკი (74. პაბლო ალვარესი), არისმენდი.

**მალიორკა:** პრატსი, ექტორი, რამისი, ნუნიესი, ფერნანდო ნავარო, ბასინასი, ხორდი ლოპესი (65. ვიქტორი), იონასი, იბაგასა, არანგო, მაქსი ლოპესი (65. იანკოვიჩი).

**გოლი:** 1:0 ესტოიანოფი (46-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 13(4)-17(4); **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 15 000

### ვალენსია-ატლეტიკო 3:1

**ვალენსია:** კანისარესი (74. ბუტელი), მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, მარჩენა, ალბელდა, სილვა (66. ხოაკინი), ვისენტე (72. ანუგლო), ვილია, მორიენტესი.

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პაბლო, ზე კასტრო, ანტონიო ლოპესი, ლუქსენი (71. კოშტინია), მანიშე, ხურადო (71. გაბი), მისტა, აგუერო (63. გალეტი), ფერნანდო ტორესი.

**გოლები:** 1:0 აიალა (14), 2:0 მორიენტესი (53), 2:1 მისტა (56), 3:1 მორიენტესი (67)

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 13(4)-16(4); **კუთხური:** 4-6; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 16-16; **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 30 000

### ბილბაო-ბეტისი 1:2

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, სარიეგი, ამორებიეტა, კასასი (70. ხავი გონსალესი), მურილიო, ირაოლა, ხავი მარტინესი, იესტე, ადურისი (64. ლორენტე), ურსაისი.

**ბეტისი:** დობლასი, ილიჩი, რივასი, ფერნანდო ვეგა, არსუ, ფოგელი, რივერა (68. მიგელ ანხელი), კაფა (59. ფერნანდო), რობერტი, კაპი, სობისი (73. პანკრატი).

**გოლები:** 0:1 რობერტი (17), 0:2 პანკრატი (75), 1:2 ურსაისი (90-პენ)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 12(3)-5(2); **კუთხური:** 7-3; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 17-174; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 25 000

### სელტა-ხიმნასტიკი 1:1

**სელტა:** პინტო, ტამაში, კონტრერასი, პლასენტე, ანხელი, ირინეი, უბინია, გუსტავო ლოპესი (59. ნუნიესი), კანობიო (84. გაირე), ნენე (66. ჯონათანი), ბაიანო.

**ხიმნასტიკი:** ბისარი, კალვო, სესარი ნავასი, მატელიანი, მინგო, კამპანიო, ხენერელო (65. მერინო), მორალესი, ხუან დიასი (54. კუელარი), პინილია (85. რუბენ კასტრო), პორტილიო.

**გოლები:** 1:0 უბინია (49), 1:1 პორტილიო (76)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 9(8)-8(3); **კუთხური:** 4-6; **თამაშგარე:** 3-5; **ჯარიმა:** 13-14; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 30 000

### რასინგი-ხეტაფე 1:0

**რასინგი:** კალატაიუდი, პინილიოსი, რუბენი, გარაი, კრისტიანი, სკალონი (72. კრისტიან ალვარესი), კოლსა, ბალბოა (62. ა. ტომასი), მუნიტისი, ოსკარ სერანო (89. მომო), ჟიგიჩი.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კონტრა, ბელენგერი, პულიდო, პარედესი, სელესტინი, მარიო კოტელო (84. ნაჩო), კასკერო, ვივარ დორადო (73. მარისი), მანუ დელ მორალი (73. პაუნოვიჩი), გუისა.

**გოლი:** 1:0 გარაი (6)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 11(5)-12(1); **კუთხური:** 5-5; **თამაშგარე:** 2-1; **ჯარიმა:** 25-12; **ბურთის ფლობა:** 40%-60%

**მაყურებელი:** 19 000

### სევილია-სოსიედადი 0:0

**სევილია:** პალოპი, დანი ალვეში, ხასი ნავარო, ესკუდე, დავიდი, რენატო, მარტი, ხესუს ნავასი (57. დუდა), ადრიანო (69. ალფარო), ლუიშ ფაბიანო, კერჟაკოვი (79. ჩევანტონი).

**სოსიედადი:** ბრავო, გარიდო, ხერარდო, მიკელ გონსალესი, ხუანიტო, რივასი (46. გარიტანო), ელუსტონდო, ჩაბი პრიეტო, სავიო (74. არანბურუ), გარი ურანგა, ერერა (55. კოვაჩევიჩი).

**გაძევება:** დუდა (90. სევილია)

**გაფრთხილება:** 3-5; **დარტყმა:** 13(4)-8(4); **კუთხური:** 10-1; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 16-25; **ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 43 000

### რეკრეატივო-ვილიარეალი 2:1

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალეხო, მერინო (43. ედუ მოია), ბეტო, პაბლო ამო, პოლი, კასორლა, ბარბერი, ხესუს ვასკესი, ხუანმა (65. აიტორი), ხავი გერერო (46. უჩე), სინამა პონგოლე.

**ვილიარეალი:** ვიერა, ხოსემი, სიგანი, ფუენტესი, ხოსე ენრიკე, [illegible] ([illegible] ტავერნარდი), სენა, კანი (46. ტომასონი), მატიას ფერნანდესი, ფრანკო, [illegible] (66. [illegible]თანი).

**გოლები:** 1:0 ხუანმა (14), 2:0 სინამა პონგოლე (46), 2:1 ტომასონი (76)

**გაძევება:** არუაბარენა (88. ვილიარეალი)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 12(4)-11(2); **კუთხური:** 2-7; **თამაშგარე:** 3-8; **ჯარიმა:** 19-15; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 20 000

### რეალი-ლევანტე 0:1

**რეალი:** კასილიასი, მიჩელ სალგადო, სერხიო რამოსი, ივან ელგერა, ტორესი, გუტი, დიარა, იგუაინი, რეიესი (46. რობინიო/72. ნიეტო), რაული, ვან ნისტელროი.

**ლევანტე:** მოლინა, მანოლო, ალექსისი, დეუ, რუბიალესი, კამაჩო, ტომაზი, რიგა, რობერი (67. ეტიენი), სალვა (88. რეჯი), კაპო (82. ბერსონი).

**გოლები:** 0:1 სალვა (10-პენ)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 18(8)-6(3); **კუთხური:** 13-2; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 14-18; **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 79 000

### ოსასუნა-ბარსელონა 0:0

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, კორალესი, პუნიალი, რაულ გარსია, ხუანფრანი, დავიდ ლოპესი, მილოშევიჩი (71. ნექუნამი), სოლდადო (83. ვებო).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი, მარკესი (82. მოტა), პუიოლი, ედმილსონი, ძამბროტა, ჩავი, დეკუ (85. ეტო'ო), ჟიული, ესკერო, სავიოლა (65. ინიესტა).

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 15(4)-12(5); **კუთხური:** 2-2; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 19-24; **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 24 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 12 | 7 | 2 | 43-18 | 43 |
| 2. სევილია | 21 | 13 | 3 | 5 | 41-21 | 42 |
| 3. ვალენსია | 21 | 12 | 3 | 6 | 32-18 | 39 |
| 4. რეალი | 21 | 12 | 2 | 7 | 28-18 | 38 |
| 5. ატლეტიკო | 21 | 10 | 6 | 5 | 27-17 | 36 |
| 6. სარაგოსა | 21 | 10 | 5 | 6 | 33-22 | 35 |
| 7. რეკრეატივო | 21 | 10 | 3 | 8 | 31-28 | 33 |
| 8. ხეტაფე | 21 | 9 | 5 | 7 | 18-14 | 32 |
| 9. რასინგი | 21 | 7 | 8 | 6 | 20-24 | 29 |
| 10. ვილიარეალი | 21 | 8 | 5 | 8 | 20-26 | 29 |
| 11. ოსასუნა | 21 | 8 | 3 | 10 | 27-26 | 27 |
| 12. ესპანიოლი | 21 | 6 | 8 | 7 | 19-24 | 26 |
| 13. დეპორტივო | 21 | 6 | 8 | 7 | 16-25 | 26 |
| 14. ბეტისი | 21 | 6 | 6 | 9 | 23-28 | 24 |
| 15. მალიორკა | 21 | 6 | 5 | 10 | 18-29 | 23 |
| 16. ბილბაო | 21 | 5 | 7 | 9 | 24-30 | 22 |
| 17. სელტა | 21 | 5 | 7 | 9 | 23-30 | 22 |
| 18. ლევანტე | 21 | 5 | 7 | 9 | 19-30 | 22 |
| 19. სოსიედადი | 21 | 2 | 8 | 11 | 12-27 | 14 |
| 20. ხიმნასტიკი | 21 | 3 | 4 | 14 | 21-40 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 -კანუტე (სევილია); 13 - დიეგო მილიტო (სარაგოსა), რონალდინიო (ბარსელონა); 10 - ვან ნისტელროი (რეალი), ვილია (ვალენსია); 9 - მორიენტესი (ვალენსია); 8 - ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 7 - ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

### II დივიზიონი

XXIII ტური

**ალავესი-მალაგა 0:1**

გოლი: 0:1 პერიკო (58-საკ. კარში)

**ალბასეტე-ელჩე 0:0**

**კადისი-ტენერიფე 1:0**

გოლი: 1:0 მედინა (41)

**სიუდადი-ხერესი 1:0**

გოლი: 1:0 გოიტომი (62)

**ლას პალმასი-ვალიადოლიდი 2:2**

გოლები: 0:1 ვიქტორი (16), 0:2 ალვარო (32), 1:2 ჩიკი (41), 2:2 ხუანმა (43)

**ერკულესი-რეალი B 0:3**

გოლები: 0:1 ნეგრედო (52), 0:2 გრანერო (73-პენ), 0:3 ბუენო (88)

**ალმერია-მურსია 2:1**

გოლები: 1:0 აკასიეტე (47), 1:1 არანდა (69), 2:1 სორიანო (90)

**კასტელონი-ვესინდარიო 0:0**

**სპორტინგი-ლორკა 0:1**

გოლი: 0:1 კაპი (76)

**ნუმანსია-პონფერადინა 1:0**

გოლი: 1:0 ბოლო (8)

**სალამანკა-ეხიდო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 23 | 14 | 6 | 3 | 37-17 | 48 |
| 2. მურსია | 23 | 11 | 8 | 4 | 35-26 | 41 |
| 3. ალმერია | 23 | 12 | 4 | 7 | 35-24 | 40 |
| 4. კადისი | 23 | 10 | 8 | 5 | 27-22 | 38 |
| 5. სიუდადი | 23 | 11 | 3 | 9 | 26-23 | 36 |
| 6. ეხიდო | 23 | 9 | 8 | 6 | 26-21 | 35 |
| 7. ნუმანსია | 23 | 9 | 7 | 7 | 25-23 | 34 |
| 8. სალამანკა | 23 | 9 | 6 | 8 | 31-24 | 33 |
| 9. ხერესი | 23 | 9 | 6 | 8 | 26-20 | 33 |
| 10. ერკულესი | 23 | 9 | 5 | 9 | 25-23 | 32 |
| 11. სპორტინგი | 23 | 10 | 1 | 12 | 27-26 | 31 |
| 12. მალაგა | 23 | 8 | 7 | 8 | 26-25 | 31 |
| 13. ალავესი | 23 | 8 | 6 | 9 | 22-28 | 30 |
| 14. ელჩე | 23 | 7 | 8 | 8 | 25-27 | 29 |
| 15. ტენერიფე | 23 | 8 | 5 | 10 | 20-26 | 29 |
| 16. რეალი B | 23 | 8 | 5 | 10 | 28-35 | 29 |
| 17. კასტელონი | 23 | 7 | 7 | 9 | 21-24 | 28 |
| 18. ალბასეტე | 23 | 7 | 6 | 10 | 26-32 | 27 |
| 19. ლას პალმასი | 23 | 5 | 10 | 8 | 26-30 | 25 |
| 20. ლორკა | 23 | 6 | 7 | 10 | 21-29 | 25 |
| 21. პონფერადინა | 23 | 6 | 6 | 11 | 21-29 | 24 |
| 22. ვესინდარიო | 23 | 4 | 3 | 16 | 21-43 | 15 |

## საფრანგეთი

XXIII ტური

**ლილი-ნანტი 0:0**

**ლილი:** სილვა, შალმე, პლესტანი, შმიტცი, ტაფორო, კაბეიე, მაკუნი, ბოდმერი (57. მირალა), ბასტოსი (46. ობრანიაკი), ა. კეიტა, ოდემვინგი (80. კამულეტ-მაკისე).

**ნანტი:** ერტებისი, სავინო (82. დეს ნევესი), სეტო, პიერი, გიიონი, სინიორინო, საედუ, დიმიტრიევიჩი (75. სა), და როშა, პეიე, ოლიეში (64. მ. დიალო).

**გაფრთხილება:** 2-3
**მაყურებელი:** 14 750

**ლორიანი-ლე მანი 2:1**

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, სიანი, მარშალი, მორელი, აბრიელი, ევოლო, მანსური, ლე პენი, საიფი (75. ბურჰანი), გინიაკი (75. მარლე).

**ლე მანი:** პელე, ო. ტომასი, ბასა, ფიშერი, ი. კამარა, რომარიკი, სესენიონი, მაცუი (84. დუიარი), ის. ბანგურა, სამასა (56. დე მელო), გრაფიტე (76. კუტადორი).

**გოლები:** 0:1 გრაფიტე (45), 1:1 ლე პენი (51), 2:1 მარლე (88)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 12 203

**მონაკო-ოსერი 2:1**

**მონაკო:** რომა, კუფრე, ბოლივარი, მონსორო, ჟივე, ი. ლეკო, პლასილი, გაკპე (70. მოდესტო), მენეზი, კოლერი (46. მერიემი), პიკიონი.

**ოსერი:** სორენი, სანია, გრიშტინგი, მანო, ჟორესი (77. მუ. ნ'დიაიე), ფ. ტომასი, პედრეტი, ბე. შეირუ, კალენბერგი, აკალე, იელენი (77. ნიკულაე).

**გოლები:** 1:0 გაკპე (36), 2:0 პიკიონი (63-პენ), 2:1 აკალე (90+1)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 8 189

**ნანსი-ტულუზი 2:1**

**ნანსი:** გრეგორინი, შრეტიენი, დიახატე, ბიანკალანი, პუიგრენიე (81. ანდრე ლუის სილვა), ბერენგერი, ბ. გავანონი, კიმი (89. დუშემენი), ი. ჰაჯი, კურბელო, ფორტუნე (82. ბრისონი).

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, დაო, შერფა (54. კონგრე), ფაბიანიო, დიოზი (78. ბერგუნუ), მანსარე (46. ბატლი), პაულო სეზარი, ემანა, ფორტი.

**გოლები:** 1:0 კურბელო (15), 2:0 ფორტუნე (77), 2:1 ბერგუნუ (90+2)
**გაძევება:** ფორტი (55. ტულუზი).
**გაფრთხილება:** 2-4
**მაყურებელი:** 16 596

**ნიცა-ბორდო 2:1**

**ნიცა:** ლორისი, ვარო, კანტე, აპამი, ფანი, ეჭუაფნი, ბალმონი, დ. დიაკიტე, ედერსონი (65. ვეინო), კონე (89. აბარდონადო), ლასლანდი (87. სო. კამარა).

**ბორდო:** რამე, ჟემალი, პლანუსი, მარანჟი, ფერნანდო, მავუბა, ფობერი, მიკუ, ფრანსია (76. ობერტანი), პერეა (46. იუსი), შამახი (65. კავენაგი).

**გოლები:** 1:0 ედერსონი (12), 2:0 ედერსონი (26), 2:1 მიკუ (35)
**გაფრთხილება:** 0-2
**მაყურებელი:** 10 898

**სტ.ეტიენი-სედანი 1:2**

**სტ.ეტიენი:** ჟანო, დიატა, ონონი, ილუნგა, პერკისი, ოტკოერი (74. გარენი), ლანდრენი, ფეინდუნო (52. დერნისი), ჰაინცი, გომისი (68. მუსილუ), ილანი.

**სედანი:** რენო, ბელჰაჯი, დუკურტუა, ლაშორი, სარტრი, აბდუ, ამალფიტანო, ბუტაბუ (81. პუჟოლი), ჟობი, მარენი (86. ჟო), მორის-ბელეი.

**გოლები:** 1:0 გომისი (9), 1:1 ჟობი (47), 1:2 დიატა (70-საკ. კარში)
**გაფრთხილება:** 1-0
**მაყურებელი:** 24 836

**სოშო-რენი 0:0**

**სოშო:** რიშერი, პიშო, აფოლაბი, ბრეშე, ტოშიჩი, ისაბეი (65. ლე ტალეკი), ნ'დავი (73. პრევიტალი), ჟ. ლერუა, კ. ზიანი, ბირსა, კერსია (73.სენე).

**რენი:** პუპლენი, მელხიოტი, ბურილიონი (75. ბორნი), მენსა, ჟ. ფატი, ე. დიდო, ბრ. შეირუ, დანზე, სორლენი (89. ი'ზია), მორეირა (75. უტაკა), ბრიანი.

**გაფრთხილება:** 0-0
**მაყურებელი:** 6 477

**ვალანსი-ლანსი 1:3**

**ვალანსი:** პენეტო, მატერი, ფლაშე, შელი, რიპერი, პააუვე, უმენგი (84. მო. ტრაორე), ბრატუ (50. ჰასლი), ჰადადი (71. რუდე), დუფრესნი, სავიდანი.

**ლანსი:** იტანჯე, ბიზევაკი, ად. კულიბალი, ჰილტონი, რამოსი (74. ჟილე), სე. კეიტა, ნ. კოვაჩევიჩი, კარიერი, დემონი, დ. კუზენი (76. მონტერუბიო), დინდანე (90. ჟემაა).

**გოლები:** 0:1 კარიერა (28), 0:2 სე. კეიტა (45), 1:2 სავიდანი (61-პენ), 1:3 ჟემაა (90+5)
**გაფრთხილება:** 4-2
**მაყურებელი:** 16 513

**ტრუა-ლიონი 1:0**

**ტრუა:** ლე კრომი, ფერეირა, პესლეი, ფეიე, ამზენი, ლაშორი, ნივე, დანიკი (89. ლაკური), მატუიდი (80. ბარბოსა), ენზა იამისი, ჟაზირი (69. გილიოტი).

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, მიულერი, აბიდალი (46. ბერტო), კრისი, მალუდა, ტულალანი, ტიაგო, ჟუნინიო, გოვუ (74. ბენ აფრა), ფრედი (74. ბაროში).

**გოლი:** 1:0 ნივე (90+4)
**გაფრთხილება:** 3-3
**მაყურებელი:** 14 009

**მარსელი-პსჟ 1:1**

**მარსელი:** კარასო, ბეიე, ჟ. როდრიგესი, ზუბარი, ტაივო, ოლემბე (56. პაჟისი), კანა, ნასრი, რიბერი, ჯ. სისე, ნიანგი (78. მაულიდა).

**პსჟ:** ლანდრო, არმანი, როზენალი, იეპესი (46. დრამე), ე. სისე, როტენი, გალიარდო, შანტომი, ფრო (72. დიანე), კალუ (68. კ. როდრიგესი), პაულეტა.

**გოლები:** 1:0 ჯ. სისე (69), 1:1 პაულეტა (75)
**გაფრთხილება:** 2-2
**მაყურებელი:** 35 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 23 | 16 | 3 | 4 | 41-17 | 51 |
| 2. ლანსი | 23 | 11 | 7 | 5 | 35-26 | 40 |
| 3. ლილი | 23 | 10 | 9 | 4 | 30-20 | 39 |
| 4. მარსელი | 23 | 11 | 4 | 8 | 31-23 | 37 |
| 5. სოშო | 23 | 9 | 9 | 5 | 24-22 | 36 |
| 6. სტ. ეტიენი | 23 | 10 | 5 | 8 | 37-29 | 35 |
| 7. ლორიანი | 23 | 9 | 7 | 7 | 25-24 | 34 |
| 8. ნანსი | 23 | 9 | 6 | 8 | 21-22 | 33 |
| 9. ბორდო | 23 | 10 | 3 | 10 | 25-27 | 33 |
| 10. რენი | 23 | 8 | 8 | 7 | 19-18 | 32 |
| 11. ტულუზი | 23 | 9 | 5 | 9 | 25-28 | 32 |
| 12. ლე მანი | 23 | 7 | 10 | 6 | 27-25 | 31 |
| 13. მონაკო | 23 | 8 | 5 | 10 | 27-24 | 29 |
| 14. ოსერი | 23 | 7 | 8 | 8 | 25-29 | 29 |
| 15. ვალანსი | 23 | 7 | 4 | 12 | 20-34 | 25 |
| 16. ტრუა | 23 | 5 | 9 | 9 | 23-31 | 24 |
| 17. პსჟ | 23 | 4 | 10 | 9 | 20-28 | 22 |
| 18. ნანტი | 23 | 4 | 9 | 10 | 17-26 | 21 |
| 19. ნიცა | 23 | 4 | 8 | 11 | 18-25 | 20 |
| 20. სედანი | 23 | 3 | 9 | 11 | 27-39 | 18 |

**ბომბარდირები:** 9 - პაულეტა (პსჟ), სავიდანი (ვალანსი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ილანი (სტ. ეტიენი); 7 - ჟუნინიო (ლიონი), მალუდა (ლიონი), ზიანი (სოშო), გინიაკი (ლორიანი), ფეინდუნო (სტ. ეტიენი), პიკიონი (სტ. ეტიენი), აკალე (ოსერი).

### II დივიზიონი

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-გენიონი | 2:0 |
| ბასტია-კაენი | 2:0 |
| შატორუ-აიაჩო | 2:1 |
| კრეტეი-ჰავრი | 0:1 |
| დიჟონი-ლიბურნი | 0:1 |
| მეცი-ბრესტი | 0:0 |
| მონპელიე-რეიმსი | 2:0 |
| ნიორი-ისტრი | 0:0 |
| ტური-გრენობლი | 1:1 |
| გინგამი-სტრასბური | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 22 | 14 | 7 | 1 | 32-11 | 49 |
| 2. კაენი | 23 | 13 | 8 | 2 | 41-21 | 47 |
| 3. ჰავრი | 23 | 11 | 9 | 3 | 34-17 | 42 |
| 4. სტრასბური | 22 | 11 | 8 | 3 | 27-17 | 41 |
| 5. შატორუ | 23 | 11 | 5 | 7 | 28-24 | 38 |
| 6. დიჟონი | 23 | 10 | 6 | 7 | 26-25 | 36 |
| 7. გრენობლი | 23 | 8 | 10 | 5 | 34-26 | 34 |
| 8. რეიმსი | 23 | 9 | 7 | 7 | 27-24 | 34 |
| 9. ამიენი | 23 | 10 | 4 | 9 | 29-29 | 34 |
| 10. ბასტია | 23 | 8 | 7 | 8 | 31-29 | 31 |
| 11. გენიონი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-32 | 29 |
| 12. აიაჩო | 23 | 7 | 7 | 9 | 22-25 | 28 |
| 13. ლიბურნი | 22 | 7 | 5 | 10 | 28-31 | 26 |
| 14. მონპელიე | 23 | 7 | 5 | 11 | 25-29 | 26 |
| 15. ბრესტი | 23 | 4 | 11 | 8 | 25-29 | 23 |
| 16. კრეტეი | 23 | 5 | 8 | 10 | 18-28 | 23 |
| 17. ისტრი | 23 | 4 | 7 | 12 | 16-34 | 19 |
| 18. გინგამი | 22 | 3 | 9 | 10 | 20-27 | 18 |
| 19. ნიორი | 23 | 3 | 9 | 11 | 18-31 | 18 |
| 20. ტური | 23 | 4 | 5 | 14 | 18-35 | 17 |

## საბერძნეთი

XX ტური

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ატრომიტოსი | 2:3 |
| პაოკ-პანათინაიკოსი | 2:1 |
| კერკირა-ეგალეო | 3:0 |
| ლარისა-იონიკოსი | 3:0 |
| პანიონიოსი-აპოლონი | 3:1 |
| ოფი-ერგოტელისი | 1:3 |
| აეკ-ოლიმპიაკოსი | 3:3 |
| არისი-ქსანთი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 20 | 16 | 2 | 2 | 43-14 | 50 |
| 2. აეკ | 20 | 12 | 6 | 2 | 41-15 | 42 |
| 3. პანათინაიკოს | 20 | 13 | 2 | 5 | 32-17 | 41 |
| 4. პაოკ | 20 | 8 | 5 | 7 | 21-18 | 29 |
| 5. არისი | 20 | 6 | 11 | 3 | 20-17 | 29 |
| 6. ატრომიტოსი | 20 | 6 | 8 | 6 | 28-30 | 26 |
| 7. ოფი | 20 | 7 | 5 | 8 | 23-27 | 26 |
| 8. ლარისა | 20 | 6 | 7 | 7 | 22-28 | 25 |
| 9. პანიონიოსი | 20 | 6 | 7 | 7 | 17-23 | 25 |
| 10. კერკირა | 20 | 6 | 6 | 8 | 21-23 | 24 |
| 11. ერგოტელის | 20 | 6 | 5 | 9 | 20-22 | 23 |
| 12. ქსანთი | 20 | 5 | 7 | 8 | 12-14 | 22 |
| 13. ეგალეო | 20 | 6 | 4 | 10 | 19-27 | 22 |
| 14. აპოლონი | 20 | 5 | 7 | 8 | 15-23 | 22 |
| 15. ირაკლისი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-25 | 19 |
| 16. იონიკოსი | 19 | 2 | 2 | 15 | 8-36 | 6 |

*იონიკოსს დაკლებული აქვს 2 ქულა*

## ჰოლანდია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| გრონინგენი-ჰერენვეენი | 1:1 |
| ბრედა-ვაალვიკი | 2:1 |
| ეინდჰოვენი-ალკმაარი | 2:3 |
| ექსელსიორი-ტვენტე | 1:2 |
| ჰერაკლესი-ვილემი | 2:2 |
| აიაქსი-ფეიენოორდი | 4:1 |
| დენ ჰააგი-უტრეხტი | 1:1 |
| ვიტესი-ნიიმეგენი | 1:1 |
| სპარტა-როდა | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 23 | 18 | 2 | 3 | 58-14 | 56 |
| 2. აიაქსი | 23 | 16 | 3 | 4 | 56-24 | 51 |
| 3. ალკმაარი | 23 | 15 | 5 | 3 | 63-24 | 50 |
| 4. ტვენტე | 23 | 14 | 5 | 4 | 50-26 | 47 |
| 5. ფეიენოორდი | 23 | 13 | 3 | 7 | 46-45 | 42 |
| 6. ჰერენვეენი | 23 | 11 | 4 | 8 | 41-30 | 37 |
| 7. ბრედა | 23 | 10 | 5 | 8 | 31-33 | 35 |
| 8. როდა | 23 | 9 | 6 | 8 | 29-31 | 33 |
| 9. ვიტესი | 23 | 9 | 4 | 10 | 40-37 | 31 |
| 10. ნიიმეგენი | 23 | 8 | 7 | 8 | 24-27 | 31 |
| 11. გრონინგენი | 23 | 9 | 4 | 10 | 35-43 | 31 |
| 12. უტრეხტი | 23 | 8 | 6 | 9 | 28-33 | 30 |
| 13. სპარტა | 23 | 8 | 2 | 13 | 28-45 | 26 |
| 14. ჰერაკლესი | 23 | 4 | 7 | 12 | 20-44 | 19 |
| 15. ვილემი | 23 | 5 | 3 | 15 | 23-52 | 18 |
| 16. ექსელსიორი | 23 | 4 | 4 | 15 | 29-46 | 16 |
| 17. დენ ჰააგი | 23 | 3 | 5 | 15 | 25-44 | 14 |
| 18. ვაალვიკი | 23 | 2 | 7 | 14 | 19-47 | 13 |

### II დივიზიონი

XXVI ტური

როსენდალი-ომნივორლდი 2:0; ტოპოსი-ვეენდამი 0:3; ვენლო-ცვოლე 2:2; გრააფსხაპი-ეინდჰოვენი A 1:1; ემენი-კამბური 0:1; ვოლენდამი-ფორტუნა 2:0; იგლზი-დენ ბოში 1:1; ჰაარლემი-აპელდოორნი 1:1; ჰელმონდი-დორდრეხტი 2:4; მაასტრიხტი-ტელსტარი 1:0.

## ბელგია

XX ტური

| | |
|---|---|
| ბევერენი-ბრიუგე | 0:2 |
| გენტი-ლოკერენი | 3:1 |
| ანდერლეხტი-ვესტერლო | 1:0 |
| სერკლი-შარლერუა | 0:0 |
| ლიერსი-ვარეგემი | 1:0 |
| მონსი-ბეერსხოტი | 2:1 |
| რუზელარე-მუსკრონი | 2:1 |
| სტ.ტრუიდენი-ბრიუსელი | 2:2 |
| სტანდარდი-გენკი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 20 | 14 | 4 | 2 | 39-18 | 46 |
| 2. გენკი | 20 | 13 | 5 | 2 | 44-20 | 44 |
| 3. სტანდარდი | 20 | 12 | 4 | 4 | 42-24 | 40 |
| 4. გენტი | 20 | 12 | 4 | 4 | 35-23 | 40 |
| 5. ბრიუგე | 20 | 10 | 5 | 5 | 37-20 | 35 |
| 6. რუზელარე | 20 | 8 | 6 | 6 | 32-30 | 30 |
| 7. შარლერუა | 20 | 8 | 6 | 6 | 26-24 | 30 |
| 8. ვესტერლო | 20 | 8 | 4 | 8 | 24-25 | 28 |
| 9. სტ. ტრუიდენი | 20 | 7 | 3 | 10 | 26-30 | 24 |
| 10. ბეერსხოტი | 20 | 6 | 6 | 8 | 23-30 | 24 |
| 11. სერკლი | 20 | 6 | 4 | 10 | 16-21 | 22 |
| 12. ვარეგემი | 20 | 5 | 7 | 8 | 22-28 | 22 |
| 13. ბრიუსელი | 20 | 4 | 9 | 7 | 21-25 | 21 |
| 14. მონსი | 20 | 5 | 5 | 10 | 17-27 | 20 |
| 15. ლოკერენი | 20 | 4 | 7 | 9 | 16-26 | 19 |
| 16. მუსკრონი | 20 | 4 | 7 | 9 | 25-36 | 19 |
| 17. ბევერენი | 20 | 4 | 5 | 11 | 16-30 | 17 |
| 18. ლიერსი | 20 | 3 | 3 | 14 | 13-37 | 12 |

### II დივიზიონი

XX ტური

ანტვერპენი-დესელი 3:0; ლომელი-ჰამე 1:1; მეხელენი-სტ.ჟილი 2:0; რონსედაინცე 1:3; ვირტონი-ჰევერლე 0:3; კორტრიიკი-დენდერი 1:0; ოსტენდე-ვაასლანდი 1:0; რასინგი-ტუბეკე 2:1; ტინენი-ეუპენი 1:1.

## პორტუგალია

XVII ტური

| | |
|---|---|
| ბენფიკა-ბოავიშტა | 0:0 |
| პორტუ-ამადორა | 0:1 |
| სპორტინგი-ნასიონალი | 5:1 |
| ბეირა მარი-ლეირია | 1:0 |
| მარიტიმუ-ფერეირა | 1:1 |
| ნავალი-აკადემიკა | 0:1 |
| სეტუბალი-ბელენენსეში | 0:1 |
| ბრაგა-ავეში | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 17 | 13 | 1 | 3 | 34-10 | 40 |
| 2. სპორტინგი | 17 | 11 | 4 | 2 | 28-11 | 37 |
| 3. ბენფიკა | 17 | 11 | 3 | 3 | 34-13 | 36 |
| 4. ბრაგა | 17 | 8 | 4 | 5 | 24-22 | 28 |
| 5. ლეირია | 17 | 7 | 4 | 6 | 14-16 | 25 |
| 6. ფერეირა | 17 | 6 | 7 | 4 | 19-22 | 25 |
| 7. ნასიონალი | 17 | 7 | 3 | 7 | 25-23 | 24 |
| 8. ნავალი | 17 | 6 | 6 | 5 | 15-13 | 24 |
| 9. ბელენენსეში | 17 | 7 | 3 | 7 | 16-16 | 24 |
| 10. მარიტიმუ | 17 | 7 | 3 | 7 | 20-22 | 24 |
| 11. ამადორა | 17 | 5 | 5 | 7 | 10-17 | 20 |
| 12. ბოავიშტა | 17 | 4 | 7 | 6 | 19-21 | 19 |
| 13. აკადემიკა | 17 | 4 | 4 | 9 | 19-25 | 16 |
| 14. ბეირა მარი | 17 | 2 | 6 | 9 | 16-31 | 12 |
| 15. სეტუბალი | 17 | 3 | 3 | 11 | 9-26 | 12 |
| 16. ავეში | 17 | 2 | 3 | 12 | 10-24 | 9 |

### II დივიზიონი

XVII ტური

გიმარაეში-ვარზიმი 0:0; ფეირენსე-ჟილ ვისენტე 1:2; გონდომარი-ვიზელა 1:2; ლეიქსოეში-სანტა კლარა 3:1; ეშტორილი-შავეში 1:1; ტროფენსე-მოსკავიდე 0:1; პორტიმონენსე-ოლანენსე 1:0; რიუ ავე-პენაფიელი 1:0.

## შოტლანდია

### I დივიზიონი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ეირდრი-დანდი | 0:3 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-ეირი | 2:0 |
| რეითი-ალოა | 3:0 |
| სტირლინგი-პიტერჰედი | 2:1 |

### III დივიზიონი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| დამბარტონი-ალბიონი | 3:1 |
| ელგინი-ბერუიკი | 2:1 |
| მონროუზი-ისტ სტირლინგი | 4:0 |
| ქუინზ პარკი-ისტ ფაიფი | 1:1 |
| სტენჰაუზმური-არბროა | 1:2 |

## შოტლანდიის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| დევერონვეილი-პარტიკი | 0:1 |
| დანფერმლაინი-პართისი | 1:0 |
| ფალკირკი-სტ. ჯონსტონი | 0:3 |
| ჰიბერნიანი-გრეტნა | 3:1 |
| ინვერნესი-დანდი იუნ | 1:0 |
| მოზერველი-მორტონი | 2:0 |
| ქუინი-კოუდენბითი | 2:0 |
| ლივინგსტონი-სელტიკი | 1:4 |

## მექსიკა

III ტური

| | |
|---|---|
| სან ლუისი-ატლანტე | 3:0 |
| ჩივასი-პაჩუკა | 0:1 |
| მონტერეი-კრუს ასული | 1:2 |
| კერეტარო-ტოლუკა | 0:0 |
| მორელია-ტიგრესი | 0:0 |
| ნეკაქსა-ს. ლაგუნა | 1:0 |
| პუმასი-ხაგუარესი | 2:0 |

## თურქეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ფენერბაჩე-გენჩლერი | 2:1 |
| ანთალია-საქარია | 1:0 |
| ქონია-დენიზლი | 5:1 |
| მანისა-ტრაბზონი | 0:0 |
| ანკარასპორი-ანკარაგიუჯუ | 1:0 |
| ბურსა-ერჩიესი | 0:0 |
| სივასი-რიზე | 1:0 |
| გაზიანთეფი-ბეშიქთაში | 0:0 |
| ქაისერი-გალათასარაი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 19 | 12 | 5 | 2 | 38-17 | 41 |
| 2. გალათასარაი | 19 | 9 | 7 | 3 | 34-20 | 34 |
| 3. ბეშიქთაში | 19 | 9 | 6 | 4 | 26-17 | 33 |
| 4. მანისა | 19 | 8 | 5 | 6 | 33-26 | 29 |
| 5. ქონია | 19 | 7 | 7 | 5 | 25-22 | 28 |
| 6. ქაისერი | 19 | 7 | 7 | 5 | 22-20 | 28 |
| 7. სივასი | 19 | 8 | 4 | 7 | 19-22 | 28 |
| 8. გენჩლერი | 19 | 8 | 3 | 8 | 21-21 | 27 |
| 9. ანკარასპორი | 19 | 5 | 11 | 3 | 22-20 | 26 |
| 10. ბურსა | 19 | 7 | 5 | 7 | 22-22 | 26 |
| 11. გაზიანთეფი | 19 | 6 | 6 | 7 | 20-25 | 24 |
| 12. ანკარაგიუჯუ | 19 | 5 | 8 | 6 | 21-18 | 23 |
| 13. ტრაბზონი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-21 | 21 |
| 14. რიზე | 19 | 6 | 3 | 10 | 15-21 | 21 |
| 15. ანთალია | 19 | 4 | 8 | 7 | 19-22 | 20 |
| 16. დენიზლი | 19 | 4 | 7 | 8 | 14-22 | 19 |
| 17. საქარია | 19 | 3 | 7 | 9 | 11-23 | 16 |
| 18. ერჩიესი | 19 | 2 | 7 | 10 | 16-39 | 13 |

ამხანაგური მატჩების წინ

# ინგლისი ერთი დებიუტანტით, ესპანეთი ისევ რაულის გარეშე

## მარკომ ვან ნისტელროი საბოლოოდ გამორიცხა

7 თებერვალს, "ოლდ ტრეფორდზე", ინგლისისა და ესპანეთის ნაკრებთა ამხანაგური მატჩია. მასპინძელთა მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** გუნდში უხმო "მანჩესტერ სიტის" ნახევარმცველ **ჯოი ბარტონს**, რომელსაც ეროვნულ გუნდში აქამდე არ უთამაშია. ნაკრებს დაუბრუნდნენ "მიდლსბროს" მცველი **ჯონათან ვუდგეიტი**, "ნიუკასლის" ნახევარმცველი **კირონ დაიერი** და "ასტონ ვილას" შუახაზელი **გარეთ ბერი**. მთლიანობაში, მაკლარენის არჩევანი ასე გამოიყურება:

მეკარეები - **პოლ რობინსონი** (ტოტენჰემი), **კრის კერკლანდი** (ვიგანი), **ბენ ფოსტერი** (უოტფორდი);

მცველები - **უეინ ბრიჯი** (ჩელსი), **ჯონ ტერი** (ჩელსი), **ჯეიმი კარაგერი** (ლივერპული), **მიკა რიჩარდსი** (მანჩესტერ სიტი), **რიო ფერდინანდი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **გარი ნევილი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **მაიკლ დოუსონი** (ტოტენჰემი), **ფილ ნევილი** (ევერტონი), **ჯონათან ვუდგეიტი** (მიდლსბრო);

ნახევარმცველები - **ფრენკ ლემპარდი** (ჩელსი), **შონ რაიტ-ფილიპსი** (ჩელსი), **სტივენ ჯერარდი** (ლივერპული), **მაიკლ ქერიკი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **სტიუარტ დაუნინგი** (მიდლსბრო), **სკოტ პარკერი** (ნიუკასლი), **ჯერმენ ჯენასი** (ტოტენჰემი), **აარონ ლენონი** (ტოტენჰემი), **ოუენ ჰარგრივსი** (ბაიერნი), **გარეთ ბერი** (ასტონ ვილა), **კირონ დაიერი** (ნიუკასლი), **ჯოი ბარტონი** (მანჩესტერ სიტი);

თავდამსხმელები - **ენდი ჯონსონი** (ევერტონი), **პიტერ კრაუჩი** (ლივერპული), **უეინ რუნი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ჯერმენ დეფო** (ტოტენჰემი).

რაც შეეხება ესპანეთის ნაკრებს, **ლუის არაგონესის** სიაში კვლავ არ არის "რეალის" კაპიტანი **რაული**. მწვრთნელმა გუნდში დააბრუნა "ვალენსიის" ნახევარმცველი **დავიდ ალბელდა** და "ატლეტიკოს" მცველი **პაბლო იბანიესი**. ესპანურ გაზეთ ABC-სთან ინტერვიუში არაგონესმა საინტერესო განცხადება გააკეთა: *"თუ ინგლისი დაგვამარცხებს, შეიძლება, პოსტიდან დამითხოვონ"*. არაგონესის სიაში ყველაზე მეტი (5 ფეხბურთელი) ვალენსიელია, რაც აბსოლუტურად გასაგებია. "ღამურები" ახლა კარგ ფორმაში არიან. ბოლო 8 მატჩიდან მათ 7 მოიგეს. მოკლედ, არაგონესის 20-კაციანი სია ასეთია:

მეკარეები - **იკერ კასილიასი** (რეალი), **ხოსე მანუელ რეინა** (ლივერპული);

მცველები - **ანტონიო ლოპესი** (ატლეტიკო), **სერხიო რამოსი** (რეალი), **ხოან კაპდევილია** (დეპორტივო), **ანხელ დავიდ ლოპესი** (სელტა), **ხავი ნავარო** (სევილია), **პაბლო იბანიესი** (ატლეტიკო), **კარლეს პუიოლი** (ბარსელონა);

ნახევარმცველები - **ფრანსესკ ფაბრეგასი** (არსენალი), **ანდრეს ინიესტა** (ბარსელონა), **ჩაბი ალონსო** (ლივერპული), **დავიდ ხიმენეს სილვა** (ვალენსია), **დავიდ ალბელდა** (ვალენსია), **ჩავი ერნანდესი** (ბარსელონა);

თავდამსხმელები - **ფერნანდო მორიენტესი** (ვალენსია), **დავიდ ვილია** (ვალენსია), **მიგელ ანხელ ანგულო** (ვალენსია), **ანხელ ხავიერ არისმენდი** (დეპორტივო), **ფერნანდო ტორესი** (ატლეტიკო).

ამხანაგური მატჩისთვის ემზადება ჰოლანდიის ნაკრებიც, რომელიც ამსტერდამში რუსეთს ეთამაშება. **მარკო ვან ბასტენი** სპეციალურად ეწვია **რუუდ ვან ნისტელროის** და ნაკრებში დაბრუნება შესთავაზა. მაგრამ რაკი მწვრთნელმა ძირითადში უპირობო მოხვედრის გარანტია ვერ მისცა, "რეალის" ფორვარდმა ეროვნული გუნდისგან თავი შორს დაიჭირა. თავის მხრივ, ჰოლანდიელთა თავკაცმა განაცხადა, რომ ვიდრე ნაკრების მწვრთნელია, ვან ნისტელროის აღარ გამოიძახებს. თუმცა ერთიცაა: ვან ბასტენს "რეალის" თავდამსხმელი იმიტომ გაახსენდა, რომ **არიენ რობენსა** და **რობინ ვან პერსის** ტრავმები აწუხებთ. ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებს მცველი **ანდრე ოოიერი**, რომელსაც **ვილფრიდ ბუმა** შეცვლის. არაგონესის არ იყოს, ვან ბასტენის ჩამონათვალიც 20 ფეხბურთელისგან შედგება:

მეკარეები - **ედვინ ვან დერ სარი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **მაარტენ სტეკელენბურგი** (აიაქსი);

მცველები - **ვილფრიდ ბუმა** (ასტონ ვილა), **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** (ბარსელონა), **ტიმ დე კლერი** (ალკმაარი), **ურბი ემანუელსონი** (აიაქსი), **ჯონ ჰეიტინგა** (აიაქსი), **კევ იალენსი** (ალკმაარი), **იან კრომკამპი** (ეინდჰოვენი), **იორის მატიისენი** (ჰამბურგი);

ნახევარმცველები - **ნაიჯელ დე იონგი** (ჰამბურგი), **დენი ლანდზაატი** (ვიგანი), **დავიდ მენდეს და სილვა** (ალკმაარი), **კლარენს ზეედორფი** (მილანი), **უესლი სნეიდერი** (აიაქსი), **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ჰამბურგი);

თავდამსხმელები - **რაიან ბაბელი** (აიაქსი), **კლაას იან ჰუნტელაარი** (აიაქსი), **დირკ კუიტი** (ლივერპული), **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი** (სელტიკი).

ჩერნოგორია. პირველი მწვრთნელი

# ფილიპოვიჩი საქმეს შეუდგა

მოგეხსენებათ, დიუსელდორფის კონგრესზე უეფას ახალ წევრად მიიღეს ჩერნოგორია, რომელიც სერბეთის შემადგენლობაში აღარ შედის. ეროვნული ნაკრები კი ოფიციალურ ტურნირებში მსოფლიო ჩემპიონატის (2010) შესარჩევი ციკლიდან ჩაერთვება. ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, "მილანის" ერთ-ერთი ლეგენდა **დეიან სავიჩევიჩი** გახლავთ, დღეიდანვე შეუდგა სამზადისს და ქვეყნის პირველ გუნდს მთავარი მწვრთნელიც დაუნიშნა. 53 წლის **ზორან ფილიპოვიჩი** უკვე შევიდა ისტორიაში, როგორც ჩერნოგორიის ნაკრების პირველი დამრიგებელი. ფილიპოვიჩს საფეხბურთო სამყარო კარგად იცნობს. ის იყო "ცრვენა ზვეზდას", "ბრიუგესა" და "ბენფიკის" თავდამსხმელი. იმავე "ცრვენა ზვეზდას" გარდა, წვრთნიდა პორტუგალიურ და იტალიურ კლუბებს, თავის დროზე, მუშაობდა იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელთა შტაბშიც.

სავიჩევიჩი უზომოდ კმაყოფილია: *"ჩვენ ბრწყინვალე არჩევანი გავაკეთეთ. ფილიპოვიჩს ზურგს უმაგრებს მდიდარი და წარმატებული კარიერა, როგორც ფეხბურთელის, ისე მწვრთნელის რანგში. დარწმუნებულნი ვართ, ჩერნოგორიის ახალბედა ნაკრებს მისი ხელი მალე დაეტყობა და გუნდს ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს"*.



ზორან ფილიპოვიჩი

ჩერნოგორიის ნაკრების საერთაშორისო დებიუტი 24 მარტს შედგება, როცა ქალაქ პოდგორიცაში უნგრეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს.

სავარაუდო დანიშვნა

# ავსტრალია კლინსმანს ელაპარაკება

როგორც ჩანს, **იურგენ კლინსმანის** უმუშევრობა დიდხანს არ გასტანს. გუშინ, ამერიკაში გამომავალმა "სან ჰერალდმა" გაავრცელა ინფორმაცია, ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელსა და კლინსმანს შორის მოლაპარაკებაზე, რომელიც ლოს ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში გამართულა და რომლის თაობაზეც გაზეთს ინკოგნიტომ აცნობა. ავსტრალიელებმა გერმანელთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურეს. როგორც ირკვევა, იურგენთან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ვაჟს **ფრენკ ლოუის** უსაუბრია. თუმცა ლოუი აცხადებს, რომ კლინსმანთან შეხვედრის მიზანი ბიზნესთან დაკავშირებული საკითხები იყო, მაგრამ იქვე ამატებს, რომ "სასხვათაშორისოდ" ავსტრალიის ნაკრებზეც ისაუბრეს...

კლინსმანს კომენტარი არ გაუკეთებია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სამწვრთნელო საქმიანობის განახლებას აპირებს. კლინსის მხოლოდ სანაკრებო ფეხბურთი აინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წამოვიღეთ!



საქართველოს ჰიმნი თამაშის წინ

*პირველი გვერდიდან*

მე-4 წუთზე ანგარიში **კვირიკაშვილმა** გახსნა. რუმინელებმა საკუთარი მოედნის 10-მეტრიან ხაზთან დერეფანი უხეიროდ გაითამაშეს - ბურთი რუმინელებისკენ გადაგორდა, მაგრამ ქართველების ნადავლი გახდა. ბორჯღალოსნებმა მყისვე მოლი შეკრეს და მძლავრად მიაწვნენ. მასპინძლები თითქოს არ ელოდნენ ჩვენების ასეთ მოძალებას და მოლის შეჩერების მცდელობისას დაჯარიმდნენ. თითქმის კარის პირდაპირ, 20 მეტრიდან კვირიკაშვილმა ზუსტად დაარტყა 3:0.

მე-20 წუთამდე ანგარიში არ შეცვლილა. ამ მონაკვეთში თითქმის თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა. მასპინძლებმა ტაიმის ბოლომდე ვერც ერთი სალელოვე შეტევის ორგანიზება ვერ შეძლეს. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მათი პირველხაზელები ხშირად ჩნდებოდნენ უკანა ხაზში და კაი გარემარბებივით მიიწევდნენ წინ. ძნელი სათქმელია, ეს რუმინელთა მწვრთნელების ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო თუ რა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ასეთმა თამაშმა "მუხის ფოთლებს" სახეირო ვერაფერი მოუტანა - **პეტრუ ბალანი** და **მარიუშ ტინკუ** რამდენჯერმე ახლოს იყვნენ ხაზის გაჭრასთან, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერს გახდნენ.

ამასობაში, ბორჯღალოსნებმა უკანახაზელთა კომბინაციის გათამაშება სცადეს. ლამაზად კი გამოუვიდათ, მაგრამ განვითარება ველარ შეძლეს. პირველ ტაიმში დასამახსოვრებელი **რეზო გიგაურის** სოლო გარღვევა იყო: რეზომ მოკლედ გადაიკიდა ბურთი, მიჰყვა, აილო, მაგრამ იქვე შებოჭეს, თანაგუნდელებმა კი მიხმარება დააგვიანეს. კვირიკაშვილი ბრწყინვალედ თამაშობდა ფეხით. ბურთი კიდეზეც კარგად გადაჰქონდა და აზრაგანებსაც კარგად ჰკიდებდა მეტოქის 22-ის სიახლოვეს, არც კარში დარტყმული აუცილებია. მე-20 წუთზე მან კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, ოღონდ ახლა მახვილი კუთხიდან - 6:0.

რუმინელებმა სხვაობის შემცირება მხოლოდ რვა წუთში შეძლეს. ბორჯღალოსნები საკუთარ 22-თან ახლოს, რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ და რუმინელთა ფულბეკმა **ფლორინ ვლაიკუმ** შანსი არ გაუშვა - 3:6.

ერთ წუთში საქართველოს ნაკრები პირველ ლელოს ზეიმობდა. ცენტრიდან ბურთი თამაშში კვირიკაშვილმა შეიტანა, ზედ კარის წინ **ვლაიკუს** იგი ხელიდან გაუვარდა და ხუთმეტრიანი შერკინებაც დაინიშნა ქართველების სასარგებლოდ. შერკინებიდან მოლი ავაგორეთ, **აქვსენტი გიორგაძე** კი დროულად მოსწყდა შეჯგუფებას და ლელოში გადახტა. კარის წინიდან კვირიკაშვილმა გარდასახა - 13:3.

10 ქულა რუმინელებთან საკმაოდ სერიოზული უპირატესობაა, თუმცა ეს სხვაობა იმავე წუთს ვლაიკუმ შვიდამდე შეამცირა. რუმინელების მიერ ცენტრიდან დარტყმული ბურთი **ბესო უდესიანმა** თანაგუნდელების ზურგს უკან დაიჭირა და თვითონვე სცადა ამოტანა, მაგრამ არბიტრმა ბლოკირება დააფიქსირა და რუმინელების სასარგებლოდ საჯარიმო დანიშნა. ვლაიკუმ კვლავ ზუსტად დაარტყა - 6:13.

ტაიმის დარჩენილი ათი წუთი ქართველი მორაგბეების შეტევებში მიილია. ჯერ **ლევან დათუნაშვილმა** და კვირიკაშვილმა შეუტიეს მოკლე ფრთაზე, ბოლოს კი **პალიკო ჯიმშელაძემ** და ტრავმირებული **ირაკლი მაჩხანელის** ნაცვლად თამაში ჩართულმა **გიორგი ელიზბარაშვილმა** თითოჯერ არეკნით დარტყმა სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. ანგარიში პირველ ნახევარში ალარ შეცვლილა - 13:6 ბორჯღალოსნების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი რუმინელებმა ცოცხლად დაიწყეს და უკვე ორ წუთში **იონუც ტოფანმა** 30 მეტრიდან არეკნით ოთხამდე შეამცირა სხვაობა - 9:13. ხუთ წუთში, მერაბ კვირიკაშვილმა მოედნის ცენტრიდან მეტოქის 22-თან ფეხით გადაკიდა ბურთი. ჩვენმა მორაგბეებმა ჩახურვაზე დროულად ითამაშეს, ბურთი მოიგეს, მაგრამ წარმოქმნილ რაკში დაჯარიმდნენ... თუმცა, იქვე ჩხუბი ატყდა. გვერდითი არბიტრის მითითებით, ჩხუბის წამომწყებად რუმინელთა კაპიტანი **სორინ სოკოლი** დასახელდა და საჯარიმო ჩვენ გადმოგვეცა. კარში დარტყმაც შეიძლებოდა, თუმცა ჩვენებმა ბურთის კიდეზე გადატანა გადაწყვიტეს და არც შემცდარან.

47-ე წუთი იყო. ლელოდან 10 მეტრში, დერეფანში ბურთი სუფთად მოვიგეთ და მოლით მივაწექით. რუმინელები გაგვიძალიანდნენ, თამაში რაკში გადავიდა. აქ კი მასპინძლებმა თამაშგარედან ითამაშეს და არბიტრმა ისევ საჯარიმო დანიშნა. ბურთი ისევ აუტში გადავიტანეთ, ოღონდ, ამჯერად, დერეფანში ბურთი 5 მეტრიდან ავაგდეთ. ისევ მოლი შეიკრა, დატრიალდა და ყველასთვის მოულოდნელად მოლს ლევან დათუნაშვილი და ბესო უდესიანი მოწყდნენ და უდესიანი ლელოში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეფრინდა. მოედნის კიდიდან, რთული მდგომარეობიდან, კვირიკაშვილმა გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 20:9.

მეტოქე აქტიურად ათამაშდა და მალევე საპასუხო ლელო მივიღეთ. რუმინელთა მორკინალებმა ჩვენს 22-ში შემოაღწიეს და რაკში თამაშისას არბიტრმა დაგვაჯარიმა. ლელოდან 5 მეტრში მასპინძლებმა საჯარიმო სწრაფად გაითამაშეს და ბურთი მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე, მეორეხაზელ **ქრისტიან პეტრეს** გადააწოდეს. ბორჯღალოსნებმა დაცვის ხაზის დალაგება ვერ მოასწრეს და პეტრეს წინ მხოლოდ ელიზბარაშვილი აღმოჩნდა. ვლაიკუმ გარდასახვა ვერ გაიტანა - 14:20.

მე-60 წუთისთვის რუმინელები უკვე აშკარა უპირატესობას ფლობდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში მასპინძლებმა გრძელ ფრთაზე ჩაათამაშეს, გარემარბმა **კატალინ ფერკუმ** ბურთი კიდესთან ახლოს მიიღო და სიჩქარის აკრეფაც მოასწრო - ლელო თითქმის გარდაუვალი იყო, მაგრამ ფერკუს თავგანწირული ნახტომით **გიორგი შკინინი** მისწვდა და ბურთი აუტში მოიგერია!

რუმინელებმა მალე ერთი საჯარიმო კარში დაარტყეს და სხვაობა სამი ქულა დარჩა - 17:20. ბარე ოცი წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ ქართველებმა თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა მოახერხეს. რუმინელები ერთთავად ჩვენი შეტევების მოგერიებასა და ჩხუბში იყვნენ ჩართულნი. ერთ-ერთ ეპიზოდში, 67-ე წუთზე, მორიგი გაზევ-გამოწევის შემდეგ, **ილია მაისურაძე** მსაჯმა 10 წუთით გააძევა, ხოლო გარემარბი **გიორგი ელიზბარაშვილი** სასწრაფო დახმარების მანქანამ გაიყვანა. გარემარბად 9 ნომერს, **ბიძინა სამხარაძეს** მოუწია დადგომა.

ვითარება თითქმის კრიტიკული იყო, მაგრამ ბორჯღალოსნებმა შეძლეს და მატჩის ბოლო მონაკვეთიც თითქმის მთლიანად მეტოქის ნახევარზე გაატარეს. რუმინელებს ერთხელ მიეცათ შანსი, მაგრამ ჩვენს 22-მეტრიან ხაზთან ფერკუმ გრძელი პასი ვერ დაიჭირა და ბურთი კადეზე გადაუვარდა. დერეფანში აქვსენტიმ და ზედგინიძემ მოხდენილად გაათამაშეს ბურთი და წინ წაიწიეს. თამაშმა მოედნის ცენტრთან გადაინაცვლა, ის კი რუმინელებს ბურთი წინ გაუვარდათ და თამაშიც დასრულდა!

**მალხაზ ჭეიშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

- თამაშის შედეგით, ისევე როგორც ხარისხით, ცხადია, კმაყოფილები ვართ. ვფიქრობ, ჩვენმა გუნდმა მაღალი დონის თამაში აჩვენა. გადაწყვიტეთ, ამ შეხვედრაში დაცვაში თამაშის ზელანდიური მეთოდი გამოგვეყენებინა. მთავარი იყო შებოჭვის შემდეგ ისევ სწრაფად ფეხზე წამოდგომა. ამასთან, ჩვენი წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა სწრაფმა და დროულად ჩახურვამ. მეორე ტაიმში იყო მონაკვეთი, როცა თითქოს რუმინელების უპირატესობა გამოიკვეთა, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, ეს დროებითი მოვლენა იყო. მეტოქის სუსტი თამაში და ჩვენი კარგი გარჯის შედეგი იყო. ტრავმების გამო ორი იძულებითი შეცვლა გავაკეთეთ. საბედნიეროდ, გიორგი ელიზბარაშვილისა და ირაკლი მაჩხანელი, ტრავმები სერიოზული არ გამოდგა. ისინი ჯანმრთელად არიან და თავს კარგად გრძნობენ.

### ანთიმოზ ივერიელის თასისთვის

| საქართველო-რუმინეთი | |
|---|---|
| 2002, 06.04. თბილისი | რუმინეთი 31:23 |
| 2003, 30.03. თბილისი | რუმინეთი 19:6 |
| 2004, 27.03. იაში | რუმინეთი 25:18 |
| 2005, 12.03. თბილისი | საქართველო 20:13 |
| 2006, 25.02 ბუქარესტი | რუმინეთი 35:10 |
| 2007, 03.02 ბუქარ. | საქართველო 20:17 |

**ერთა თასი 2007-08**

3 თებერვალი, ლისაბონი

**პორტუგალია-ესპანეთი 21:18**

პორ - 2ლ: დ. მატეუში (12), ვ·უვა (8); გ, 3ს: კ.პინტუ (10)

ესპ - 2ლ: სიდრი (2); გ, 2ს: როკე (9)

ანგარიში: 0:3 (1), 10:3 (26), 10:10 (37); 13:13 (42), 18:13 (53), 18:18 (71), 21:18 (76)

**10 თებერვალი**

**ესპანეთი-რუსეთი**

**10 მარტი**

**რუმინეთი-ესპანეთი**

**17 მარტი**

**ესპანეთი-საქართველო**

**ჩეხეთი-რუმინეთი**

**24 მარტი**

**საქართველო-რუსეთი**



ქართველების მოლი რუმინელთა ლელოსთან



რუმინელი პირველხაზელების შეტევა



ირაკლი გიორგაძე ლუჩან სირბუს წინააღმდეგ

## მარცხი ტულონში

**პროფესიული კრივი.** საფრანგეთის ქალაქ ტულონში ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ **ნუგზარ მარგველაშვილმა** სატიტულო ბრძოლა გამართა. მარგველაშვილი IBF -ის ინტერკონტინენტული სარტყლისთვის იბრძოდა, მისი მეტოქე **სტეფან ბენიტო** იყო. 12-რაუნდიანი ბრძოლა მერვე რაუნდში ფრანგის ვადამდელი გამარჯვებით დასრულდა, სარტყელიც ბენიტომ შემოირტყა. აღსანიშნავია, რომ ქართველი პროფესიონალი მოკრივე პირველად ასპარეზობდა სამშობლოს გარეთ, მან კარიერაში პირველი მარცხი იგემა. მარგველაშვილს პროფესიონალებში 13 ბრძოლა აქვს გამართული, აქედან 12 (4 ნოკაუტით) მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი

ექვსი ერი. პირველი ტური

# ვილკინსონის 27



ჯონი ვილკინსონი

ინგლისს, როგორც იქნა, დაუბრუნდა მთავარი ვარკვლავი **ჯონი ვილკინსონი**, რომელმაც ლომის წილი დაიდო პირველ ტურში შოტლანდიის დამარცხებაში. ინგლისის ნაკრებმა 42:20 მოიგო, თავად ვილკინსონმა, რომელიც ნაკრებს სამწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, 27 ქულა მიითვალა, რაც ამ ორ გუნდს შორის საცილო "კალკუტის თასის" ახალი რეკორდია. ახალმა მწვრთნელმა **ბრაიან ეშტონმა** "ვარდებს" 2003 წლის მსოფლიოს თასის მომგები რამდენიმე მორაგბე დაუბრუნა, რაც ინგლისელთა თამაშს უმალ დაეწყო - შერკინება მოლეებით შესანიშნავად თამაშობდა, ბეკები მარდად ირჯებოდნენ და, რა თქმა უნდა, ვილკინსონი უზადოდ ურტყამდა.

ფანობა დიდი ინტერესით ელოდა რაგბილიგიდან ლიგიდან გადმოსული ვარსკვლავის **ენდი ფარელის** თამაშს, თუმცა ის ვილკინსონმა და **ჰარი ელისმა** დაჩრდილეს.

ჩემპიონმა საფრანგეთმა ახალი ტურნირი იტალიაში მოგებით დაიწყო - 39:3. პირველ თხუთმეტ წუთში ფრანგები ბევრ შეცდომას უშვებდნენ, შემდეგ კი თამაში მათი კარნახით წარიმართა. **დიმიტრი იაშვილი** სათადარიგო იყო. გუშინ მთავარმა წლევანდელმა ფავორიტმა ირლანდიამ სტუმრად უელსი დაამარცხა - 19:9.

**ინგლისი-შოტლანდია 42:20**

ინგ: (15-9) **მორგანი, ლუსი, თინდოლი, ფარელი, რობინსონი, ვილკინსონი, ელისი; (1-8) ფრეშუოტერი, ჩატერი, ვიკერი, დიკონი, გრუკოკი, ვორსლი, ლუნდი, ქორი;** (16-22) მეირსი, ვაითი, პალმერი, რიისი; რიჩარდსი, ფლუდი, ტეიტი - *4ლ (რობინსონი 2, ვილკინსონი, ლუნდი) 2გ,5ს,ა (ვილკინსონი)*

შოტ: (15-9) **საუსველი, შ. ლემონი, დიროლო, ჰენდერსონი, პატერსონი, პარქსი, კაზიტერი; (1-8) ქერი, ჰოლი, ი. მარი, კელოკი, ჰემილტონი, ტეილორი, ბრაუნი, კალემი** (16-22) ფორდი, ჯეკობსენი, ს.მარი, ჰოგი; ლოუსონი, დუი, რ. ლემონი - *2ლ (ტეილორი, დუი), 2გ, 2ს (პატერსონი)*

**იტალია-საფრანგეთი 3:39**

იტა: (15-9) **დემარინი, დალანი, კანალე, მირკო ბერგამასკო, მაზი, სკანავაკა, გრიფენი; (1-8) პერუჯინი, ონგარო, ნიეტო, დელაპე, ბორტოლამი, სოული, მაურო ბერგამასკო, პარისე;** (16-22) ფესტუჩა, ლოჩიჩერო, კასტროჯოვანი, მანდელი; ტრონკონი, პესი, რობერტსონი - *ს (პესი)*

საფ: (15-9) **პუატრენო, დომინისი, ფრიცი, ჟოზიონი, ემონსი, სკრელა, მინიონი; (1-8) მილუ, იბანესი, დევილიე, თიონი, ნალე, ბეტსენი, ბონერი, შაბალი;** (16-22) შარუესკი, მარკონე, პაპე, არინორდოკი; იაშვილი, ბოსი, კლერი - *5ლ (დომინისი, ემონსი, შაბალი 2, ჟოზიონი), 4გ (სკრელა), 2ს (სკრელა, ბოსი)*

**უელსი-ირლანდია 9:19**

უელ: (15-9) **მორგანი, ლასკომი, რობინსონი, ჰუკი, ჩეკაი, ს. ჯოუნზი, პილი; (1-8) ჯენკინსი, რ. თომასი, ჰორსმენი, გაფი, ვაინ-ჯოუნზი, პოპემი, მ. ვილიამსი, რ. ჯოუნზი** (16-22) რიისი, დ.ჯოუნზი, სიდოლი, გ.თომასი; ფილიპსი, სვინი, ბრიუ - *3ს (ს.ჯოუნზი)*

ირლ: (15-9) **დემპსი, თრიმბლი, ბ. ოდრისკოლი, დარსი, ჰიკი, ოგარა, სტრინგერი; (1-8) ჰორანი, რ.ბესტი, ჰეიესი, ოკალაჰანი, ოკონელი, ისტერბი, დ. ვოლისი, ლიმი;** (16-22) ფლენერი, ს.ბესტი, ნ. ბესტი, მ.ოდრისკოლი; ბოსი, პ. ვოლისი, მერფი - *3ლ (რ.ბესტი, ბ.ოდრისკოლი, ოგარა); 2გ (ოგარა)*

ზე-14. პირველი ტური

# ჩემპიონი ოკლენდში დამარცხდა

სამხრეთ ნახევარსფეროში დაიწყო ზე 14-ის მორიგი ჩემპიონატი. შეჯიბრი, სადაც სამი დიდი სარაგბო ქვეყნის კლუბები ერთმანეთს მეთორმეტე სეზონია ერკინებიან. წლევანდელ ტურნირს დაღი დაასვა "ოლ ბლექსის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც პირველ შვიდ ტურში ახალი ზელანდიის ნაკრების წევრებს ტურნირში თამაში ეკრძალებათ.

პირველივე ტურში დამარცხდა მოქმედი და ექვსგზის ჩემპიონი "კრუსეიდერზი". ოკლენდის "იდენ პარკზე" "ბლუზმა" 34:25 გაიმარჯვა, შედეგად კი "კრუსეიდერზი" ბოლო ორი წლის განმავლობაში პირველად დამარცხდა სხვა ზელანდიურ გუნდთან.

"ბლუზმა" მეტოქეს უკეთესი ტაქტიკით აჯობა. ჩემპიონი კი, მოულოდნელად, სუსტად გამოიყურებოდა დაცვაში და ხელდახელ თამაშში. ზე 14-ის მატჩებში პირველად მსაჯებმა გამოიყენეს შერკინების შეკვრის ოთხფაზიანი წესი, რაც პირველხაზელთა უსაფრთხოებისთვის შემოიღეს. "კრუსეიდერზი" მეტოქეს მხოლოდ პირველი ტაიმის დასაწყისში და ბოლოს სჯობდა, სხვა დროს უპირატესობა "ბლუზს" ჰქონდა. კარგად გაისარჯა "ბულზის" ბეკი **ენტონი ტუიტავაკე**, რომელმაც ორი ლელოს შემოქმედი გახლავთ.

შესანიშნავი სტარტი გამოუვიდა ავსტრალიურ "ბრამბიზს". კანბერელებმა ზელანდიაში "ჩიფსი" დაამარცხეს - 21:15. "ბელადებმა" საშინლად დაიწყეს მატჩი, 15 წუთში ისინი ექვსჯერ დაჯარიმდნენ, 10 ქულა მიიღეს და მათი კაპიტანიც გაასინბინეს. სტუმართა კაპიტანმა **სტირლინგ მორტლოკმა** უკვე მეხუთე წუთზე დაალელოვა მეტოქე და თავადვე გარდასახა. ძალიან კარგად ითამაშა "ბრამბიზის" მეორეხაზელმა მარკ ჩიზჰოლმმა.

სტუმრად იმარჯვა სიდნეის "ვორათაზმა", ტურნირის ერთ-ერთმა ფავორიტმა იოჰანესბურგში "ლაიონზი" 25:16 დაამარცხა. "ლომებმა" მატჩის წინ ტრავმის გამო კაპიტანი **ანდრე პრეტორიუსი** დაკარგეს, თუმცა მისმა შემცვლელმა, ცაცია კიკერმა **ლუის სტრაიდომმაც** ყოჩაღად ითამაშა. სტუმართა შორის ძალიან კარგად ითამაშეს პიტერ **ჰიუეტმა** და **როკი ელსომმა**. პირველ ტურში ოთხი ლელოს გატანა ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა, ასე რომ ამ წესით პრემიალური ქულა ვერავინ მიითვალა. ღირსეულად წაგებისთვის (8 ქულაზე ნაკლები) ქულა ვაიკატოს "ჩიფსსა" და პერთის "ვესტერნ ფორსს" ერგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**I ტური**

**ბლუზი-კრუსეიდერზი 34:25**

ბლუზი: 3ლ (ჰაულიტი, ტოიავა, ვულფი), 2გ (ნათევა), 5ს (ნათევა) კრუსეიდერზი (ზელ): 3ლ (ფლინი, გიარი, ტუიალიკი), 2გ (ბრეტი), 2ს (ვორდი)

**ვესტერნ ფორსი-ჰაილენდერზი 7:8**

ფორსი (ავს): ლ (ჰილგენდორფი), გ (შეპარდი) ჰაილენდერზი (ზელ): ლ (ბლეიკი), ს (ბროუსი)

**ლაიონზი-ვორათაზი 16:25**

ლაიონზი (აფრ): ლ. (ლუდიკი), გ, 3ს (სტრაიდომი) ვორათაზი (ავს): 3ლ (ელსომი, ფრეიერი, ჰალანგაუ), 2გ, 2ს (ჰიუეტი)

**ჩიფსი-ბრამბიზი 15:21**

ჩიფსი (ზელ): 3ლ (ანესი 2, მასაგა) ბრამბიზი (ავს): 2ლ (მორტლოკი, რესბოუნი), გ (მორტლოკი), 3ს (ჰაქსლი 2, მორტლოკი)

**შარქსი-ბულზი 17:3**

შარქსი (აფრ): ლ. (პიტერსენ.), 2გ,ს (მონტგომერი) ბულზი (აფრ): ს (შტაინი)

**ჩიტაზი-სტორმერზი 27:9**

ჩიტაზი (აფრ): 3ლ (ფლურსი, შტრაუსი, ფანდერლინდე), 4ს (დარსი) სტორმერზი (აფრ): 3ს (ოლიფიე)

**რედსი-ჰარიკეინზი 25:16**

რედსი (ავს): ლ (ჩეპმენი), გ, 5ს (შიფკოვსკი), ა (ბარნსი)

ჰარიკეინზი (ზელ): ლ. (ჯეინი), გ, 3ს (გოპერსი)

## კალათბურთი



ნუგზარ სუარიძის ფოტო

რუსთაველი უგრეხელიძისა და უნივერსიტეტელი სანიკიძის ორთაბრძოლა

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა

# აზოტის მეთერთმეტე და მაკაბის მეორე

**2 თებერვალი. ვერის პარკი**

**მაკაბი-სტუ 86:84**

20:17, 24:21, 18:16, 24:30

მაკაბი: დოლიძე (7 ქ, 5 მ, 3 პ, 5 ფ), ნინუა (2 ქ), ენუქიძე (4 ქ, 3 პ), გ. შერმადინი (42 ქ, 22 მ, 3 დ, 9 შ), კორკოტაძე (17 ქ, 5 ფ), ს. შერმადინი (14 ქ, 9 მ, 3 პ, 3 ჩ, 5 ფ), პირველაშვილი (3 ჩ, 5 პ, 8 შ)

სტუ: ბაბუნაშვილი (2 ქ), ეძგვერაძე (3 ქ), ბერაია (25 ქ, 10 მ, 4 ჩ, 4 პ, 5 შ), კოხრეიძე (13 ქ, 5 მ, 4 ჩ, 3 პ), ძიძიგური (3 ქ, 5 პ), მაისურაძე (10 ქ, 10 მ, 3 პ), ბერიძე (4 ქ), ახალკაცი (4 ქ, 3 ჩ, 5 ფ), ბარბაქაძე (20 ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, მ. ანდღულაძე

**დინამო-ავიამშენი 94:107**

17:30, 25:27, 24:28, 28:22

დინამო: გულისაბედაშვილი (23 ქ, 5 მ, 3 პ), ბადრიძე (19 ქ, 7 მ, 4 პ), ტაბატაძე (3 ქ), ლაფანაშვილი (6 ქ), წერეთელი (2 ქ), ბოლქვაძე (8 ქ, 6 მ), მურჯიკნელი (6 ქ), ფაიქრიძე (3 ქ), გაბაშვილი (2 ქ), ნოზაძე (22 ქ, 6 პ, 4 ჩ)

ავიამშენი: ბაბიაშვილი (29 ქ, 11 მ), მოსეშვილი (9 ქ), ნიკოლაძე (18 ქ, 8 პ), ი. ბერიშვილი (21 ქ, 5 მ, 12 პ, 5 შ), ნინიაშვილი (21 ქ, 9 მ), როდუმტა (9 ქ, 8 მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

**თსუ-აზოტი 93:108**

23:21, 22:31, 24:29, 24:27

თსუ: არნივიძე (5 ქ), ბ. ბერიშვილი (14 ქ, 3 პ), ფანჩულიძე (7 ქ), ლეჟავა (11 ქ, 4 პ), მარხვაშვილი, ვეფხვაძე (6 ქ, 5 პ, 5 ფ), შანიძე (6 ქ), მათიაშვილი (20 ქ, 2 დ), სანიკიძე (3 ქ), მ. ბერიშვილი (21 ქ, 6 მ, 3 ჩ)

აზოტი: გამყრელიძე (21 ქ, 5 მ, 10 პ, 3 ჩ, 7 შ), ბეჟანიშვილი (19 ქ), დიდია (2 ქ), ტულუში (22 ქ, 5 პ), მარკოიშვილი (16 ქ), უგრეხელიძე (19 ქ, 9 მ), გოგობერიშვილი (5 ქ), ტუჯანი (4 ქ, 5 ფ), ჭოჭუა, ბერძენიშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, დ. არეშიძე

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| აზოტი | 11 | 11 | 0 | 22 |
| ავიამშენი | 11 | 9 | 2 | 20 |
| თსუ | 11 | 8 | 3 | 19 |
| დინამო | 11 | 6 | 5 | 17 |
| სტუ | 11 | 3 | 8 | 14 |
| მაკაბი | 11 | 2 | 9 | 13 |

მომდევნო ტური. 9 თებერვალი: აზოტი-დინამო; 10 თებერვალი: თბილავიამშენი-მაკაბი, თსუ-სტუ

**საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, ანუ სუპერლიგა ყოველგვარი სენსაციების გარეშე განახლდა. მესამე წრის პირველ ტურში სამივე ფავორიტმა იმარჯვა.**

ტურის ცენტრალური მატჩი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსთავის "აზოტს" შორის შედგა. მესამე წრემდე, ქვემოქართლელებმა ორჯერ სუპერლიგაზე დაამარცხეს უნივერსიტეტელები და ბოლო ორ კვირაში კიდევ ორჯერ - ჯერ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე და მერე საქართველოს თასზე. ასე რომ, შაბათს უნივერსიტეტის გუნდს საკმარისზე მეტი მოტივაცია ჰქონდა.

უამბიციობას არც რუსთაველები უჩიოდნენ. ჯერ ერთი, რომ სუპერლიგაში ზედიზედ ათმატჩიანი მოგებათა სერიის შეწყვეტა არ სურდათ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაცია სჭირდებოდათ. მთელი სეზონის განმავლობაში წაუგებელი "აზოტი" ერთი კვირის წინათ, საქართველოს თასის ფინალში დამარცხდა "ავიამშენთან", რაც დავით უსტიაშვილის გუნდისთვის ერთგვარი ცივი შხაპი აღმოჩნდა.

საწყისი წუთები "აზოტის" მცირე უპირატესობით წარიმართა, მათ 2-3-ქულიანი სხვაობით მიჰყავდა ანგარიში. თავიდან სტუდენტები შეეცადნენ, ტემპში აჰყოლოდნენ მეტოქეს, მაგრამ რაკილა შეამჩნიეს, რომ რუსთაველებს სისწრაფეში ვერ ჩაგრავდნენ, შედარებით დააგდეს სიჩქარე და წინ გასვლაც მოახერხეს. პირველი პერიოდის დასრულებამდე 1 წუთით ადრე **ვეფხვაძის** ორქულიანით თსუ 21:17 დაწინაურდა. თუმცა, დარჩენილ დროში, **უგრეხელიძის** ზუსტი ტყორცნების წყალობით, "აზოტმა" მხოლოდ მინიმალური სხვაობით წააგო მეოთხედი. მეორე პერიოდი **ბესიკ ლეჟავას** სამქულიანმა გახსნა და თსუ მატჩში ყველაზე დიდი სხვაობით დაწინაურდა - 26:21. იქვე **ბეჟანიშვილმაც** გაისროლა პერიმეტრს გალმიდან, მერე **გიორგი მარკოიშვილიც** ამოქმედდა და სტუდენტები აქეთ აღმოჩნდნენ მდევრის როლში.

ქეიშვილმა თამაშში ჩართო **რიჩარდ მათიაშვილი**, რომელსაც ურიგოდ არ უთამაშია და **მიშა ბერიშვილის** შემდეგ, ყველაზე შედეგიანიც იყო თავის გუნდში. თუმცა, უნივერსიტეტელებმა ფარზე გაბატონება მაინც ვერ შეძლეს - შესაბამისად, უფრო შორეული ტყორცნებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. დიდი ხეირი ვერც აქედან ნახეს და დიდი შესვენების შემდეგ, შვიდი ქულით ჩამორჩნენ - 45:52.

უნივერსიტეტს მთელი ორი პერიოდი ჰქონდა მატჩის გადასარჩენად, მაგრამ "აზოტმა" საქმე აქამდე არ მიიყვანა და, ფაქტობრივად, მესამე ათწუთეულში გადაწყვიტა თამაშის ბედი. მეოთხედის ბოლო წამზე, **კოტე ტულუშის** სამქულიანის შემდეგ, ტაბლოზე 81:69 აენთო რუსთაველთა სასარგებლოდ. თუმცა, "აზოტი" ამაზე არ შეჩერებულა და ბოლო მეოთხედის დაწყებიდან 3 წუთი იყო გასული, როცა 16 ქულით გაიჭრა წინ. მატჩიც, ფაქტობრივად, აქ დასრულდა.

კიდევ ერთი, რაც შეიძლება ამ შეხვედრაზე ვთქვათ, მატჩის დაძაბული ატმოსფერო იყო. მართალია, საქმე ჩხუბამდე არ მისულა, მაგრამ მსაჯებს ხშირად უხდებოდათ ტექნიკური ჯარიმების ჩამორიგება.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მატჩს, საინტერესო ბევრი არაფერი ყოფილა. "ავიამშენმა" **ხოშტარიას, ლოსაბერიძის, კეიდიას, სუხიშვილისა და დავით ბერიშვილის** გარეშეც იოლად დაამარცხა "დინამო", ხოლო "მაქაბიმ" დაძაბულ ბრძოლაში თავისნაირი აუტსაიდერი სტუ დაამარცხა. აქ **გიორგი შერმადინის** მორიგი მინაგარიცაა აღსანიშნავი - 42 ქულა, 22 მოხსნა და 3 დაფარება. თუმცა, შეცდომების მხრივ, სამივე მატჩში ყველაზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდა - 9 შეცდომა.

ტურის კალათბურთელი: **კოტე ტულუში.** ამ ნომინაციაში, არც იმით დაშავდებოდა რამე, კოტეს თანაგუნდელი **ლაშა გამყრელიძე** რომ გველიარებინა. თუმცა, რამდენიმე კომპონენტის გამო, მცირე უპირატესობა მაინც ტულუშს მივანიჭეთ: მან გამყრელიძეზე 8 წუთით ნაკლები ითამაშა, სტუდენტები ყველაზე მეტჯერ მასზე ჯარიმდებოდნენ, ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო და საკვანძო მომენტებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო. თანაც, გამყრელიძეს ტულუშზე ხუთით მეტი, 7 შეცდომა ჰქონდა.

ტურის მოვლენა: **"აზოტის" გამარჯვება.** რაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი არსებობს, რუსთავულ კლუბს ზედიზედ 11-ჯერ არასოდეს გაუმარჯვია. ამიტომაც, "აზოტის" მეთერთმეტე ზეობა გამოვარჩიეთ.

ტურის ფრაზა: **"აი, ახლა ჩემი ბრალი იყო? რატომ მიხურებს?".** ასე შესჩივლა **ბესიკ ლეჟავამ** უნივერსიტეტის მეორე მწვრთნელ გია ჯავახიშვილს, როდესაც ერთ-ერთ მომენტში, მისი გარჯით უკმაყოფილო ნუგზარ ქეიშვილმა სათადარიგოთა სკამზე დასვა.

**კობა ხატისაშვილი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონერები

# 17 და 19, თამაშობენ ვატო და მანუ

**ვიდრე ლეგიონერების მიმოხილვას წაიკითხავდეთ, ცხრილს გადახედეთ. ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ მხოლოდ ორი კაცია, ვინც გასულ კვირას თავი ისახელა. შესაბამისად, დღეს მხოლოდ ვახტანგ ნაცვლიშვილსა და მანუჩარ მარკოიშვილზე შევჩერდებით.**

ვატომ ევროთასზე იტალიის "ვირტუსთან" 34 წუთში 19 ქულა რომ ჩააგდო, შუა კვირაში მოგახსენეთ. მან საფრანგეთის ჩემპიონატში მეტი ნაყოფიერებით იმუშავა, 25 წუთში კინალამ ორმაგი დუბლი შეასრულა - 17 ქულა, 8 მოხსნა (12-დან 8 ორქულიანი) ნაცვლიშვილის კარგი თამაში "დიჟონის" მიერ "ლე ავრის" სტუმრად ძლევის საწინდარი გამოდგა - 90:80.

**საფრანგეთის ჩემპიონატი. 20 ტურის შემდეგ.** 1. ნანსი - 15 მოგება, 2. რუანი - 15, 3. შალონი - 14, 4. სტრასბური - 12, 5. ლიონი - 11, 6. მოლე - 11, 7. ლე მანი - 11, 8. ორლეანი - 11, **9. დიჟონი - 10,** 10. პარიზი - 10, 11. ლე ავრი - 10, 12. გრაველინი - 10, 13. ორ ორტეზი - 10, 14. კლერმონი - 8, 15. ტულონი - 6, 16. ბურგი - 6, 17. ბეზანსონი - 56, 18. რეიმსი - 3.

ნაცვლიშვილის მსგავსად, თავისი ორი მატჩი მანუჩარ **მარკოიშვილმაც** 17 და 19 ქულით დაასრულა. ევროლიგაზე "ხუვენტუდთან" მითვლილი 17 ქულის შემდეგ, მანუმ ადრიატიკის თასზე ხორვატულ "ზადარს" 19 ქულა (10-დან 8 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი) "უძლვნა" და თანაგუნდელთა წარმატებას ჩაუყარა საფუძველი - 89:79.

ამ მატჩში მარკოიშვილმა პირადი რეკორდიც დაამყარა - 5 ჩაჭრა მანამდე ერთხელაც არ ჰქონდა გაკეთებული. ქართველის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 20 შეადგინა. თუმცა ეს საუკეთესო მაჩვენებელი არ ყოფილა - **ტეემუ რანიკოს** ნაყოფიერება 39-ს გაუტოლდა. ფინელმა გამთამაშებელმა "ზადარს" 12-დან 8 სამქულიანი ჩაუგდო და მატჩი 34 ქულით დაასრულა.

**ადრიატიკის ლიგა. 20 ტურის შემდეგ. 1. ფმპ - 15 მოგება, 2. ციბონა - 15, 3. პარტიზანი - 14, 4. ჰემოფარმი - 14, 5. ბუდუჩნოსტი - 13, 6. ზადარი - 11, 7. ცრვენა ზვეზდა - 11, 8. ჰელიოსი - 10, 9. ოლიმპია - 9, 10. ბოსნა - 8, 11. ზაგრები - 7, 12. შიროკი - 7, 13. სპლიტი - 2, 14. სლოვანი - 2.**

ბოლოს თასებზე. ამ კვირას ნაცვლიშვილის, **ნიკა ცქიტიშვილისა** და მარკოიშვილის გუნდები თასის მატჩებს გამართავენ. საფრანგეთის თასების თასზე "დიჟონი" 9 თებერვალს მეოთხედფინალში "როანს" დაუპირისპირდება.

წინა დღისით სლოვენიის თასის მეოთხედფინალს "ოლიმპია" "ნოვა გორიცასთან" ითამაშებს. ასევე 8 თებერვალს, ასევე მეოთხედფინალში ნიკა ცქიტიშვილის "კახა" ესპანეთის სამეფო თასზე "ტაუს" გაეჯიბრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



მანუჩარ მარკოიშვილი

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 29.01 | ატლანტა-ორლანდო 93:83 | 23 | 3 | 2 | 1 | 3 |
| | | 31.01 | ატლანტა-გოლდენ სტეიტი 115:94 | 25 | 9 | 0 | 1 | 10 |
| | | 2.02 | ატლანტა-ტორონტო 91:103 | 32 | 3 | 1 | 1 | 11 |
| ვიქტორ სანიკიძე | ევროთასი | 30.01 | აელ-ესტუდიანტესი 63:62 | 7 | 1 | 0 | 0 | 0 |
| | ესპანეთი (ჩ.) | 3.02 | ვალიადოლ.-ესტუდიანტესი 83:78 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 3.02 | კახა-მენორკა 91:84 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვატო ნაცვლიშვილი | ევროთასი | 30.01 | დიჟონი-ვირტუსი 78:94 | 34 | 7 | 0 | 2 | 19 |
| | საფრანგეთი (ჩ) | 3.02 | ლე ავრი-დიჟონი 80:90 | 25 | 8 | 1 | 3 | 17 |
| ვლადიმერ ბოისა | ულების თასი | 30.01 | პაოკ-მონტეპასკი 62:79 | 12 | 3 | 0 | 0 | 5 |
| | იტალია (ჩ.) | 4.02 | მონტეპასკი-რეჯო ემილია 85:78 | 15 | 2 | 1 | 0 | 0 |
| ტაირონ ელისი | ევროლიგა | 31.01 | ნაპოლი-ბენეტონი 62:64 | 26 | 4 | 1 | 0 | 16 |
| | იტალია (ჩ.) | 3.02 | ნაპოლი-ტერამო 81:74 | 31 | 1 | 1 | 1 | 10 |
| მანუ მარკოიშვილი | ევროლიგა | 1.02 | ხუვენტუდი-ოლიმპია 82:86 | 37 | 2 | 3 | 2 | 17 |
| | ადრიატიკა | 3.02 | ოლიმპია-ზადარი 89:79 | 35 | 6 | 2 | 5 | 19 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 30.01 | პანევეჟისი-რიგა 74:81 | 32 | 1 | 5 | 1 | 3 |
| | ესტონეთი (ჩ.) | 2.02 | რაკვერე-რიგა 73:80 | არ უთამაშია | | | | |
| ტატო ვაშაკიძე | ბალტიის თასი | 2.02 | ნევეჟისი-კალევი 71:65 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 29.01 | ასკ-ლიეპაია 78:93 | 33 | 5 | 5 | 0 | 5 |
| ნოდარ შენგელია | ლიტვა (II ლიგა.) | 3.02 | დრუსკინინკაი-აკადემია 85:104 | 8 | 4 | 1 | 0 | 0 |

# რატომ ვერ მოხვდა ცინცაძე ოლ სტარში?

3 თებერვალს, ქალაქ კაუნასმა ბალტიის თასის ვარსკვლავთა მატჩს უმასპინძლა. შეხვედრაში ლეგიონერთა ნაკრებმა ბალტიელები 2 ქულის სხვაობით დაამარცხა - 100:98. საუკეთესო მოთამაშედ "ჟალგირისელი" **ტონკა ბერდი** დასახელდა, რომელმაც 12 ქულას და 16 მოხსნას მოუყარა თავი.

და **გიორგი ცინცაძე?** "ოლ სტარის" მონაწილე გუნდების შემადგენლობებს რომ გადავხედეთ, ეს კითხვა ჩვენც გაგვიჩნდა - ქართული გვარი არსად იყო. ლოგიკის მიხედვით, გიორგის ვარსკვლავთა შეხვედრა ძირითად ხუთეულში უნდა დაეწყო - ლეგიონერთა ნაკრების უკანახაზელი, **მარკო პოპოვიჩი** (რომელმაც ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა მიიღო) ტრავმირებული გახლდათ და მისი ადგილი 12 ათასი ხმით რიგით მესამე უკანახაზელ გიორგი ცინცაძეს უნდა დაეკავებინა და მეორეადგილოსან **კურტის მილაგესთან** ერთად უცხოელთა ნაკრების დაცვის ხაზი გაემაგრებინა. მაგრამ, რატომღაც, ჩვენიანის მიერ მოგროვილი ხმების რაოდენობის გაუთვალისწინებლად პოპოვიჩი სხვა ამერიკელით შეცვალეს. მეტიც, ცინცაძე მწვრთნელმა სათადარიგოთა შორისაც არ დაასახელა.

**რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაგვიჭირდა და ესტონეთში ცინცაძეს ამიტომაც დავურეკეთ...**

**- გიო, "ოლ სტარში" შენი არყოფნა რით იყო გამოწვეული?**

- ამ კითხვაზე პასუხი არ გამაჩნია. ვიცოდი, რომ თუ მარკო პოპოვიჩი თამაშში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ძირითად შემადგენლობაში მისი ადგილი უნდა დამეკავებინა. მაგრამ მწვრთნელებმა სხვაგვარად გადაწყვიტეს. რა პრინციპით იხელმძღვანელეს, არ ვიცი, მაგრამ მეგონა, "ოლ სტარში" სათადარიგოდ მაინც მოვხვდებოდი...

**- ვერმოხვედრის გამო, ხომ არ ნერვიულობ?**

- გული კი დამწყდა, რადგან ვარსკვლავთა მატჩთან ძალიან ახლოს ვიყავი. მაგრამ სანერვიულო არაფერია, სადღეისოდ ისიც მაკმაყოფილებს, რომ გულშემატკივრებმა ბალტიისპირეთში მოასპარეზე ლეგიონერთა სამეულში დამასახელეს. აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ყველას, ვინც გამოკითხვაში მხარი დამიჭირა, მადლობას მოვახსენებ.

**- ესტონეთის ჩემპიონატის ბოლო მატჩიც არ გითამაშია...**

- ავად ვარ, გავცივდი... ოლონდ ვიდრე სიცხეს მომცემდა, მანამდე იყო გადაწყვეტილი, რომ "ოლ სტარს" გამოვტოვებდი.

**- ახლა როგორ გრძნობ თავს?**

- დღეს დილით დაბალი სიცხე მქონდა, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობა ნელ-ნელა უმჯობესდება...

**ვაჟა სიმონიშვილი!**



გიორგი ცინცაძე

ქართველები NBA-ში

# წაგება ბოშთან



ზაზა ატლანტელ ქართველებთან

"ატლანტა ჰოქსი" შინ "ტორონტო რეპტორზთან" დამარცხდა. შარშან ეს წაგება იქნებ მოულოდნელობადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ მიმდინარე რეგულარულში ჯორჯიელები ძალიან არასტაბილურად თამაშობენ, "ტირანოზავრები" კი სტარტზე რამდენიმე უსახო შეხვედრის მერე, ისე ათამაშდნენ, რომ თავისი დივიზიონის ლიდერებიც არიან. **კრის ბოში** და მისი თანაგუნდელები უკვე საფლეიოფოდ სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ.

**ზაზა ფაჩულიას** გუნდი პირველ ნახევარში კატასტროფულმა თამაშმა დაღუპა. მასპინძლებს შეტევაში ბევრი ტყორცნა გაუცუდდათ, დაცვაში კი "ჰოქსის" თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. "რეპტორზისგან" ქულებს თითქმის ყველა იხვეჭდა, ხოლო ბოშმა კი ჩვეული აქტიურობით მასპინძელთა იმდენად დიდი ყურადღება მიიპყრო, რომ მის თანაგუნდელებს უდიდესი სათამაშო სივრცე გაეხსნათ.

ფაჩულია ჯერაც სასტარტოს მიღმაა, თუმცა ამას, სამწუხაროდ, უკვე შევეჩვიეთ, წინა თვეებთან შედარებით ლიმიტირებულ დროში კი საქართველოს ნაკრების ვარსკვლავი მაინც საკმაოდ პროდუქტიულად თამაშობს.

ზაზამ უშეცდომოდ შეასრულა საჯარიმოები, თამაშიდან კი 8 მცდელობიდან ოთხჯერ ივარგა. ქართველმა ცენტრმა ვერც ამჯერად დაარღვია ბოლო მატჩებში დამკვიდრებული ტრადიცია და კვლავ ბლომად პერსონალურები აკრიფა, თუმცა ეს ალბათ ერთადერთ რამეს უნდა დავაბრალოთ – ფაჩულია ზედმეტად აქტიურად ცდილობს დაარწმუნოს **მაიკ ვუდსონი**, რომ იგი ძირითადში დაბრუნებას იმსახურებს და ფოლების მთელი ნაკადიც ამისი შედეგია.

კრის ბოში კი დომინირებდა. კრისმა ფაჩულიასაც, **ლორენცენ რაიტსაცა** და პრაქტიკულად, თავის ყველა მეურვეს დიდი პრობლემები შეუქმნა. ბოშის მორიგი ორმაგი დუბლი 14-დან 12-მა ზუსტმა საჯარიმო სროლამაც შეალამაზა, ხოლო დაცვაში კი კრისმა მთლიანად გადაკეტა სამწამიანი და მასპინძლებიც ძირითადად პერიმეტრიდან ცდილობდნენ ქულების დაგროვებას.

"ტორონტომ" ბოლო 6 მატჩში მე-5 გამარჯვება მოიპოვა და 2001-02 წლების რეგულარულის მერე, გუნდი სეზონის მეორე ნახევარში პირველად გადასცდა მოგება-წაგების მაჩვენებელში 50-პროცენტიან ზღვარს. რაც შეეხება ბოშს, ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში იგი თავისი გუნდის საუკეთესო მექულე-მომხსნელი იყო. *"წინ უამრავი მატჩი გვაქვს გასამართი. "ატლანტა" აუტსაიდერებში კი არის, მაგრამ ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში ყველას უჭირს. დღევანდელი მოგებით ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ, რადგან წინ ბევრად ძლიერ ოპონენტებთან მატჩები გველის".* - თქვა მატჩის შემდეგ ბოშმა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ატლანტა-ტორონტო 91:103**

21:31, 25:32, 26:21, 19:19

ატლანტა: ჯო ჯონსონი (34 წთ. 28 ქ. 2 მ. 2 პ), ჯოშ სმიტი (34 წთ. 26 ქ. 12 მ. 4 პ. 1 დ), მერვინ უილიამსი (42 წთ. 11 ქ. 5 მ. 1 პ. 1 ჩ), ლიუ (17 წთ. 2 ქ. 1 პ), ლ. რაიტი (15 წთ. უქულოდ, 2 მ. 1 ჩ) – **ზაზა ფაჩულია (32 წუთი, 11 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 5 ფოლი),** ჩილდრესი (40 წთ. 11 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 1 დ), კლექსტონი (15 წთ. 2 ქ. 2 მ. 2 პ), შელდენ უილიამსი (8 წთ. უქულოდ, 1 მ), ჯ. რიჩარდსონი.

ტორონტო: ბოში (37 წთ. 24 ქ. 10 მ. 5 პ), კალდერონი (30 წთ. 14 ქ. 5 პ. 2 მ. 1 ჩ), ნესტეროვიჩი (35 წთ. 12 ქ. 5 მ. 2 პ. 1 ჩ), ე. პარკერი (34 წთ. 12 ქ. 2 მ. 1 პ. 1 ჩ), გარბახოსა (18 წთ. 3 ქ. 6 მ. 2 პ) – პიტერსონი (28 წთ. 21 ქ. 6 მ), ბარნიანი (22 წთ. 11 ქ. 1 მ. 1 ჩ. 1 დ), ტი. ჯეი. ფორდი (17 წთ. 4 ქ. 10 პ. 1 ჩ), ჯ. გრემი (15 წთ. 2 ქ. 4 მ. 1 პ. 1 ჩ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 06:20 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 05:39 | დაფარება: 1 (ბოშს დაუფარა) |
| 04:25 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 03:38 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (16:23) |
| 03:38 | ფაჩულიაზე ბარნიანი დაჯარიმდა |
| 03:38 | საჯარიმო ტყორცნა: 3 ქ (17:23) |
| 00:32 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 09:24 | ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (29:37) |
| 09:24 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 08:02 | შეცდომა: 1 (ფორდმა ჩაუჭრა) |
| 07:48 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |
| 02:19 | ფაჩულიამ ლიუ შეცვალა |
| 01:44 | ფოლი: 1 (ბოშზე დაჯარიმდა) |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |
| 07:36 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 06:25 | ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (60:73) |
| 06:25 | ფაჩულიაზე ჯ. გრემი დაჯარიმდა |
| 06:25 | საჯარიმო: 8 ქ (61:73) |
| 02:28 | პასი: 1 (ჯო ჯონსონი, 3 ქ. 70:78) |
| 01:37 | ფოლი: 2 (ბოშზე დაჯარიმდა) |
| 00:35 | ფოლი: 3 (ბარნიანიზე დაჯარიმდა) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:45 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 11:44 | მოხსნა: 2 (შეტ: 2, დაც: 0) |
| 11:44 | ორქულიანი ტყორცნა: 10 ქ (74:84) |
| 11:44 | ფაჩულიაზე ნესტეროვიჩი დაჯარიმდა |
| 11:44 | საჯარიმო: 11 ქ (75:84) |
| 04:30 | ფოლი: 4 |
| 03:04 | ჩაჭრა: 1 (კალდერონს ჩაუჭრა) |
| 02:11 | მოხსნა: 3 (შეტ: 3, დაც: 0) |
| 00:35 | ფოლი: 5 (ბოშზე დაჯარიმდა) |

**[illegible]**

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 99:101 ოტ**

ზაზა ფაჩულია: 27 წ., 10 ქ., 6 მ., 6 ფ.

# კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 3 თებერვალი

**ატლანტა-ტორონტო 91:103**

21:31, 25:32, 26:21, 19:19

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (28 ქ), ჯოშ სმიტი (26 ქ. 12 მ. 4 პ), პიტერსონი (21 ქ. 6 მ), მერვინ უილიამსი (11 ქ. 5 მ), **ზაზა ფაჩულია (11 ქ. 3 მ. 1 პასი, 1 ჩ. 1 დ),** ჩილდრესი (11 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 1 დ).

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 10 მ. 5 პ), კალდერონი (14 ქ. 5 პ), ნესტეროვიჩი (12 ქ. 5 მ. 2 პ. 1 ჩ), ე. პარკერი (12 ქ), ბარნიანი (11 ქ. 1 მ. 1 ჩ. 1 დ), ტი. ჯეი. ფორდი (4 ქ. 10 პ).

**სიეტლი-ჩიკაგო 101:107**

32:30, 24:25, 17:24, 28:28

**სიეტლი:** რ. ალენი (29 ქ. 4 ჩ), კოლისონი (20 ქ. 12 მ. 2 დ), უილკინსი (18 ქ. 2 ჩ), რიდნური (12 ქ. 3 პ), უილკოქსი (10 ქ), უოტსონი (5 ქ. 12 პ).

**ჩიკაგო:** დენგი (27 ქ. 12 მ), ჰაინრიხი (20 ქ. 9 მ. 3 ჩ), დიუჰონი (16 ქ), ნოჩიონი (14 ქ. 8 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (14 ქ. 7 მ. 3 დ), გორდონი (12 ქ. 6 პ. 5 მ).

**ინდიანა-ლეიკერსი 95:84**

26:18, 18:23, 19:29, 32:14

**ინდიანა:** ჯ. ონილი (22 ქ. 9 მ. 4 დ. 3 პ), ტინსლი (16 ქ. 6 პ), დ. გრეინჯერი (14 ქ. 4 ჩ), დ. არმსტრონგი (14 ქ), მ. დანლივი-უმცროსი (10 ქ. 5 მ), ფოსტერი (9 ქ. 12 მ. 3 დ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (22 ქ. 5 მ. 5 ჩ. 4 პ), ს. პარკერი (20 ქ. 6 ჩ), რადმანოვიჩი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ), ოდომი (10 ქ. 12 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ფილადელფია-გ.სტეიტი 101:102**

17:20, 31:22, 20:33, 33:27

**ფილადელფია:** იგუოდალა (25 ქ. 13 პ. 10 მ. 3 ჩ), ა. მილერი (19 ქ. 4 ჩ), კარნი (15 ქ), ჯო სმიტი (13 ქ), დალემბერი (10 ქ. 6 მ. 4 დ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (25 ქ. 12 პ. 6 მ. 3 ჩ), მ. ელისი (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (17 ქ), მ. პიეტრუსი (13 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), ელ ჰარინგტონი (11 ქ. 8 მ), ბიედრინში (11 ქ. 7 მ).

**კლივლენდი-შარლოტი 101:81**

24:19, 26:15, 21:21, 30:26

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (18 ქ. 10 მ. 2 ჩ), გუდენი (16 ქ), პიუზი (13 ქ. 2 ჩ), დ. მარშალი (13 ქ. 2 ჩ), ვარეჟაო (12 ქ. 13 მ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (16 ქ. 6 მ. 3 ჩ), ა. მორისონი (14 ქ. 5 მ), ფელტონი (10 ქ. 4 პ).

**ბოსტონი-კლიპერსი 89:100**

21:25, 21:22, 27:20, 20:33

**ბოსტონი:** რონდო (23 ქ. 6 მ. 6 პ. 4 ჩ), ელ ჯეფერსონი (21 ქ. 6 მ. 2 დ), რ. გომესი (16 ქ. 7 მ), პერკინსი (13 ქ), დელონტე უესტი (6 ქ. 11 მ. 11 პ).

**კლიპერსი:** ბრენდი (26 ქ. 19 მ. 4 დ), მობლი (20 ქ. 5 პ), მაგეტი (19 ქ), ტიმ ტომასი (17 ქ. 4 მ. 4 პ), კასელი (3 ქ).

**დეტროიტი-მილუოკი 96:86**

19:20, 25:21, 28:21, 24:24

**დეტროიტი:** ბილაპსი (20 ქ. 8 პ), რ. ჰამილტონი (18 ქ), პრინსი (14 ქ. 12 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (14 ქ. 7 მ. 3 პ), უებერი (12 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ), მაქსიელი (12 ქ).

**მილუოკი:** ბოგუტი (21 ქ. 13 მ. 3 პ), პატერსონი (16 ქ. 6 მ), მო უილიამსი (15 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ), ჩ. ბელი (12 ქ), ვილიანოვა (10 ქ. 6 მ), ბოიკინსი (10 ქ).

**ნ. ორლეანი-მინესოტა 90:83**

29:22, 19:23, 18:16, 24:22

**ნიუ ორლეანი:** პოლი (24 ქ. 8 პ. 4 ჩ), ჩენდლერი (16 ქ. 18 მ. 4 დ), პარგო (13 ქ), მეისონი (12 ქ. 7 მ), დევიდ უესტი (10 ქ. 6 მ).

**მინესოტა:** მ. ბლაუნტი (21 ქ. 7 მ), გარნეტი (17 ქ. 13 მ), რ. დევისი (13 ქ. 6 პ. 5 მ), ფოიე (10 ქ. 6 მ. 6 პ).

**ორლანდო-ნიუ ჯერსი 119:86**

29:15, 30:22, 33:24, 27:25

**ორლანდო:** თურქოღლუ (22 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), დ. ჰოვარდი (19 ქ. 9 მ), მილიჩიჩი (14 ქ. 4 მ), რედიკი (13 ქ), ნელსონი (12 ქ), ბეტი (11 ქ. 10 მ), აროიო (10 ქ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (25 ქ. 3 ჩ), ე. ჰაუსი (12 ქ), მური (11 ქ), ბუნი (10 ქ).

**დენვერი-პორტლენდი 114:107 (ო)**

13:23, 28:20, 24:23, 32:31, 17:10

**დენვერი:** ენტონი (33 ქ. 4 მ. 4 პ), ნენე (20 ქ. 6 მ. 2 დ), ბლეიკი (19 ქ. 14 პ. 2 ჩ), ჯეი. არ. სმიტი (17 ქ. 2 ჩ), კემბი (8 ქ. 10 მ. 5 პ. 5 დ. 3 ჩ).

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (25 ქ. 9 მ), როი (22 ქ. 11 პ), დიქსონი (21 ქ. 2 ჩ), ჯეკი (12 ქ. 9 პ).

### 4 თებერვალი

**ფინიქსი-იუტა 105:108**

30:29, 19:29, 32:28, 24:22

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (28 ქ. 10 მ), ნეში (22 ქ. 10 პ), ჯ. ჯოუნსი (16 ქ), დიაო (15 ქ. 8 მ. 5 პ), ბარბოსა (11 ქ).

**იუტა:** ოქური (29 ქ. 12 მ), დერონ უილიამსი (28 ქ. 10 პ), ჰარპრინგი (12 ქ), კირილენკო (10 ქ. 5 ბ. 3 დ).

**მილუოკი-მაიამი 98:117**

22:22, 31:27, 25:41, 20:27

**მილუოკი:** მო უილიამსი (38 ქ. 7 პ. 5 მ. 3 ჩ), ვილიანოვა (16 ქ. 12 მ), პატერსონი (11 ქ. 7 მ. 4 პ. 3 ჩ), ჩ. ბელი (10 ქ), ბოიკინსი (10 ქ).

**მაიამი:** უეიდი (32 ქ. 11 პ. 8 მ. 4 ჩ), კაპონო (28 ქ), შ. ონილი (20 ქ. 4 მ. 3 პ), ჰასლემი (7 ქ. 11 მ).

**შარლოტი-გ.სტეიტი 98:90**

24:28, 25:25, 28:21, 21:16

**შარლოტი:** ფელტონი (22 ქ. 4 პ. 3 ჩ), ჯ. უოლასი (21 ქ. 16 მ. 3 ჩ. 2 დ), ოკაფორი (16 ქ. 11 მ. 3 დ), კეროლი (16 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (21 ქ. 4 პ), ელ ჰარინგტონი (17 ქ. 8 მ. 3 პ), ბიედრინში (15 ქ. 18 მ. 2 ჩ. 2 დ), მ. ელისი (13 ქ. 7 მ), ს. ჯექსონი (11 ქ).

**ვაშინგტონი-ლეიკერსი 102:118**

29:29, 21:25, 26:32, 26:32

**ვაშინგტონი:** არენასი (37 ქ. 5 პ. 4 პ), სტივენსონი (17 ქ), კ. ბატლერი (15 ქ. 10 მ. 7 პ. 4 ჩ), ე. ტომასი (3 ქ. 10 მ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (39 ქ. 6 მ. 6 პ. 2 ჩ), ს. პარკერი (20 ქ), ოდომი (19 ქ. 11 მ. 5 პ. 2 ჩ), ბინუმი (12 ქ. 13 მ), რადმანოვიჩი (12 ქ. 5 მ).

**ორლანდო-ნიუ იორკი 86:94**

18:23, 16:26, 24:22, 28:23

**ორლანდო:** მილიჩიჩი (19 ქ. 6 მ), დ. ჰოვარდი (15 ქ. 11 მ), თურქოღლუ (13 ქ. 7 მ. 4 პ), რედიკი (11 ქ. 2 ჩ).

**ნიუ იორკი:** კარი (27 ქ. 6 მ), ფარი (18 ქ. 7 მ), მარბერი (14 ქ. 2 ჩ), კ. რიჩარდსონი (9 ქ. 12 მ. 4 პ), ლი (9 ქ. 6 მ).

**მემფისი-ინდიანა 110:116**

28:31, 34:25, 27:35, 21:25

**მემფისი:** გასოლი (30 ქ. 9 მ. 3 პ. 3 დ), მ. მილერი (26 ქ. 5 მ), ეტკინსი (19 ქ. 5 პ), გეი (11 ქ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (25 ქ. 17 მ. 2 დ), ტინსლი (25 ქ. 9 პ), დიოგუ (19 ქ. 9 მ), დ. გრეინჯერი (14 ქ. 8 მ. 2 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (13 ქ).

**ჰიუსტონი-ნ.ორლეანი 74:87**

15:17, 15:16, 19:30, 25:24

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (18 ქ. 5 პ. 3 ჩ), ჰედი (14 ქ. 5 მ), უელსი (13 ქ. 5 მ).

**ნიუ ორლეანი:** დევინ ბრაუნი (18 ქ. 7 მ. 5 პ), პოლი (12 ქ. 9 პ. 4 ჩ), ბობი ჯექსონი (12 ქ. 6 პ. 5 მ), პარგო (12 ქ), ჩენდლერი (11 ქ. 12 მ).

**დალასი-მინესოტა 94:93**

27:26, 29:21, 22:22, 16:24

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (22 ქ. 10 მ), ტერი (22 ქ. 3 ჩ), ნოვიცკი (18 ქ. 5 მ), დიოპი (6 ქ. 12 მ).

**მინესოტა:** გარნეტი (25 ქ. 12 მ. 3 პ), რ. დევისი (20 ქ. 6 მ. 5 პ), მ. ბლაუნტი (16 ქ. 8 მ), ჰასელი (13 ქ. 4 პ).

**პორტლენდი-ჩიკაგო 86:88**

16:12, 12:33, 28:14, 30:29

**პორტლენდი:** ზ. რენდოლფი (27 ქ. 7 მ), ჯეკი (16 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), როი (16 ქ. 2 ჩ), დიქსონი (11 ქ. 4 ჩ).

**ჩიკაგო:** გორდონი (33 ქ. 4 პ), ჰაინრიხი (17 ქ. 6 მ. 5 პ), დიუჰონი (15 ქ), დენგი (14 ქ. 10 მ), ბ. უოლასი (უქულოდ, 12 მ. 2 ჩ).

**საკრამენტო-დენვერი 94:87**

24:27, 29:16, 19:25, 22:19

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (28 ქ. 6 მ. 3 ჩ), არტესტი (21 ქ. 11 მ. 5 პ. 4 ჩ), ბ. მილერი (12 ქ. 7 მ. 2 დ), ბიბი (10 ქ. 3 ჩ), უილიამსონი (10 ქ).

**დენვერი:** ენტონი (20 ქ. 7 მ), ნენე (13 ქ. 10 მ), ს. ბლეიკი (13 ქ. 7 პ), ჯეი. არ. სმიტი (13 ქ), კლეიზა (10 ქ), კემბი (6 ქ. 15 მ. 7 დ. 4 პ).

# ჩოგბურთი

ტურნირები

## მეხუთე ტრიუმფი ტოკიოში

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნის, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისის** ტრიუმფით დასრულდა ტოკიოს "პან პასიფიკის" ღია პირველობა, რომლის ფინალშიც მას არ გასჭირვებია სერბ **ანა ივანოვიჩის** დამარცხება. ჰინგისმა მოსაგებად ორი სეტი და სულ 71 წუთი იმყოფინა.

*"რაც ჩოგბურთში დავბრუნდი, ყოველი მოგებული ტურნირი ორმაგად მახარებს. ადრე რიგით ტურნირებზე მოპოვებული ტიტულები ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, ახლა კი ყოველი გამარჯვება მარწმუნებს იმაში, რომ დაბრუნება შეცდომა არ ყოფილა. მართალი გითხრათ, სანამ დავბრუნდებოდი, ხშირად იმაზეც ვფიქრობდი, რომ ტურნირები შეიძლება ველარც მომეგო. ეს მაშინებდა, ახლა კი ეს შიში წარსულს დავუტოვე"*, - ამბობს ჰინგისი, ვისთვისაც ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ, ეს მესამე, კარიერაში კი 43-ე ტიტულია.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისს კარიერაში დიდი სლემის ხუთი ტიტული აქვს მოპოვებული და ამდენჯერვე მან ტოკიოს ტურნირი მოიგო. ამ ტურნირზე მას წინა ოთხი ტიტული 1997, 1999, 2000 და 2002 წლებში აქვს მოპოვებული.

შეგახსენებთ, რომ ჰინგისმა ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალს მიაღწია, სადაც ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან** წააგო. სხვათა შორის, მან მელბურნში შარშანაც სწორედ მეოთხედფინალს მიაღწია, მაგრამ იქაც კლაისტერსთან წააგო.

რაც შეეხება ივანოვიჩს, ჰინგისი მას მეორედ შეხვდა. მათი პირველი დაპირისპირება შარშან, მონრეალის ტურნირზე შედგა და მაშინ სერბმა შეძლო გამარჯვება. მაგრამ ამჯერად მან ვერაფერი დაუპირისპირა მეტოქის მრავალფეროვან სათამაშო არსენალს. ჰინგისი მთელი შეხვედრის განმავლობაში აგრესიული იყო და მეტოქეს ხშირად არბენინებდა კორტის ერთიდან მეორე კუთხეში.

*"ვიმედოვნებ, ეს სეზონი ჩემთვის უფრო წარმატებული იქნება, ვიდრე შარშანდელი. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თუ მოწინავეთა შორის დარჩენა მსურს, კიდევ უფრო უკეთ უნდა ვითამაშო. ამ თასს ჩემს სახლში გამორჩეულ ადგილზე შევინახავ, ხანდახან კი ალბათ მას სუშის დასაწყობადაც გამოვიყენებ"*, - განაცხადა ჰინგისმა, ვისმა ბოლო სიტყვებმაც მაყურებელთა გაოცება გამოიწვია.

ამ გამარჯვების წყალობით, ჰინგისის ბიუჯეტი 182 000 დოლარით გაიზარდა და თითქმის 20 მილიონს მიაღწია. რაც შეეხება მის სარეიტინგო პოზიციას, ის ალბათ არ შეიცვლება და როცა ახალი რეიტინგები გამოქვეყნდება, შვეიცარიელი მეჩოგნე იქ კვლავ მეექვსე ადგილზე დარჩება.

ტურნირს ტრავმის გამო, ნახევარფინალში გამოეთიშა მსოფლიოს პირველი ჩოგანი, რუსი **მარია შარაპოვა**, ვინც ბარძაყის ტრავმის გამო, ივანოვიჩთან შეხვედრის დასრულება ვერ შეძლო. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ ძლიერი ტკივილი პირველი სეტის მეორე გეიმშივე იგრძნო. თამაშის გაგრძელება ვცადე, არაფერი გამომდიოდა, რის გამოც, დანებება გადავწყვიტეო - განაცხადა ავსტრალიის ღიას ფინალისტმა. სხვათა შორის, ტრავმა აწუხებს შარაპოვას თანამემამულე **ელენა დემენტიევასაც**, რის გამოც მან პარიზის ღია პირველობიდან თავისი განაცხადი გამოიხმო. თუმცა, ჰინგისთან ნახევარფინალში ბოლომდე კი ითამაშა.

■ ■ ■

ზაგრების ჩემპიონატი კი კვიპროსელი **მარკოს ბალდატისის** გამარჯვებით დასრულდა, ვინც ფინალში სამსეტიან დაძაბულ პაექრობაში აჯობა ადგილობრივ ფავორიტსა და ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ **ივან ლიუბიჩიჩს**.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფინალის პირველი სეტი, რომელშიც კვიპროსელმა ოთხი ბრეიკ პოინტის მოგერიება შეძლო. ამ ოთხი გათამაშებიდან, ერთი მან ეისით მოიგო, ორ შემთხვევაში კი სერვის-ვინერით (მოწოდებას რომ მეტოქე უხეიროდ მიიღებს). ტაიბრეიკზე ბალდატისი, ვინც ავსტრალიის ღიაზე შარშან ფინალს მიაღწია, წელს კი ტურნირს პირველივე წრეში გამოეთიშა, 5:1 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ შეცდომები დაუშვა და ხორვატს 5:4-მდე წამოწევის საშუალება მისცა. თუმცა, მალევე გამოერკვა და სეტიც მოიგო.

მეორე სეტის მეხუთე გეიმში ლიუბიჩიჩმა მაინც შეძლო მეტოქის სერვის-გეიმზე ქულის აღება და მოპოვებული უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. ანგარიში გათანაბრდა და თითქოს, ხორვატმა ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვა. გადამწყვეტ სეტში მას ხუთი ბრეიკ პოინტი ჰქონდა (მათგან ერთი პირველივე გეიმში), მაგრამ ერთიც ვერ გამოიყენა.

სამაგიეროდ, კვიპროსელმა თავისი შანსი შესანიშნავად გამოიყენა. ეს შანსი მან მეათე გეიმში, ლიუბიჩიჩის მიერ დაშვებული რამდენიმე შეცდომის წყალობით მიიღო და პირველივე ცდაზე გამარჯვებად აქცია. მოკლედ, ბალდატისმა ამ სეზონში პირველი, კარიერაში კი მეორე ტურნირი მოიგო, ლიუბიჩიჩი კი ზედიზედ მესამედ დაამარცხა.

**WTA**

**ტორაი პან პასიფიკ ოუპენი**

ტოკიო (იაპონია). ჭერქვეშა ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**მარტინა ჰინგისი (2)** - ელენა დემენტიევა (3) 6:4, 6:3

**ანა ივანოვიჩი (5)** - მარია შარაპოვა (1) 6:1, 0:1 შარაპოვა გამოეთიშა

**ფინალი**

**მარტინა ჰინგისი (2)** - ანა ივანოვიჩი (5) 6:4, 6:2

**ATP**

**ზაგრების ჭერქვეშა ჩემპიონატი**

ზაგრები (ხორვატია). ჭერქვეშა ხალიჩა

საპრიზო ფონდი: 353 450 ევრო

**1/2 ფინალი**

**ივან ლიუბიჩიჩი (1)** - მიხაილ იუჟნი (4) 2:6, 6:3, 7:5

**მარკოს ბალდატისი (2)** - ალექსანდერ პეია 6:4, 6:3

**ფინალი**

**მარკოს ბალდატისი (2)** - ივან ლიუბიჩიჩი (1) 7:6(4)6 4:6, 6:4



მარტინა ჰინგისი

# სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

## თვის ლაურეატები

**დენი ჰიტლი, სიდნი კროსბი** და **რობერტო ლუონგო** იანვარის თვის საუკეთესო ჰოკეისტები გახდნენ.

"ოტავა სენატორზის" მარცხენა გარემარბმა დენი ჰიტლიმ, იანვრის 13 შეხვედრაში 11 გოლი გაიტანა და ამდენივე შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ამ შედეგის გამო, ის გასული თვის პირველ ვარსკვლავად აღიარეს.

ამ მომენტისთვის რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, "პიტსბურგ პინგვინზის" ფორვარდი **სიდნი კროსბი** მეორე ვარსკვლავი გახდა. იანვარში მანაც 13 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ჰიტლის მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა - 8 გოლი და 13 შედეგიანი პასი მიითვალა. 19 წლის კანადელმა, გასული თვე შვიდი მატჩისგან შემდგარი შედეგიანი სერიით დაასრულა.

თვის მესამე ვარსკვლავის სტატუსი კი, "ვანკუვერ კენაქსის" მეკარე **რობერტო ლუონგომ** მიიღო.

## ატლანტამ AHL-ის ბომბარდირი მიიწვია

"ატლანტა ტრეშერზმა" ფარმ-კლუბიდან ფორვარდი **დარენ ჰეიდარი** გამოიძახა, რომელიც 89 ქულით ამერიკის ჰოკეის ლიგის (AHL) საუკეთესო ბომბარდირია.

27 წლის ჰეიდარმა, 2002-03 წლების სეზონში ორი მატჩი ითამაშა "ნეშვილის" შემადგენლობაში და მას შემდეგ NHL-ში არ გამოჩენილა.

*"ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო. იმ ბიჭებმა, რომლის წინააღმდეგაც ვთამაშობდი, თავისი თავი იპოვნეს NHL-ში. ახლა, მეც მომეცა შანსი. ვფიქრობ, შევძლებ მის გამოყენებასა და ახალ დონეზე გასვლას"*, - ამბობს ჰეიდარი.

## რეინჯერსი ტკაჩუკს უმიზნებს

გაზეთ "ნიუ იორკ პოსტის" ინფორმაციით, "ნიუ იორკ რეინჯერსი" "სენტ ლუისიდან" ფორვარდ **კეიტ ტკაჩუკის** შეძენას ლამობს, რათა ვეტერანი ფორვარდი შეტევაში **ბრენდან შენეჰანს** შეუწყვილოს.

იმ შემთხვევაში, თუ "ბლუზმენები" ტკაჩუკის გაცვლას არ მოინდომებენ, მაშინ "რეინჯერსის" მორიგი სამიზნე ნეშვილელი **იოზეფ ვაშიჩეკი** ან ჩიკაგოელი **ბრაიან სმოლინსკი** იქნება.

## NHL ტელერეიტინგზე ზრუნავს

ამერიკული პრესის ინფორმაციით, ჰოკეის ეროვნული ლიგა Texas Motor Speedway-ის პრეზიდენტ **ენდი გოსეჯს** ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტს სთავაზობს.

ამ ფუნქციონერის ხელმძღვანელობით, ავტორბოლა "ნასკარმა" ამერიკაში უდიდეს პოპულარობას მიაღწია და ძალიან დიდ ტელეაუდიტორიას მოუყარა თავი. ამ დროს კი, NHL ყოველწლიურად კარგავს ტელემაყურებელს.

გაზეთების ცნობით, NHL-ის შეფობამ უკვე გამართა ამ საკითხთან დაკავშირებით გოსეჯთან მოლაპარაკებები .

## ტამპა ხელფასებს შეამცირებს

"ტამპა ბეი ლაითნინგის" ხელმძღვანელობა 2007-08 წლების სეზონისთვის, 2 მილიონი დოლარით აპირებს სახელფასო ბიუჯეტის შემცირებას.

დღევანდელი მდგომარეობით, "ტამპას" მოთამაშეთა ხელფასებზე დაახლოებით 40 მილიონი დოლარი იხარჯება, ამ თანხის ნახევარი კი, სამ ჰოკეისტზე - **ვენსან ლეკავალიეზე, ბრედ რიჩარდსა** და **მარტინ სენტ ლუისზე** იხარჯება.

სახელფასო ბიუჯეტის შემცირება ნიშნავს იმას, ახალი სეზონის სტარტის წინ, კლუბი რამდენიმე გაცვლას მოახდენს.

კრივი

## მაიორგა აფერისტობისთვის დაიჭირეს

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **რიკარდო მაიორგმა** ორი დღის წინათ, მშობლიურ ნიკარაგუაში დააპატიმრეს. მოკრივეს ბრალი ედება იმაში, რომ 2006 წლის დეკემბერში, მან არ გადაიხადა 4 მანქანის საფასური - 56 ათასი დოლარი.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, 2006 წლის 6 მაისს, **ოსკარ დე ლა ჰოიასთან** ჩატარებული ბრძოლის შემდეგ, მაიორგას ფული ვინმე **რამირო სანდინოსთვის** უნდა გადაეხადა, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა.

ფორმულა 1

## ტორო როსო ჯერაც პილოტების გარეშეა

ახალი სეზონი მოახლოვდა, მაგრამ "ტორო როსო" ჯერ ვერ გარკვეულა, თუ ვინ იქნება 2007 წლის ჩემპიონატში გუნდის ძირითადი ავტომრბოლელები. საჯინიბოს შარშანდელ პილოტებს - **ვიტანტონიო ლიუცისა** და **სკოტ სპიდს** კვლავაც კანდიდატთა სტატუსი აქვთ. ბოლოდროინდელი ჭორების მიხედვით, "ტორო როსოში" შეიძლება გამოჩნდეს "ჩემპკარის" სერიის სამგზის ჩემპიონი - ფრანგი **სებასტიან ბურდე**. და მიუხედავად იმისა, რომ ბურდეს მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს გუნდ "ნიუმენ-ჰასთან".

*"პილოტების ვინაობას მაშინ დავასახელებთ, როცა ამისთვის მზად ვიქნებით. შეიძლება კიდევ ორი კვირა დაგვჭირდეს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. რამდენიმე დეტალი გვაქვს დასაზუსტებელი და ამის შემდეგ, ყველაფერი მოგვარდება"*, - აცხადებს "ტორო როსოს" თანამფლობელი **გერჰარდ ბერგერი**.

## საემიროები ფორმულას უერთდება

2009 წელს, არაბეთის გაერთიანებული საემიროები ფორმულა 1-ის ეტაპს უმასპინძლებს. ტრასის მშენებლობა ქვეყნის დედაქალაქ აბუ-დაბიშია დაგეგმილი.

იმისთვის, რომ საემიროებში ფორმულა 1-სადმი ინტერესი გაზრდილიყო, 3 თებერვალს, ზღვის პირას გაშენებულ 4-კილომეტრიან ტრასაზე ფორმულა 1-ის ბოლიდების ალლუმი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო **ფერნანდო ალონსოს** "მაკლარენმა" და **კიმი რაიკონენის** "ფერარიმ". აქვე იყვნენ ფორმულას სხვა პილოტები - **ფელიპე მასა, ნელსონ პიკე-უმცროსი, რალფ შუმახერი, სკოტ სპიდი** და სხვები. აბუ-დაბიში ჩავიდნენ ფორმულა 1-ის მფლობელი **ფლავიო ბრიატორე** და რამდენიმე საჯინიბოს შეფი - **რონ დენისი** ("მაკლარენი"), **ფლავიო ბრიატორე** ("რენო")...

## ვის ეკუთვნის ვან დერ გარდი?

რამდენიმე დღის წინათ, "სუპერ აგურის" მანქანით, ფორმულა 1-ის ტესტებზე დებიუტი ჰქონდა ჰოლანდიელ პილოტ **გიედო ვან დერ გარდს**, გუშინ კი, ის საზოგადოებას მეორე გუნდის - "სპაიკერის" ტესტ-პილოტად გამოეცხადა.

*"ბედნიერი ვარ, რომ ამ გუნდს შევუერთდი"*, - განაცხადა იაპონური საჯინიბოდან გამოქცეულმა პილოტმა.

ვან დერ გარდს "სუპერ აგურისთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და ამიტომაც, ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ მოევლება ამ პრობლემას.

## მსოფლიო ჩემპიონატი

# დასაწყისი ორი დუბლით

იმ დროს, როდესაც შვედეთის სამთო კურორტ არეში, ძლიერი ქარის გამო, სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატის ორი რბოლა გადაიდო, იტალიის ანტჰოლც-ანტერსელვაში ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ოთხი რბოლის ჩატარება მოესწრო, რომლებზეც ოქროს ორ-ორი მედალი მოიპოვეს ნორვეგიელმა სუპერვარსკვლავმა **ოლე ეინარ ბიორნდალენმა** და გერმანელმა თინეიჯერმა **მაგდალენა ნოინერმა**.

თუ ბიორნდალენისგან ასეთ დასაწყისს ბევრი ელოდა - სხვა თუ არაფერი, ის ამ სეზონს ბრწყინვალედ ატარებს, ნოინერის სახელი ბიატლონში ამ სეზონში გამოჩნდა და არავინ ელოდა, თუ ახალბედა კარიერის დასაწყისშივე მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლას შეძლებდა.

მედლების პირველი კომპლექტები სპრინტსა და გამოდევნებით რბოლებში ჩატარდა. შეგახსენებთ, რომ ბიათლეტები გამოდევნებით რბოლაში, სპრინტის შედეგების მიხედვით იწყებენ ასპარეზობას. ამდენად, სპრინტში ნაჩვენებ დროს მომდევნო რბოლისთვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბიორნდალენს სპრინტში მეტ-ნაკლები მეტოქეობა გაუწია ჩეხმა **მიხალ შლეზინგერმა**, ვინც ორივეჯერ უშეცდომოდ ისროლა და მხოლოდ 4.8 წამი დათმო გამარჯვებულთან, ვისთვისაც ეს ოქრო კარიერაში მეშვიდეა. მასავით შესანიშნავად ისროლა უკრაინელმა **ანდრეი დერიზემლიამ**, ვინც საბოლოოდ ბრინჯაოს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ ამ ორს კვარცხლბეკზე თითქმის არავინ ელოდა.

ხელი მოეცარათ გერმანელებს, რომელთაგან საუკეთესო მე-15 შედეგით იყო **ალექსანდერ ვოლფი**. მე-19 ადგილი დაიკავა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მიხაელ გრაისმა**, ვინც სამი სამიზნე ვერ დააზიანა. კიდევ ერთი სახელოვანი გერმანელი, **სვენ ფიშერი** 43-ე ადგილს დასჯერდა.



ოლე ეინარ ბიორნდალენი

ბიორნდალენი შეუდარებელი იყო გამოდევნებით რბოლაშიც, სადაც ორი საჯარიმო წრის მიუხედავად, მაინც წუთზე მეტით აჯობა უახლოეს მდევარს, რუს **მაქსიმ ჩუდოვს** და კარიერაში მსოფლიოს ჩემპიონის მერვე ოქრო მიითვალა. სხვათა შორის, ჩუდოვმა და ფრანგმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვენსან დეფრანმა** პრაქტიკულად, ერთდროულად გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, მაგრამ ფოტო-ფინიშმა უპირატესობა რუსს მიანიჭა. აღსანიშნავია, რომ ჩუდოვმა ორჯერააცდინა სამიზნეს, როცა დეფრანმა მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა.

ორჯერ შეცდა ბიორნდალენიც, ვისაც ეს აცდენა ცოტა ხნით ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. საჯარიმო წრის შემდეგ ის ჩეხ ბიათლეტს 16.9 წამით ჩამორჩებოდა. ნორვეგიელმა დანაკლისი თავისი სისწრაფის ხარჯზე აინაზღაურა და მესამე სასროლეთზე ისინი თითქმის ერთდროულად შევიდნენ. ბიორნდალენმა პირველი ოთხი სროლა ზუსტად შეასრულა, მაგრამ ბოლო გააფუჭა, რითაც შლეზინგერს კვლავ დაწინაურების შანსი მიეცა, მაგრამ როგორც ჩანს, ამან მის ნერვებზე უარყოფითად იმოქმედა. შედეგად, ორი გაფუჭებული ნასროლი და პრაქტიკულად, დაკარგული მოგების შანსი.

ჩეხმა ბოლო სასროლეთზე კიდევ ერთხელ ააცდინა სამიზნეს, რის გამოც მას ჩუდოვმა და დეფრანმა გაასწრეს. უნდა ითქვას, რომ ფრანგმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სპრინტში ნორვეგიელთან 1 წუთი და 11.1 წამი წააგო, რისი გათვალისწინებითაც, გამოდევნებით რბოლაში, მან ფაქტობრივად, ორი წამით აჯობა სპრინტის ჩემპიონს. თუმცა, ბიატლონის წესებით, სპრინტის შედეგი არ უქმდება.

შეგახსენებთ, რომ წინა ჩემპიონატზე, რომელსაც ავსტრიის ჰოხფილცენმა უმასპინძლა, ბიორნდალენმა ოქროს ოთხი მედალი მოიპოვა. ახლა კი შანსი აქვს, თავისივე მიღწევა გააუმჯობესოს და ყველა (ხუთივე) ოქრო დაისაკუთროს.

რაც შეეხება ნოინერს, ვისაც ოცი წელი პარასკევს შეუსრულდება, მსოფლიო ჩემპიონატზე დებიუტი (იუნიორებში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია) გამარჯვებით აღნიშნა - ორი შეცდომის მიუხედავად, წამით აჯობა სპრინტში მსოფლიო თასის შვედ ლიდერ **ანა კარინ ოლოფსონს**, ვინც მხოლოდ ერთ სამიზნეს ააცდინა.

მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა მსოფლიო თასის აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერი, გერმანელი **კატი ვილჰელმი**, ვინც სამ სამიზნეს ააცდინა. ათეულშიც კი ვერ მოხვდნენ ფრანგები - **სანდრინ ბეილი** და ოლიმპიური ჩემპიონი **ფლორენს ბევერელ რობერი**.

ნოინერმა გამოდევნებით რბოლაშიც შესანიშნავად იასპარეზა და 7.0 წამით აჯობა მეორეზე გასულ ნორვეგიელ **ლინდა გრუბენს**, ვინც ზედ ფინიშის სწორზე გაასწრო ოლოფსონს. არადა, მან გუშინდელი რბოლა მე-18 ადგილიდან დაიწყო. აღსანიშ-



მაგდალენა ნოინერი

ნავია, რომ ამჯერად შვედ ბიათლეტს უზუსტო სროლამ შეუშალა ხელი ოქროს მედლის დაუფლებაში - მან ხუთი სროლა გააფუჭა, როცა ნოინერმა ოთხჯერ ააცდინა, გრუბენმა კი - მხოლოდ ერთხელ.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). კაცები. სპრინტი (10 კმ)

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 26:18.8 (0+1); 2. მიხალ შლეზინგრი (ჩეხეთი) +0:04.8 (0+0); 3. ანდრეი დერიზემლია (უკრაინა) +0:25.8 (0+0); 4. ბიორნ ფერი (შვედეთი) +0:34.4 (0+1); 5. ტომაშ სიკორა (პოლონეთი) +0:39.2 (1+0); 6. მატიას ნილსონი (შვედეთი) +0:40.4 (0+0)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). კაცები. გამოდევნებით (12.5 კმ)

1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 32:21.2 (1+0+1+0); 2. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) +1:09.8 (1+0+2+0); 3. ვენსან დეფრანი (საფრანგეთი) +1:09.9 (0+0+1+0); 4. მიხალ შლეზინგერი (ჩეხეთი) 0+0+2+1 +1:14.7 (); 5. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) +1:17.2 (0+0+2+1); 6. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) +1:18.8 (1+0+1+1)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ქალები. სპრინტი (7.5 კმ)

1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) 22:46.9 (1+1); 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) +0:02.3 (1+1); 3. ნატალია გუსევა (რუსეთი) +0:19.6 (0+1); 4. ჰელენა იონსონი (შვედეთი) +0:29.6 (0+0); 5. ან კრისტინ ფლატლანდი (ნორვეგია) +0:38.7 (0+0); 6. მიქელა პონცა (იტალია) +0:39.2 (0+0)...

### ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია). ქალები. გამოდევნებით (10 კმ)

1. მაგდალენა ნოინერი (გერმანია) 33:01.6 (1+0+1+2); 2. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) +0:07.1 (0+1+0+0); 3. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) +0:07.6 (2+0+1+2); 4. ნატალია გუსევა (რუსეთი) +0:47.8 (1+1+0+0); 5. ტადეა ბრანკოვიჩი (სლოვენია) +1:03.3 (1+0+1+0); 6. ფლორენს ბევერელ რობერი (საფრანგეთი) +1:22.5 (0+0+1+1)...

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

#### 2 თებერვალი

**კალგარი-კოლამბუსი 6:2**

3:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 იგინლა-24 (კონროი-12, რეგერი-13), 2:0 რეგერი-1 (ტანგეი-34, იგინლა-31), 3:0 ჯორდანო-6 (რეგერი-14, ჰუსელიუსი-24), 4:0 ლენგკოუ-21 (ჰუსელიუსი-24), 4:1 კლესლა-9 (ფიოდოროვი-17, ნეში-18), 5:1 ჰუსელიუსი-22 (იიგნლა-32), 5:2 ჩიმერა-10 (მალორტა-11, ფრიტშე-13), 6:2 უორენერი-3 (ჯორდანო-7, ფრისენი-5).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 5:3**

1:1, 1:1, 3:1

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-21 (ჰოლმსტრიომი-16, მარკოვი-10), 1:1 სტემპნიაკი-16 (მაკლემანი-14), 2:1 ჰოლმსტრიომი-17 (ლიდსტრიომი-35, ზეტერბერგი-24), 2:2 რ. ჯონსონი-6 (დრეიკი-5), 3:2 ჰოლმსტრიომი-18 (ზეტერბერგი-25, ლიდსტრიომი-36), 3:3 ტკაჩუკი-16 (ვიდემანი-14, ჯეკმენი-12), 4:3 დრეიპერი-9 (ლიდსტრიომი-37, ფრანცენი-12), 5:3 კლირი-20 (ზეტერბერგი-26, დაციუკი-35).

#### 3 თებერვალი

**პიტსბურგი-ვაშინგტონი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პეტროვიცკი-2, 2:0 ჯ. სტაალი-17 (მალკინი-31).

**მონრეალი-აილენდერსი 2:4**

1:1, 1:0, 0:3

**გოლები:** 0:1 შატანი-16 (მარტინეკი-15, საიმონი-17), 1:1 ბონკი-9 (მ. ჯონსონი-14), 2:1 შტრაიტი-5 (ლაპიერი-3, პერეჟოგინი-9), 2:2 ჰანტერი-13 (ჰილი-19, მეიერი-6), 2:3 ჰანტერი-14 (სილინჯერი-23), 2:4 შატანი-17.

**კოლორადო-ედმონტონი 2:3**

1:0, 0:1, 1:2

**გოლები:** 1:0 რიჩარდსონი-6 (გუიტი-1, რაიკროფტი-4), 1:1 ჰემსკი-9 (მ-ა. ბერჟერონი-16, ნედვედი-10), 1:2 რ. სმიტი-27 (გრინი-6, ჰორკოფი-24), 1:3 ჰორკოფი-10 (რ. სმიტი-18, ჰემსკი-33), 2:3 საკიკი-22 (მაკლინი-11, პ. შჩასტნი-27).

**სან ხოსე-ჩიკაგო 4:2**

2:1, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გოკი-5 (რისმილერი-11, ტოსკალა-2), 1:1 ტ. რუუტუ-12 (მარპი-15, ვიშნიევსკი-8), 2:1 კ. ბრაუნი-7 (ჰენანი-15, ტოსკალა-3), 2:2 პავლატი-17 (ტ. რუუტუ-15, სმოლინსკი-20), 3:2 მარლო-27 (ქლოუ-11, ჯ. ტორნტონი-52), 4:2 მ. მიხალეკი-14 (ჩიჩუ-19).

**ატლანტა-ფილადელფია 2:5**

1:1, 1:0, 0:4

**გოლები:** 0:1 აფანასენკოვი-5 (ფედორუკი-10), 1:1 კოვალჩუკი-30 (სიმი-10), 2:1 ჯ. სლეიტერი-5 (მეტროპოლიტი-15), 2:2 განიე-24 (ფორსბერგი-24, ეუბლი-16), 2:3 იორკი-8 (დ. ჰეტჩერი-2, აფანასენკოვი-4), 2:4 ჯ. კარტერი-8, 2:5 ყიტნიკი-5 (ს. კაპანენი-7).

**ოტავა-ტორონტო 2:3 (ბ)**

0:0, 0:2, 2:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ო'ნილი-18 (სტაიანი-20, გილი-8): 0:2 სუნდინი-21 (პონიკაროვსკი-15, კუბინა-9), 1:2 ალფრედსონი-19 (სპეცა-28, მეზაროში-20), 2:2 კომრი-12 (კორვო-16, ემერი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ვერმეტი (ოტავა), სუნდინი (ტორონტო), პოლი (ტორონტო).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 3:2**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 კროგი-3 (მენეჰანი-24, მარსელ ჰოსა-4), 1:1 რეინჯერი-3 (ბოილი-31, პერენი-13), 2:1 ბ. რიჩარდსი-19 (ბოილი-32, სენტ ლუისი-39), 2:2 ნიულანდერი-17 (იაგრი-44, რახუნეკი-15), 3:2 ლეკავალიე-33 (სენტ ლუისი-40, კრეიგი-12).

**ნიუ ჯერსი-ბაფალო 3:2**

0:1, 0:0, 3:1

**გოლები:** 0:1 დრური-30 (კოტალიკი-21), 1:1 მადენი-8 (კ. უაიტი-5, ბრილინი-18), 2:1 ლანგენბრუნერი-18 (პარიზე-21), 3:1 პარიზე-20 (ლანგენბრუნერი-21, ზაიაცი-16), 3:2 ტ. ნუმინენი-1 (ჰეხტი-17, პომინვილი-20).

**ფლორიდა-ლოს ანჯელესი 0:7**

0:3, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 კამალერი-21 (ფროლოვი-26, დ. არმსტრონგი-26), 0:2 პუშკარიოვი-2, 0:3 დ. ბრაუნი-11 (კამალერი-28, კოპიტარი-33), 0:4 ფროლოვი-27 (ეიველი-17, ვიშნოვსკი-28), 0:5 ლუნდმარკი-2 (ეისერი-18, სოპელი-15), 0:6 ფროლოვი-28 (კამალერი-29), 0:7 კამალერი-22 (ფროლოვი-27, დ. არმსტრონგი-27).

**სენტ ლუისი-დალასი 2:0**

1:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 რუჩინსკი-12 (სეინა-1, უეიტი-28), 2:0 ტკაჩუკი-17 (გერინი-17, უეიტი-29).

**ნეშვილი-ანაჰაიმი 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰამჰუისი-4 (ჰარტნელი-13, რადულოვი-11), 2:0 არნოტი-20 (კ. ტიმონენი-28, დუმონი-32), 3:0 სალივანი-20 (არნოტი-19, კარია-41).

**კაროლინა-ბოსტონი 3:4 (ო)**

2:0, 0:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ე. კოული-23, 2:0 ე. კოული-24 (საიდენბერგი-6, ე. სტაალი-24), 2:1 გ. მიურეი-25 (აქსელსონი-12, ხარა-25), 2:2 ბოიესი-9 (სავარი-47), 2:3 გ. მიურეი-26 (ხარა-26, მარა-14), 3:3 ბრინდამორი-15 (რეი უიტნი-38, სტილმანი-13), 3:4 ხარა-9 (სავარი-48).

**ფინიქსი-მინესოტა 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 გაბორიკი-14 (დემიტრა-23).

**კალგარი-ვანკუვერი 4:3**

0:2, 2:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ჰ. სედინი-7 (ს. სალო-15, დ. სედინი-30), 2:0 დ. სედინი-20 (პიატი-11, კრაიჩეკი-10), 2:1 ლენგკოუ-22 (ტანგეი-35, იგინლა-33), 2:2 ტანგეი-15 (იგინლა-34, კონროი-13), 3:2 რიტჩი-8 (ჯორდანო-8, ფრიზენი-6), 4:2 ჰუსელიუსი-23 (რეგერი-15), 4:3 პიატი-15 (ნესლუნდი-26, ჰ. სედინი-42).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**კალათბურთი**

### მუსელმანი ლოთობისთვის დაისაჯა

"საკრამენტო კინგზის" მთავარი მწვრთნელი **ერიკ მუსელმანი** ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს იმის გამო, რომ ის მთვრალი მართავდა ავტომობილს. სამედიცინო ტესტმა დაადგინა, რომ მუსელმანის ორგანიზმში ალკოჰოლის დოზა ძალიან აჭარბებდა დადგენილ ნორმას.

მუსელმანს "დენვერთან" და "ნიუ ორლეანთან" მატჩების გამოტოვება მოუწევს. მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს მისი ასისტენტი შეასრულებს.

### ენტონი ავარიაში მოყვა

წლევანდელი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, "დენვერ ნაგეტსის" ფორვარდმა **კარმელო ენტონიმ** "პორტლენდთან" მატჩისწინა ვარჯიში გამოტოვა. ამის მიზეზი გახდა ის, რომ ენტონი, თავის პარტნიორ **ჯეი არ სმიტთან** ერთად ავტოავარიაში მოყვა.

"დენვერ ნაგეტსის" პრეს-ატაშე **ერიკ სებასტიანი** აცხადებს, რომ კალათბურთელები ენტონის მანქანით მგზავრობდნენ, მაგრამ საჭესთან სმიტი იჯდა. ინციდენტის სხვა დეტალები ცნობილი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, კალათბურთელებს ტრავმები არ მიუღიათ, რადგან ბოლო ტურში "პორტლენდის" წინააღმდეგ ორივემ ითამაშა.

## TV სპორტი

### 5 თებერვალი. ორშაბათი

#### SPORT 1 (უკრაინა)

**08:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
არხის პროფილაქტიკა
**14:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. გენტი. ბელგია.
**16:05** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ავსტრალია.
**17:50** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
**18:35** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. გუარატინგეტა-კორინთიანსი.
**20:20** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.
**22:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტ-კლუბი.
**00:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:00** პროფესიული კრივის საღამო.
**03:30** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. გენტი. ბელგია.
**05:30** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. კვალიფიკაცია. ავსტრალია.
**07:15** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ოსასუნა-ბარსელონა.

#### EUROSPORT

**11:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**12:00** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი.
**12:45** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
**14:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია.
**14:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სუპერგიგანტი. არე. შვედეთი.
**15:15** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
**16:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. ნოიშტადტი. გერმანია.
**17:30** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია.
**18:00** ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. რბოლა გამოდევნებით. ანტოლცი. იტალია.
**18:30** ბოულსი. უელსის ღია პირველობა. ლანელი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:00** სნუკერი. მალტის თასი. ფინალი. პორტომასო. მალტა.
**23:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**02:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**03:00** მულტისპორტი.
**03:30** ბრძოლა წესების გარეშე.

#### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** სუპერკროსი.
**15:00** ახალი ამბები.
**17:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. შვეიცარია-ბრაზილია.
**18:00** ფეხბურთი. ევრო 2008. ბელგია-პოლონეთი.
**19:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
**19:45** ლაკროსი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. ფლენი. საფრანგეთი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხუვენტუდი-ხირონა.
**00:30** კალათბურთი. ევროლიგა.
**01:00** ნარდი. ერთა თასი. კანი. საფრანგეთი.
**02:00** ახალი ამბები.
**02:15** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი.
**03:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### კალათბური

| NBA | |
|---|---|
| ნიუ ჯერსი-ატლანტა | ო.ტ. 99:101 |
| ტორონტო-კლივლენდი | 122:110 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ქ. სან ფერნანდო-მენორკა | 91:84 |
| ფუენლაბრადა-ტაუკერამიკა | 91:85 |
| ვალიადოლიდი-ესტუდიანტესი | 83:78 |
| ბრუესა-უნიკახა | 67:86 |
| ალიკანტე-ბილბაო | 77:62 |
| ვალენსია-მურსია | 83:75 |
| რეალი-გრანადა | 97:72 |
| ხუვენტუდი-ხირონა | 92:76 |
| გრან კანარია-ბარსელონა | ო.ტ. 80:70 |

| იტალია | |
|---|---|
| ნაპოლი-ტერამო | 81:74 |
| ვირტუსი-სნაიდერო | 80:62 |
| ბენეტონი-კანტუ | 69:70 |
| ვარეზე-კლიმამიო | 83:81 |
| ლივორნო-მილანი | 67:69 |
| მონტეპასკი-რეჯო ემილია | 85:78 |
| რომა-მონტეგრანარო | 74:63 |
| სკაფატი-ბიელა | 81:69 |
| დ'ორლანდო-აველინო | 68:74 |

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ვილერბანი-ტულონი | 84:51 |
| ბურკი-პლკ | 74:82 |
| შალონი-შოლე | 72:74 |
| რეიმსი-რუანი | 75:89 |
| სტრასბური-ბეზანსონი | 69:66 |
| ჰავრი-დიჟონი | 80:90 |
| გრაველინი-პო ორტეზი | 69:60 |
| ლე მანი-ორლეანეზი | 68:69 |

### ჰოკეი

| რუსეთი | |
|---|---|
| აკ ბარსი-მეტალურგი (მ) | 2:2 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| სკალიცა-მიკულაში | 4:6 |
| მიკულაში-ნიტრა | 4:5 |
| პოპრადი-კოშიცე | 0:4 |
| სლოვანი-სკალიცა | 7:1 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 3:3 |
| ჟილინა-მარტინი | 2:4 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ილვესი-სეი პა | 2:1 |
| იუვიასკიულა-კიეკო | 3:1 |
| კარპატი-ტაპარა | 5:1 |
| ლუკო-კალპა | 7:4 |
| პელიკანი-იოკერიტი | 2:3 |
| ტპს-ჰპკ | 2:6 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| პარდუბიცე-ლიბერეცი | 1:2 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ბაზელი-ციურიხი | 1:3 |
| ამბრი პიოტა-ლუგანო | 2:6 |
| კლოტენი-დავოსი | 4:1 |
| რაპერსვილი-ცუგი | 4:1 |
| ბერნი-სერვეტი | 3:2 |
| ტაიგერსი-ფრიბურგი | 4:5 |
| დავოსი-ლანგნაუ | ო.ტ. 4:5 |
| ლუგანო-კლოტენი | 5:3 |

| შვედეთი | |
|---|---|
| აიკ-იურგორდენი | 3:2 |
| ფრიოლუნდა-ბრინასი | 2:2 |
| ფერიესტადი-ლულეა | 8:3 |
| მოდო-ლინჩოპინგსი | 2:2 |
| მალმიო-ჰვ71 | 4:4 |
| ტიმრა-მორა | 1:1 |

### ხელბურთი

| მსოფლიო ჩემპიონატი | |
|---|---|
| მე-3 ადგილისთვის | |
| საფრანგეთი-დანია | 27:34 |
| ფინალი | |
| გერმანია-პოლონეთი | 29:24 |

### ჩოგბურთი

| ATP. ზაგრები | |
|---|---|
| ლუბიჩიჩი-ბაღდატისი | 6:7, 6:4, 4:6 |

| ATP. ვინია დელ მარი | |
|---|---|
| მასუ-მონტანიესი | 6:1, 6:3 |

| ATP. დელრეი ბიჩი | |
|---|---|
| ბლეიკი-მალისე | შეწყდა |

| WTA. ტოკიო | |
|---|---|
| ჰინგისი-ივანოვიჩი | 6:4, 6:2 |

გერმანია 2007. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები

# გერმანია მესამედ

**ფინალი**

**გერმანია-პოლონეთი 29:24**

**გერმანია:** ფრიტცი, ბიტერი; ჰენსი (11), გლანდორფი (2), ზაიტცი (3), იანსენი (8), კლიმოვეტცი (1), კრაუსი (4), კერმანი (4), შვარცერი (1), ბაური, კაუფმანი, როგიში, კლაინი.

**პოლონეთი:** ჟმალი, ვეინარი; ლიჟევსკი (1), იაჩლევსკი (1), ტკაჩიკი (5), ბიელიცკი (3), სიოდმიაკი (1), ვლეკლაკი (1), ბ. იურეცკი (2), იურაშიკი (5), მ. იურეცკი (1), კუპტელი (1), ტლუჩინსკი (2), ლიჟევსკი (1).

მსოფლიოს მეოცე ჩემპიონატი გერმანიის ნაკრების ტრიუმფით დასრულდა. გადამწყვეტ მატჩში მასპინძელთა ნაკრებმა სრულფასოვანი რევანში აიღო იმ მარცხისთვის, რომელიც მან პოლონეთის ნაკრებისგან პირველ ჯგუფურ ტურნირში იწვნია.

ფინალი პოლონეთმა კარგად დაიწყო და მატჩის დებიუტში 3:2 დაწინაურდა. მაგრამ ეს იყო პირველი და ერთადერთი მომენტი შეხვედრაში, როცა პოლონელებმა ანგარიში წაიყვანეს. მეშვიდე წუთიდან მოყოლებული, 4 წუთის ინტერვალში, გერმანიამ მეტოქის კარში ზედიზედ 6 ბურთი შეაგდო და 8:3 გავიდა წინ.

4-5 ბურთიან უპირატესობას გერმანია ტაიმის ბოლომდე ინარჩუნებდა. ასე გაგრძელდა მეორე ტაიმის სტარტზეც. უფრო მეტიც, 37-ე წუთზე მასპინძელთა უპირატესობამ 7 ბურთი შეადგინა - 21:14. თითქოს, გამარჯვება ახლოს იყო, მაგრამ აქ გაუთვალისწინებული რამ მოხდა - ტრავმა მიიღო ჩემპიონატის საუკეთესო გოლკიპერმა **ჰენინგ ფრიტცმა** და კარში მისი დუბლიორი **იოჰანეს ბიტერი** ჩადგა. ეს უკანასკნელი ძალიან ღელავდა, რითაც კარგად ისარგებლა პოლონეთმა და მომდევნო 7-წუთიანი პერიოდი 7:1 მოიგო. მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, პრაქტიკულად, ყველაფერი თავიდან იწყებოდა. გერმანიას მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობა ჰქონდა - 22:21.

მაგრამ გუშინ ფორტუნა აშკარად გერმანელთა მხარეს იყო. მსაჯმა პოლონეთს ერთბაშად ორი კაცი გაუგდო ორწუთიანზე და ეს უპირატესობა **პასკალ ჰენსის** ორ გოლში აისახა. 24:22-ზე კი, **ტორსტენ იანსენის** ჯერი დადგა და ჰენსის მსგავსად, მანაც ზედიზედ ორჯერ აიღო პოლონელთა კარი. მასპინძელთა უპირატესობა კვლავ სოლიდური გახდა - 26:22. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და გეტყვით, რომ იანსენი ფინალის საუკეთესო მოთამაშე გახდა - მან რვაჯერ დაარტყა კარში და ასპროცენტიანი შედეგი დააფიქსირა.

პოლონეთმა ერთი გაიბრძოლა და სამ ბურთამდე ჩამოიყვანა სხვაობა, მაგრამ სამი უპასუხო გოლის გაშვების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ გერმანია გამარჯვებას ხელიდან აღარ გაუშვებდა.

გერმანიამ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ამ გუნდის ბოლო ტრიუმფი 1978 წლით თარიღდება და სხვათა შორის, მაშინდელ საჩემპიონო შემადგენლობაში **ჰაინერ ბრანდიც** ირიცხებოდა, რომელიც ახლა მწვრთნელის რანგშიც გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

რაც შეეხება ჩემპიონატის აღმოჩენად მონათლულ პოლონეთს, ამ გუნდმა 1982 წლის შემდეგ, საუკეთესო შედეგს მიაღწია. 25 წლის წინ, პოლონელებმა პლანეტის პირველობაზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

**საბოლოო კლასიფიკაცია:** 1. გერმანია, 2. პოლონეთი, 3. დანია, 4. საფრანგეთი, 5. ხორვატია, 6. რუსეთი, 7. ესპანეთი, 8. ისლანდია, 9. უნგრეთი, 10. სლოვენია, 11. ტუნისი, 12. ჩეხეთი, 13. ნორვეგია, 14. უკრაინა, 15. კორეა, 16. არგენტინა, 17. ეგვიპტე, 18. ქუვეითი, 19. ბრაზილია, 20. მაროკო, 21. ანგოლა, 22. გრენლანდია, 23. კატარი, 24. ავსტრალია.

**საუკეთესო ბომბარდირები:** 66 - სიგურდსონი (ისლ); 57 - ჟიხა (ჩეხ); 56 - ბიელიცკი (პოლ); 55 - კოკშაროვი (რუს); 53 - ბალიჩი (ხორ), გუდიონსონი (ისლ), სტეფანსონი (ისლ); 50 - კარაბატიჩი (საფ).



ზეიმი ფინალის შემდეგ

**მატჩის სტენოგრამა**

| | | |
|---|---|---|
| | **I ტაიმი** | |
| იანსენი | 1:0 | |
| | 1:1 | ბიელეცკი |
| ზაიტცი | 2:1 | |
| | 2:2 | ტლუჩინსკი |
| | 2:3 | ტკაჩიკი |
| კრაუსი | 3:3 | |
| კლიმოვეტცი | 4:3 | |
| ჰენსი | 5:3 | |
| ზაიტცი | 6:3 | |
| კრაუსი | 7:3 | |
| იანსენი | 8:3 | |
| | 8:4 | ბ. იურეცკი |
| ზაიტცი | 9:4 | |
| | 9:5 | ბიელიცკი |
| | 9:6 | მ. იურეცკი |
| კრაუსი | 10:6 | |
| კერმანი | 11:6 | |
| | 11:7 | იაჩლევსკი |
| | 11:8 | იურაშიკი |
| შვარცერი | 12:8 | |
| | 12:9 | ბ. იურეცკი |
| ჰენსი | 13:9 | |
| | 13:10 | ტკაჩიკი |
| | 13:11 | ლიჟევსკი |
| გლანდორფი | 14:11 | |
| | 14:12 | ბიელიცკი |
| კერმანი | 15:12 | |
| იანსენი | 16:12 | |
| | 16:13 | ტკაჩიკი |
| გლანდორფი | 17:13 | |
| | **II ტაიმი** | |
| იანსენი | 18:13 | |
| | 18:14 | ტლუჩინსკი |
| კრაუსი | 19:14 | |
| იანსენი | 20:14 | |
| ჰენსი | 21:14 | |
| | 21:15 | ტკაჩიკი |
| | 21:16 | სიოდმიაკი |
| | 21:17 | იურაშიკი |
| | 21:18 | ვლეკლაკი |
| იანსენი | 22:18 | |
| | 22:19 | იურაშიკი |
| | 22:20 | კუპტელი |
| | 22:21 | იურაშიკი |
| ჰენსი | 23:21 | |
| ჰენსი | 24:21 | |
| | 24:22 | ტკაჩიკი |
| იანსენი | 25:22 | |
| იანსენი | 26:22 | |
| | 26:23 | იურაშიკი |
| ჰენსი | 27:23 | |
| კერმანი | 28:23 | |
| კერმანი | 29:23 | |
| | 29:24 | ლიჟევსკი |

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა



ფორმულა 1. პრეზენტაცია

# უილიამსის ორიგინალური შოუ

ფორმულა 1-ის ბრიტანულ-იაპონური გუნდის, "უილიამს-ტოიოტას" ხელმძღვანელობამ, გროუვის შტაბბინაში ახალი ბოლიდის - FW29-ის ორიგინალური პრეზენტაცია მოაწყო. მან საკუთარ საიტზე (www.ATTWilliams.com) გულშემატკივრებს, მანქანის აწყობის სარეკლამო რგოლი შესთავაზა.

სერ **ფრენკ უილიამსს** იმედი აქვს, რომ ძრავის მომწოდებელ ახალ პარტნიორ "ტოიოტასთან" ერთად, გუნდი ძველი დიდების დაბრუნებას შეძლებს.

პირველი ტესტების პერიოდში, FW29 გარდამავალი, ლურჯი შეფერილობის იყო. სანამ გუნდის ძირითადი პილოტები - გერმანელი **ნიკო როსბერგი** და ავსტრიელი **ალექს ვიურცი** ისვენებდნენ, მანქანას ტესტირებას ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტის, **სატორუ ნაკაძიმას** ვაჟი - **კასუკი ნაკაძიმა** უტარებდა. ახალგაზრდა იაპონელ პილოტს იმედი აქვს, რომ უკვე წლევანდელ სეზონში შეძლებს საპრიზო პილოტის სტატუსის მოპოვებას, თუმცა არ აკონკრეტებს, კერძოდ, რომელ თანაგუნდელს შეცვლის.

ლურჯ-თეთრი FW29-ის წარდგენაზე, ფრენკ უილიამსმა განაცხადა: *"ყველამ კარგად იცით, რომ 2006 წლის სეზონი ჩვენთვის ისეთი არ იყო, როგორიც გვსურდა. ახლა კი მიხარია, როცა ვხედავთ, თუ როგორი ენთუზიაზმით მუშაობენ ჩვენი გუნდის წევრები მაღალ მიზნების მისაღწევად. FW29 ძალიან კარგი მანქანაა და ამას 2007 წლის სეზონში ყველა დაინახავს".*



ახალი უილიამსი

წელს, "უილიამსს" ორი სატიტულო სპონსორი ეყოლება - საათების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა "ორისი" და კომპიუტერული ტექნიკის კომპანია "ლენოვო". პრეზენტაციაზე, ამ ფირმების ლოგოებით უხვად იყო აჭრელებული ბრიტანული საჯინიბოს ბოლიდი.

კალათბურთი

## ორლანდოს გრანტ ჰილი გამოაკლდა

"ორლანდო მეჯიქი" თავისი ერთ-ერთი ლიდერის - **გრანტ ჰილის** გარეშე დარჩა. ვეტერანი კალათბურთელი მუხლის ტრავმის გამო, მინიმუმ ორი კვირა ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას. კალათბურთელმა "მილუოკისთან" მატჩში დაიზიანა მუხლის მყესები.

გრანტ ჰილი "ორლანდოს" მეორე ბომბარდირია. ის საშუალოდ მატჩში 15 ქულა აგროვებს.

## ევტიმოვი ბოლო ტურის MVP გახდა

ევროლიგის I ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის საუკეთესო კალათბურთელად, იტალიის "ფორტიტუდოს" ცენტრი **ვასკო ევტიმოვი** დაასახელეს. პოლონეთის "სოპოტთან" გასვლით მატჩში, ბულგარელმა კალათბურთელმა 38 სარეიტინგო ქულა დააგროვა. ევტიმოვმა ორმაგი დუბლი გაიფორმა (21 ქულა და 15 მოხსნა) და თამაშიდან 10-დან 9 ტყორცნა მოათავსა კალათში.

მიუხედავად პოლონეთში გამარჯვებისა (84:78), იტალიურმა კლუბმა მაინც ვერ შეძლო 16 საუკეთესოს შორის მოხვედრა.

ევტიმოვის გარდა, ბოლო ტურის MVP-ს ტიტულზე პრეტენზიას **პრედრაგ დრობნიაკი** ("პარტიზანი"), **ჯერემია მესი** ("არისი") და **ანდრია ჟიჟიჩი** ("ოლიმპიაკოსი") აცხადებნენ.

ჭადრაკი

## FIDE ლოზანაში გადაბარგდა

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (FIDE) შტაბბინა ლოზანაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შენობაში გადადის. ამ საკითხთან დაკავშირებით FIDE-ს პრეზიდენტ **კირსან ილუმჟინოვსა** და ოლიმპიურ კომიტეტის პრეზიდენტ **ჟაკ როგეს** შორის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა.

90-იანი წლების ბოლოს, FIDE-ს შტაბბინა სწორედ ლოზანაში მდებარეობდა. შემდეგ ის ილუმჟინოვმა ათენში გადაიტანა და პარალელურად, თავის მშობლიურ ქალაქ ელისტაში ფედერაციის ტექნიკური ოფისი გახსნა.

FIDE-ს ახალი შტაბბინის ოფიციალური გახსნა მარტშია დაგეგმილი.

ამერიკული ფეხბურთი

## ამერიკული ფეხბურთი უემბლიზე

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ფეხბურთის ეროვნული ლიგის (NFL) კლუბები - "ნიუ იორკ ჯაინტსი" და "მაიამი დოლფინსი", მომავალი რეგულარული ჩემპიონატის პირველ მატჩს 28 ოქტომბერს გამართავენ. ამ ინფორმაციაში მთავარი ის არის, რომ ამერიკული კლუბები სეზონს ლონდონში, სახელგანთქმულ "უემბლის" სტადიონზე გახსნიან.